

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

ნათია მახარაძე

**სათაურის სინტაქსური მოდიფიკაცია პუბლიცისტურ
ტექსტებში**

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნ. ფარტენაძე

ბათუმი

2020

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

როგორც წარმოდგენილი დისერტაციის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

21. 10. 2019 წელი.

ნ. მახარაძე.

ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი

შესავალი	5
თავი I. ტექსტი, როგორც ლინგვისტური და კომუნიკაციური ერთეული.....	10
1.1. ტექსტის უნივერსალური კატეგორიები	19
1.2. ტექსტის თვისებები	23
თავი II. სათაური - ტექსტი თუ ტექსტის კომპონენტი	29
2. 1. ტექსტის სათაურის ბუნება თანამედროვე ლინგვისტიკაში	32
2. 2. პუბლიცისტური ტექსტის სათაურის თავისებურება.....	47
2. 3. პუბლიცისტური ტექსტის სათაური, როგორც ტექსტის ერთეული და დამოუკიდებელი ელემენტი	58
თავი III. პუბლიცისტური ტექსტის სათაურის სინტაქსური მოდიფიკაცია	64
3. 1. სინტაქსური მოდიფიკაციის გამომწვევი მიზეზები	66
3. 2. პუბლიცისტური ტექსტის სათაურთა სტრუქტურა XIX საუკუნის ქართულენოვან პრესაში	69
3.2.1. ერთსიტყვიანი სათაურები	70
3.2.2. მსაზღვრელ-საზღვრულიანი სათაურები XIX საუკუნის ქართულენოვან პრესაში.....	71
3.2.3. გავრცობილი სახელდებითი წინადადებები სათაურებად	72
3.3. პუბლიცისტური ტექსტის სათაურთა სტრუქტურა XX საუკუნის ქართულენოვან პრესაში	79
3.3.1. პრედიკატიანი სათაურები XX საუკუნის ქართულენოვან პრესაში	81
3.3.2. უსრულ წინადადებათა სახეობები პუბლიცისტური ტექსტის სათაურებში	83
3.3.3. ნომინატიურ წინადადებათა სემანტიკური სახეობები პუბლიცისტური ტექსტის სათაურებში	84
3.3.4. მსაზღვრელ-საზღვრულიანი სათაურები XX საუკუნის ქართულენოვან პრესაში.....	91
3.4. პუბლიცისტური ტექსტის სათაურთა სტრუქტურა თანამედროვე პერიოდის ქართულენოვან პრესაში	95

3.4.1. სხვადსხვა მოდალობის სათაურები თანამედროვე პერიოდის ქართულენოვან პრესაში	118
3.5. სათაურთა ტიპოლოგია	120
3.6. სინტაქსურად მოდიფიცირებული სათაურის ფუნქციონირება მედიადისკურსში	122
დასკვნითი დებულებები	126
გამოყენებული ლიტერატურის სია	132
გამოყენებული წყაროები	137
დანართი 1	140
დანართი 2	148

შესავალი

ჩვენი კვლევა ეხება სათაურის სინტაქსურ მოდიფიკაციას პუბლიცისტურ ტექსტებში, რომელშიც აისახება მე-19, მე-20 საუკუნეებისა და თანამედროვე პერიოდის პუბლიცისტურ ტექსტთა სათაურების ნაირფეროვნება და მათი გამომწვევი მიზეზები. აგრეთვე, კვლევა საშუალებას მოგვცემს, დავადგინოთ რამდენად შეესაბამება საგაზეთო ტექსტის სათაური მასში მოცემულ ინფორმაციასა და რა კავშირი არსებობს სათაურსა და ძირითად ტექსტს შორის.

ნაშრომის აქტუალურობა. სათაურის ანალიზის პირველი მცდელობა მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში დაიწყო. აქედან მოყოლებული, პუბლიცისტური ტექსტის სათაური წლების მანძილზე იყო ლინგვისტიკის ინტერესის ობიექტი. სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილებოდა ისეთი საკითხები, როგორცაა: სათაური და ტექსტის ბმულობა; სათაური, როგორც დამოუკიდებელი სამეტყველო ერთეული; საგაზეთო სათაურის ფუნქციები; საგაზეთო სათაურის სტილისტიკა. ნაწილობრივ შესწავლილია საგაზეთო სათაურების ინტერტექსტუალური ელემენტები. ყოველივე ეს ადასტურებს, რომ სათაურის თემა აქტუალურია და დღევანდელი კვლევები მათ დახვეწასა და განვითარებას ემსახურება. საკვლევი თემის აქტუალურობაზე მიუთითებს ისიც, რომ სათაურის უამრავი დეფინიცია არსებობს და ამასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ არ არის ერთიანი, უნივერსალური განმარტება, მიზეზი ისაა, რომ ენათმეცნიერთა დიდი ნაწილია დაინტერესებული სათაურის კვლევით, ყველა მათგანს კი საკუთარი შეხედულება უყალიბდება აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, რაც იწვევს აზრთა მრავალფეროვნებას. მე-20 საუკუნეში იმდენად დაინტერესდნენ სათაურის კვლევით, რომ დაიწყო აზრთა ჭიდილი, რამაც საფუძველი ჩაუყარა მე-20 საუკუნის დასასრულსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში სათაურის შესწავლის დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბებას, გაჩნდა ახალი დარგი „სათაურთმცოდნეობა“.

თემის აქტუალურობა განისაზღვრება სარეკლამო ტექსტების ყოველმხრივი (სრულყოფილი) აღწერის საჭიროებითაც, რომელმაც ფართო გავრცელება ჰპოვა

საქართველოში, ბოლო 10-15 წლის განმავლობაში, რაც დაკავშირებულია ქვეყანაში ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების ცვალებადობითაც.

კვლევის მიზანია, პუბლიცისტური ტექსტის სათაურთა სინტაქსური მოდიფიცირების წარმოჩენა, სათაურთა ტიპების განსაზღვრა და მათი სინტაქსური მოდიფიკაციის მიზეზისა თუ მიზეზების კვლევა.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად აუცილებელია შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

1. კვლევის თეორიული ბაზის შექმნა;
2. საინფორმაციო ჟანრის პუბლიცისტური ტექსტის სათაურების სინტაქსური სტრუქტურის სემანტიკური თავისებურებების გამოყოფა;
3. სათაურის სემანტიკური და სინტაქსური სტრუქტურისა და პუბლიცისტური ტექსტის შინაარსის ხასიათს შორის კავშირის დადგენა;
4. სხვადასხვა პერიოდის ემპირიული მასალის მოძიება, დამუშავება და შედარება;
5. სხვადასხვა მეთოდოლოგიის გამოყენებით სათაურის სინტაქსური მოდიფიკაციის მიზეზების დადგენა.

მკვლევრები სათაურს განიხილავენ სხვადასხვა ასპექტში და გამოთქვამენ საინტერესო მოსაზრებებს. ზოგისთვის ტექსტის დასათაურება ბავშვისთვის სახელის დარქმევასთან ასოცირდება, ზოგი სათაურსა და გიდს ადარებს ერთმანეთს: „სათაურის გარეშე მხატვრული ნაწარმოების კითხვა არის გიდის გარეშე ტურისტის ხეტიალი“ (ტაჭა, 2009:9). ჟენეტისთვის სათაური „ინტერპრეტაციის კარიბჭეა“. ჩვენ კი სათაურის გარეშე ტექსტის კითხვას გზააზნეულ კაცს შევადარებდით, სათაური არის გზა სახლისაკენ ანუ ტექსტისაკენ. სათაურის მიმართ ამგვარი მრავალფეროვანი განმარტება და სხვადასხვა ასპექტით ხედვა ცხადყოფს, რომ ის მუდამ იქნება საკვლევი საგანი, რადგან ენა დინამიკურია, მუდამ განიცდის ცვლილებებს და ეს ცვალებადობა აისახება მასში, ხდება სხვადასხვა ელემენტის მოდიფიცირება, სწორედ ეს მოდიფიცირება გახდა ჩვენი კვლევის ობიექტი. ჩვენი მიზანია, შევეხოთ ისეთ მრავალწახნაგა საკითხებს, როგორებიცაა: სათაურისა და ტექსტის ურთიერთმიმართება, ყველაზე მთავარი და ამასთანავე სადისერტაციო ნაშრომის

მონაპოვარი იქნება ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით სინტაქსური მოდიფიკაციის კვლევა.

კვლევის მეთოდოლოგია დამყარებულია სათაურთა დისკურსისა და სინტაქსური სტრუქტურების შესახებ არსებული ლიტერატურის დამუშავებასა და მის ანალიზზე. მედიადისკურსის და ანალიზის ფარგლებში ხდება ჩვენ მიერ საკვლევი საკითხების შესწავლა. ნაშრომში გამოყენებულია სინქრონიული და დიაქრონიული ასპექტით კვლევა, სინტაქსური მოდიფიკაცია შესამჩნევი და საინტერესო რომ ყოფილიყო, საჭირო იყო არა მარტო ერთი კონკრეტული ეპოქის ემპირიული მასალის შეგროვება და ცვლილებების აღწერა, არამედ სხვადასხვა პერიოდში არსებულ პუბლიცისტურ სათაურთა ურთიერთშედარება და ცვლილებების გამოვლენა, ამისათვის კი ყველაზე ხელსაყრელია სინქრონიული და დიაქრონიული მეთოდი. ასევე, მივმართეთ შედარების მეთოდს, რის შედეგადაც წარმოვაჩინეთ მე-19, მე-20, 21-ე საუკუნის პრესის სათაურთა მსგავსება-განსხვავებები. სამი საუკუნის მასალის შეგროვებამ, კლასიფიკაციამ, დაკვირვებამ კარგად დაგვანახა მოდიფიცირება ენის განვითარების ერთ სიბრტყეზე და მოდიფიცირება ენის განვითარების სხვადასხვა სიბრტყეზე. სინტაქსური მოდიფიკაციის ობიექტური მიზეზის დასადგენად კი გამოვიყენეთ ანკეტური გამოკითხვის მეთოდი და ინტერვიუ.

საკვლევი ემპირიული მასალის წარმოადგენს XIX-XXI საუკუნეების სათაურები ქართულენოვან პრესაში.

სამეცნიერო სიახლე. სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო სიახლე გახლავთ ის, რომ:

- განსაზღვრული იქნება სათაურების სტრუქტურის სინტაქსური სტატუსი. ქართულ ლინგვისტურ სივრცეში არ არის ნაკვლევი სათაურთა სინტაქსური სტრუქტურა. აგრეთვე, ჩვენი კვლევა ეფუძნება სრულიად შეუსწავლელ ემპირიულ მასალას.
- წარმოდგენილი იქნება სინტაქსური სტრუქტურების სემანტიკური მახასიათებლები, როგორც პუბლიცისტური ტექსტის სათაური;

➤ პუბლიცისტურ სათაურთა სინტაქსური ტიპოლოგია.

ნაშრომის თეორიულ ღირებულებას წარმოადგენს დღემდე არსებული ქართული და უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის განხილვა, ტექსტის, სათაურის შესახებ არსებული ნაშრომების შეჯერება და ანალიზი.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელოვნება. ჩატარებული კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელია სათაურთა სინტაქსური ანალიზითა და სათაურის სინტაქსური მოდიფიკაციით დაინტერესებულ მკვლევართათვის. მიღებული შედეგები ასევე შეიძლება იქნეს გამოყენებული ჟურნალისტიკის თეორიისა და პუბლიცისტური ტექსტის ლინგვისტიკის სალექციო კურსების დამუშავების დროს.

ნაშრომის სტრუქტურა განპირობებულია დასახული მიზნებითა და ამოცანებით. **შესავალში** დასაბუთებულია ჩვენ მიერ შერჩეული თემის აქტუალურობა, განსაზღვრულია კვლევის მიზნები, კონკრეტული ამოცანები და საკვლევი ემპირიული მასალა, ჩამოყალიბებულია კვლევის მეთოდოლოგია, ხაზგასმულია კვლევის სიახლე, მისი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება.

პირველ თავში - „ტექსტი, როგორც ლინგვისტური და კომუნიკაციური ერთეული“ - ტექსტის კომუნიკაციურობასთან ერთად ვსაუბრობთ მის კატეგორიასა და თვისებებზე, განვიხილავთ სხვადასხვა მეცნიერთა მოსაზრებას და გამოვთქვამთ ჩვენეულ შეხედულებებს.

მეორე თავში - „სათაური - ტექსტი თუ ტექსტის კომპონენტი“ - სტრუქტურულ და კომუნიკაციურ ჭრილშია განხილული სათაური, ასევე, ტექსტის სათაურის ბუნება, პუბლიცისტური ტექსტის სათაურის თავისებურებები, პუბლიცისტური ტექსტის სათაური როგორც ტექსტის ერთეული თუ დამოუკიდებელი ელემენტი.

მესამე თავში - „პუბლიცისტური ტექსტის სათაურის სინტაქსური მოდიფიკაცია“ - განხილულია მე-19, მე-20 და თანამედროვე პერიოდის ქართულენოვანი პრესის სათაურების მოდიფიკაცია და მათი გამომწვევი მიზეზები,

წარმოდგენილია მოდიფიცირებულ სათაურთა ტიპოლოგია. აგრეთვე, ამ თავში მოცემული ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკითხვის ანალიზი და დებულებები.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში ჩამოყალიბებულია კვლევის შემაჯამებელი ზოგადთეორიული და კონკრეტული დებულებები.

თავი I. ტექსტი, როგორც ლინგვისტური და კომუნიკაციური ერთეული

ტექსტის გაგება იმდენად მრავალფეროვანია, რომ გაჩნდა მისი სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინის მიერ განხილვის საჭიროება. ასე დამკვიდრდა ტერმინი „ტექსტთა შემსწავლელი მეცნიერება“, რომელიც ადასტურებს, რომ ტექსტი ბევრი სხვა მიმართულების კვლევის ობიექტია. კერძოდ: თეოლოგიას - აინტერესებს რელიგიური ტექსტები; იურისპრუდენცია - იურიდიულ ტექსტთა ინტერპრეტაციითაა დაინტერესებული; ისტორიას - ტექსტი მისი სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ გარემოებათა თვალსაზრისით აინტერესებს; ფსიქოლოგია - ტექსტთა წარმოქმნისა და აღქმის პროცესებითაა დაინტერესებული; ლიტერატურათმცოდნეობა - იკვლევს მხატვრულ ტექსტებს და ა. შ. მათ შორის არის ტექსტის ლინგვისტიკა, რომლის კვლევის საგანია ვერბალური ტექსტის სტრუქტურა, შემადგენელი კატეგორიები. როგორც ე. შელკუნოვა აღნიშნავს: „თანამედროვე ტექსტის ლინგვისტიკა შეისწავლის ტექსტს - მის სტრუქტურას, მის შემადგენელ კატეგორიებს“ (Щелкунова, 2004:194).

ტექსტი ლინგვისტური კვლევის ტრადიციული ობიექტია, რომლის ანალიზიდან მომდინარეობს ენის სისტემის, სტრუქტურის, ფუნქციისა და ენობრივი ერთეულების გამოყენების შესახებ ცოდნა. ტექსტის ლინგვისტიკა არც თუ ისე დიდი ხანია, რაც ენათმეცნიერებას დამოუკიდებელ მიმართულებად გამოეყო. იგი განიხილავს საკითხების ფართო სპექტრს, რომელთა მნიშვნელობამ საკმაოდ დიდი აღიარება ჰპოვა 80-90-იან წლებში. მისი ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა - „ლინგვისტური გამოცდილების შეტანა არსებული კომუნიკაციური სამეტყველო აქტების დისციპლინათაშორის შესწავლის სფეროში, ენობრივი სისტემის შიგნით, ენის რეალური გამოყენების შეფარდებაზე დაყრდნობით, წინადადებებისა და გამონათქვამის აგების პრინციპის გახსნა“ (ფურცელაძე, 2000: 25).

რა არის ტექსტი? ამას მარტივად ვერ ვუპასუხებთ, რადგან ლინგვისტიკაში არსებობს ტექსტის მრავალი განმარტება. მაგალითად: ბახტინს ტექსტი ესმის „როგორც პირველადი მოცემულობა ყველა ჰუმანიტარული მეცნიერების და

ზოგადად მთელი ჰუმანიტარულ-ფილოლოგიური აზროვნებისა. ტექსტი არის უშუალო რეალობა (აზრისა და განცდების რეალობა), საიდანაც შეიძლება ამოდიოდნენ ეს დისციპლინები და ეს აზროვნება. იქ, სადაც არ არის ტექსტი, არ არის აზროვნების ობიექტიც. როგორც არ უნდა იყოს კვლევის მიზნები, საწყისი პუნქტი ყოველთვის მხოლოდ ტექსტია“ (Бахтин, 1979:152). „ტექსტი არის პირველადი მოცემულობა (რეალობა) და ყველა ჰუმანიტარული დისციპლინის ამოსავალი წერტილი“ (Бахтин, 1986:132). მ. მ. ბახტინისათვის ტექსტის აუცილებელი მახასიათებელია ენობრივი სისტემის, ადრესანტის (ავტორის) და ადრესატის (მსმენელისა ან მკითხველის) არსებობა.

„ტექსტი შეგვიძლია განვიხილოთ ფართო და ვიწრო მნიშვნელობით. ტექსტი ფართო მნიშვნელობით არის მთლიანი ხმოვანი ნაწარმოები, მაკროტექსტი“ (Москальская, 1978:87); „ეს იგივეა რაც მეტყველება, საუბრით შექმნილი პროდუქტი“ (,1988: 146). ტექსტი ვიწრო გაგებით არის ზეფრაზის ერთობა (Москальская, 1978: 89), „ეს არის მეტყველების ერთეული (ესე იგი ტექსტის ფართო მნიშვნელობით), რომელიც ხასიათდება მთლიანობითა და შიდა კავშირით და როგორც ასეთი, შეიძლება იყოს დანაწევრებული, გამოყოფილი წინა და მომდევნო ტექსტებიდან“ (,1988: 149).

„ტექსტი - შემოქმედებითი სამეტყველო პროცესის შედეგია, რომელიც არის დასრულებული, ობიექტივიზებული წერილობითი დოკუმენტის სახით, ამ ტიპის დოკუმენტის შესაფერისად ლიტერატურულად დამუშავებული. ნაწარმოები, რომელიც შედგება დასახელებისაგან (სათაური), და სხვა განსაკუთრებული ერთეულებისგან (ზეფრაზული ერთობების), რომლებიც გაერთიანებულია სხვადასხვა ლექსიკური, გრამატიკული, ლოგიკური, სტილისტიკური კავშირებით, რომელთაც გარკვეული მიზანმიმართულება და პრაგმატული დანიშნულება აქვთ“ (Гальперин, 2004:18). ი. გალპერინისთვის ტექსტთან მიდგომის გამორჩეული თვისება - არის მეტყველების წერილობით ფორმაზე ორიენტაცია. ის უპირისპირებს და ერთმანეთს ადარებს ტექსტის ორ ფორმას: ზეპირსა და წერილობითს და თავის მსჯელობებში მიდის იმ დასკვნამდე, რომ „ხანგრძლივი ფორმირების პროცესში

წერილობითმა ენამ გამოიმუშავა თვისებები, რომლებმაც შემდეგში სისტემურობის სტატუსი მიიღო“ (Гальперин, 2004: 15).

„ტექსტი არის უმაღლესი დონის, უმაღლესი იარუსის ენობრივ-სამეტყველო იარუსი, რომელსაც აქვს საკუთარი თემა, შემადგენელ მეტატექსტთა სემანტიკური ერთიანობა, სტრუქტურული მთლიანობა, საკომუნიკაციო დანიშნულება და გრაფიკული სახე“ (სერგია, 1989:8). „ტექსტი ისეთი ენობრივი სიდიდეა, რომლისთვისაც ძირითადი და არსებითი პარამეტრები კომუნიკაციაა“ (სერგია, 1989:236)

გ. კოლშანსკისა და გვენცაძის თვალსაზრისი ემთხვევა ერთმანეთს. ისინი ფიქრობენ, რომ კომუნიკაცია ტექსტების საშუალებით ხორციელდება და ტექსტი ესმით, როგორც უმაღლესი მწკრივის დინამიკური კომუნიკაციური ერთეული, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება სამეტყველო ურთიერთობა. კომუნიკაციის ბირთვი, გვენცაძის აზრით, არის „სამეტყველო აქტი, რომელიც საფუძვლად უდევს კონკრეტული ერთეულის - ტექსტის წარმოქმნასა და ფუნქციონირებას“ (Колшанский, 1984:175; Гвенцадзе, 1986: 3).

ლ. მაიდანოვა იძლევა ტერმინ „ტექსტის“ უფრო ვრცელ ახსნას, რომელიც მოიაზრება, როგორც კომუნიკაციის ძირითადი ერთეული და რეალობის ფრაგმენტის ასახვის ხერხი (Майданова, 1987:178).

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მე-20 საუკუნიდან, ტექსტთან მიმართებით, ჩნდება ახალი ტერმინები: „პირველადი“ და „მეორეული“ ტექსტები. პროფესორ დავით გოცირიძის აზრით: „მეორეული ტექსტები წარმოადგენს უკვე არსებული ტექსტების ახსნას, მათ ერთგვარ კომენტარს. პირველადი დოკუმენტიდან ხდება მხოლოდ ტექსტის მისამართის, ანუ ტექსტთა მთელ სისტემაში მისი ადგილისა და ფაქტობრივი შინაარსის ამოღება“ (Гоцириძე, 1988:79).

პროფესორი ნინო დვალიძე შემდეგნაირად განსაზღვრავს ტექსტის რაობას: „ტექსტი არის წინადადებათა აზრობრივი ერთობლიობით დაკავშირებული ენობრივი ერთეული, რომელსაც გააჩნია კოჰეზია და კოჰერენტულობა, დინამიზმი და პროცესუალობა... ტექსტი დასრულებულ აზრობრივ ბმულობას წარმოადგენს თავისი სიტუაციური კონტექსტით“ (დვალიძე, 2009: 15).

პროფ. როლანდ კომახიძის მონოგრაფიაში „ტექსტის პარადიგმატიკა და სინტაგმატიკა“ მოცემულია ტექსტური სივრცის კლასიფიკაციიდან გამომდინარე, მეორეული ტექსტები არის მეორეული წარმოებული ტექსტების განსაკუთრებული ნაირსახეობა, რომლებიც წარმოიქმნა და ხმარებაში შემოვიდა რომელიმე ტექსტური წყაროდან, რომელიც იყო პირველადი, საბაზისო ტექსტი“ (Комахиძე, 1995:114). ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ პირველადი და მეორეული ტექსტები არა მათი წარმოშობის ქრონოლოგიას მიუთითებს, არამედ, ისინი უფრო „განსაკუთრებულ რეფერენტულ ურთიერთმიმართებაში არიან“ (იქვე).

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მეორეული ტექსტის ზოგიერთი სახე (სათაური, გეგმა და სხვ.) შეიძლება უსწრებდეს პირველადს. ამას იმის საფუძველზე გამოთქვამენ, რომ ცნობილია ბევრი შემთხვევა, როდესაც სათაური ან გეგმა ნაწარმოებამდე იქმნება, მაგრამ დ. გოცირიძე აღნიშნავს, რომ ყოველი მეორეული ტექსტი პირველადისთვის იქმნება და, საბოლოოდ, მის მიერ არის დეტერმინებული, ამიტომ მეცნიერი საჭიროდ მიიჩნევს, გააკეთოს მნიშვნელოვანი დასკვნა: „პირველადი და მეორეული ტექსტების ურთიერთმიმართება უნდა განიხილებოდეს, როგორც საბაზისო და წარმოებული ტექსტების ურთიერთმიმართება და არა დროებითი მიმდევრობის რეალიზაცია“ (Гоцириძე, 1988: 79).

დ. გოცირიძე მეორეული ტექსტების პირველ ნაირსახეობას მიაკუთვნებს ანოტაციას, კონსპექტს, თეზისებს, სათაურს, რეფერატს, ანდაზასა და ტექსტების სხვა ტიპებს, რომელთაც ერთი საერთო ნიშანი აქვთ – ისინი არ შეიცავენ ინფორმაციას, რომელიც არ იქნებოდა პირველად ტექსტში. რაც შეეხება მეორე ჟანრობრივ ნაირსახეობას სტრუქტურულ–შინაარსობრივად არადეტერმინებულ ტექსტებს – მათ განეკუთვნება რეცენზია, პაროდია, ლიტერატურული სტილიზაცია, გადაკეთება, ანუ ეს მეორეული ტექსტების ისეთი ნაირსახეობაა, რომლებიც პირველად ტექსტებზე უარყოფითად მოქმედებენ, შეიძლება ითქვას, პარაზიტირებენ, მათგან აისხლიტებიან, მაგრამ შეიცავენ განსხვავებულ ინფორმაციას, სხვაგვარ, პრინციპულად სხვანაირ კომუნიკაციურ მიზანს, რომელიც პირველადი ტექსტის ფარგლებში არ შეინიშნება.

მეორეულ მხატვრულ ტექსტებს განეკუთვნება აფორიზმები, მეტაფორული სათაურები, პაროდები, სტილიზაცია და სხვ. მსგავსი ტიპის სამეცნიერო ტექსტებს განეკუთვნება ანოტაციები, რეცენზიები, გამომხატურებები... პუბლიცისტურ ტექსტებს განეკუთვნება: ფელეტონები, მეტაფორული სათაურები, დაიჯესტები; მეორეული წარმოშობის დიდაქტიკური ტექსტებია: ადაპტირებული ტექსტები, თხრობა, ლიტერატურული თხზულებები და სხვ.

როგორც ვ. ლუკინი აღნიშნავს: „სათაური წარმოადგენს მეორეულ ტექსტს, რომელიც აქტუალიზაციას უკეთებს პირველადი ტექსტის ინფორმაციას, ასრულებს ინფორმაციულ–ორიენტირებად და აპელაციურ ზემოქმედებით ფუნქციას“ (Лукин, 1999:83).

ამრიგად, მოცემული განმარტებებიდან ჩანს, რომ ტექსტის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია არსებობს, მაგრამ ყველას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ის კომუნიკაციის ძირითადი საშუალებაა. საზოგადოების არსებობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო კი კომუნიკაციაა, რომლის ჩამოყალიბებაში დიდი წილი მიუძღვის ტექსტს. აგრეთვე, ვიგებთ, რომ არსებობს პირველადი და მეორეული ტექსტები, სათაური კი მიჩნეულია მეორეულ ტექსტად.

სათაური, გოცირიძის აზრით, ფრაზული ტექსტების განსაკუთრებულ ტიპს წარმოადგენს, ვინაიდან ბევრ ფუნქციას ასრულებს. ცნობილი მეცნიერის, გაუზენბლაზის აზრით, სათაური თვით ტექსტის შემცვლელია, როდესაც ჩვენ გვესმის სათაური, გვახსენდება ტექსტში გამოხატული აზრები და იდეები. ის ამბობს, რომ „სათაური ასრულებს უზარმაზარი თეზისური გზამკვლევის როლს, როგორც ჩვენ ბიბლიოთეკაში კატალოგებს მივმართავთ, რათა გადავდოთ ჩვენთვის საინტერესო თემატიკის ტექსტები“ (Гоциридзе, 1988: 81).

მეცნიერთა უმრავლესობა ტექსტს კომუნიკაციური დონის ერთეულად მიიჩნევს. თავდაპირველად მეცნიერები კომუნიკაციის ძირითად ერთეულად წინადადებას თვლიდნენ, მაგრამ ბოლო დროს ტექსტის ლინგვისტიკა სწრაფად განვითარდა და ამან მათ საშუალება მისცა, მისულიყვნენ იმ დასკვნამდე, რომ ტექსტი წარმოადგენს რთულ სტრუქტურულ – სემანტიკურ წარმონაქმნს, რომელიც ხასიათდება მთელი რიგი თვისებით: მთლიანობა, გამართულობა, ემოციურობა,

მოდალობა, პრეცედენტულობა, ინფორმაციულობა და ა. შ. ტექსტს, აგრეთვე, გააჩნია კომუნიკაციის მონაწილეთა არავერბალური ქმედების კვალი, რომელიც იძლევა მაღალი დონის ინტერპრეტაციის უნარს, მისგან შეიძლება უამრავი აზრის ამოღება, გაგება.

შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენ ტექსტების სამყაროში ვცხოვრობთ, ჩვენ ირგვლივ არსებული ყველაფერი ტექსტად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან რეკლამა, აფიშა, ლოზუნგი, სავაჭრო ცენტრთა ბანერების წარწერა და სხვა იძლევა ინფორმაციის საშუალებას და კომუნიკაციის წყაროდ იქცევა. ვთვლით, რომ ნებისმიერი კომუნიკაციის ძირითადი ერთეულია – ტექსტი.

თამარ მახარობლიძე ასე განმარტავს კომუნიკაციას: „კომუნიკაცია (ლათინურიდან Communico - საერთოს ვხდი) ფართო გაგებით, არის ინფორმაციის გაცვლა ინდივიდებს შორის, სიმბოლოთა საერთო სისტემის საშუალებით. კომუნიკაცია მჭიდროდაა დაკავშირებული ინფორმაციასთან, ტექსტი კი თვით ინფორმაციაა. კომუნიკაცია შეიძლება განხორციელდეს ვერბალური ან არავერბალური მეთოდებით. კომუნიკაციის განსახორციელებლად ყოველთვის არის გარკვეული წინაპირობა ანუ ფონური მონაცემები“ (მახარობლიძე: 2006:67). ის გამოყოფს კომუნიკაციის ძირითად მოდელს, კომუნიკაციურ ციკლს, რომელიც ხუთი ელემენტისგან შედგება და მას ერთ მთლიან კომუნიკაციურ აქტად მოისაზრებს:

1. წყარო - ახდენს ინფორმაციის კოდირებას და წარმოქმნის მესიჯს;
2. არხი - სამეტყველო სიგნალების ადაპტირებას ახდენს;
3. შეტყობინება - წარმოადგენს დეკოდირებულ ინფორმაციას;
4. მიმღები - ახდენს ინფორმაციის დეკოდირებას (რეკონსტრუირებას);
5. უკუგება - არის დესტინაცია, სადაც უკუ-მესიჯი მიდის.

(მახარობლიძე, 2006:4).

თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკისათვის ამოსავალია არა მხოლოდ ინდივიდის ენობრივი კომპეტენციის აქტუალიზაცია (ანუ მისი ენის გამოყენების უნარი), არა მხოლოდ „შეტყობინების“ , „კავშირის დამყარების“ ფუნქცია, როგორც კომუნიკაციის ცნების ტრადიციული გაგება, არამედ თავად

განახლებული კომუნიკაციური აქტის ცნება. „ნებისმიერი კომუნიკაციური აქტი განისაზღვრება ორი კომუნიკანტის ურთიერთქმედებით - ადრესანტით (მეტყველი პირი) და ადრესატით (მსმენელი სუბიექტი, მკითხველი, რეციპიენტი)“ (თევდორაძე, 2011: 21).

ადრესანტსა და ადრესატს შორის კომუნიკაცია, სწორედაც, რომ ტექსტის საშუალებით იქმნება. კ. ბრინკერი მიიჩნევს, რომ ტექსტი კომუნიკაციის განუყოფელი ნაწილია: „იგი ყოველთვის ჩართულია კონკრეტულ კომუნიკაციურ პროცესში, სადაც ავტორი და მკითხველი თავიანთი სოციალური და სიტუაციური მახასიათებლებით წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს ფაქტორებს“ (Brinker, 1993: 215).

„ტექსტი, უპირველეს ყოვლისა, არის კომუნიკაციური ცნება, რომელიც ორიენტირებულია განსაზღვრული ტიპის ქმედების სპეციფიკის გამოსავლენად“ (, 2003:11).

ჯან-მიშელ ადამისთვის „ტექსტი არის უმაღლესი რანგის კომუნიკაციური ერთეული“ (Adam,1999:84), ხოლო, როგორც გ. ლებანიძე მიიჩნევს: „ტექსტის ლინგვისტიკა არის კომუნიკაციური ლინგვისტიკის ორგანული კომპონენტი, ტექსტი წარმოადგენს იმ ენობრივ სინამდვილეს, რომლის არსში და რომლის სტრუქტურაში ჰპოვებს რეალიზაციას კომუნიკაციის ის განახლებული იდეა, რომელსაც ეყრდნობა ლინგვისტიკის კომუნიკაციური პარადიგმა და, აქედან გამომდინარე, თვით კომუნიკაციური ლინგვისტიკა“ (ლებანიძე, 2004: 142).

„ტექსტი არის კომპლექსური, კოჰერენტული, ფარდობითად დასრულებულ წინადადებათა თანმიმდევრობა, რომელიც ორგანიზებულია გრამატიკული, კომუნიკაციურ-პრაგმატიკული და ტექსტობრივ-კომპოზიციური წესებით“ (Baugrande, 1982: 78).

რადგან ტექსტი კომუნიკაციის ძირითადი ერთეულია, რომლის პროცესში ხორციელდება ენის მარეგულირებელი ფუნქცია, უნდა მივუთითოთ, რომ მისთვის საწყისი ურთიერთობები, ორი ენობრივი პიროვნების ურთიერთობაა. ეს ურთიერთობა მიდის იქით, რომ „მოსაუბრე იძლევა მისთვის შესაფერის, ენობრივი კოდის მიხედვით ორგანიზებულ ტექსტ-არტეფაქტს“ (Архипов, 2006: 161).

„ეყრდნობა ტექსტსა და თავის გამოცდილებას“ (Успенский, 2007:28), მსმენელი ქმნის საკუთარ აზრს, რომელიც უმეტეს წილად ემთხვევა გამგზავნელის მიერ ჩაფიქრებულს.

ასე რომ, ამ თვალსაზრისით ადრესატი კი არ უკეთებს ინტერპრეტაციას ავტორის ტექსტს, არამედ ქმნის თავისეულ ვარიანტს, რომელიც მნიშვნელობით ახლოს არის ორიგინალ ტექსტთან.

კომუნიკაციის პროცესის მართვის ტრადიციული მიდგომა მოიცავს ორ კომპონენტს: კომუნიკანტებს, რომლებიც ერთვებიან ურთიერთობაში და ტექსტს, სადაც კომუნიკაციის აქტის ორივე მხარე განიხილება როგორც ტოლფასი. ი. კ. არხიპოვმა გააანალიზა ტექსტის შექმნის პროცესი, რეალური სიტუაციიდან გამომდინარე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ტექსტი - არის „მხოლოდ და მხოლოდ ურთიერთობის მატერიალური საშუალება“ (Архипов, 2006:161).

მკითხველთან მიმართვის ხარისხი გვიჩვენებს, თუ როგორია ტექსტის კომუნიკაციურობა: ტექსტში ჩადებულია იმ სუბიექტის მეტყველებითი აზროვნება, რომელმაც დაწერა ან თქვა ის და გათვლილია მკითხველისა თუ მსმენელის საპასუხო შრომაზე, მის აღქმაზე. ასე იბადება სამეულის ურთიერთკავშირი: **ავტორი** (ტექსტის შემქმნელი), **ტექსტი** (ავტორის მეტყველებითი აზროვნების ქმნილება), **მკითხველი** (ტექსტის აღმქმელი).

როდესაც ვსაუბრობთ ტექსტის სტრუქტურის სირთულეზე, უნდა გამოვყოთ ტექსტის არსებობის ორი ფორმა:

1. სტატიკური;
2. დინამიკური.

სტატიკური დონის მთავარი ამოცანაა უცვლელად დააფიქსიროს და შეინახოს ტექსტის ობიექტური აზრი. მისგან განსხვავებით დინამიკური დონე კი ასახავს ტექსტის კომუნიკაციურობას. ეს ერთიანი ნიშანია, რომელიც ანიჭებს ტექსტს შემდეგ შესაძლებლობებს: პირველი - „იყოს შემაერთებელი რგოლი“ ადამიანებთან კონტაქტის დროს, მეორე - ავტორისა და ადრესატის საუბრის თანასწორუფლებიანი მონაწილე. კიდევ ერთი ნიშანი, ტექსტის კომუნიკაციური ბუნებიდან გამომდინარე,

არის რელატიურობა. ესე იგი, კომუნიკაციური პროცესის სხვა ელემენტების (ხშირად რთულ) ურთიერთდამოკიდულობაში შესვლის შესაძლებლობა, პირველ რიგში: 1)ავტორთან 2)აუდიტორიასთან 3) კონტექსტთან. თუ ვითვალისწინებთ ტექსტის ყველა პარამეტრსა და თვისებას, შეგვიძლია განვმარტოთ ის, როგორც მეტყველების ჰოლისტიკური (დასრულებული) ერთეული, რომელიც შედგება საკომუნიკაციო-ფუნქციური ელემენტებისგან, რომლებიც ყალიბდებიან სისტემაში, კონკრეტული მეტყველების სიტუაციის პირობებში, ტექსტის ავტორის კომუნიკაციური განზრახვის განსახორციელებლად. ტექსტი უპირველესად განიხილება აზრობრივ ასპექტში, ესე იგი, იმ ინფორმაციის (აზრის) გადაცემის ადეკვატურობისა და აღქმიდან გამომდინარე, რომელიც მისი შექმნის მთავარი მოტივაციაა. აქედან გამომდინარე, მასში ჭარბობს მთელი კომუნიკაციური აქტისათვის ჩადებული აზრი, რომელიც განისაზღვრება კონტაქტის კონკრეტული სიტუაციითა და კომუნიკაციის პარტნიორების ინტენციებით.

ტექსტის შექმნისას ინტენციის განხორციელება დაკავშირებულია ყველა იმ ფონთან, რომელიც განიხილავს ტექსტის აზრობრივ ხარისხს და მიზნის მიღწევასთან, რომლის საბოლოო ეფექტი დევს კომუნიკანტებს შორის ურთიერთგაგებაში. ურთიერთგაგების კატეგორიები ახასიათებს არა მარტო ტექსტის გარე ორგანიზებას (მაგალითად, მისი დასრულებულობა), არამედ მის შინაგან სტრუქტურას, რომელიც მიმართულია როგორც ტექსტის გამგზავნის, ისევე მისი მიმღებისაკენ. ინტენცია არ არის მიმართული ცალკეული გამონათქვამების ფორმირებაზე, არამედ გადასცემს იმ აზრს, რომელიც აღწერს კონკრეტულ სიტუაციას და არის კომუნიკანტების კონტაქტის საგანი.

ამრიგად, ჩვენ მიერ დამოწმებული ინფორმაციიდან კიდევ უფრო ცხადი ხდება, რომ ტექსტის მრავალგვარი დეფინიცია არსებობს. ამის მიზეზი, ალბათ, ტექსტის მრავალი ტიპის: სამეცნიერო, საგაზეთო, ოფიციალურ-საქმიანი, ლიტერატურული და ა.შ. არსებობაა. ვფიქრობთ, ტექსტის ლინგვისტიკის საგანიც ესაა, რომ ახსნას, რა ნიშან-თვისებები განასხვავებს ან აერთიანებს ტექსტის სხვადასხვა სახეობას. სემიოტიკური თვალსაზრისით თვით ქუჩები, აბრა თუ ნებისმიერი სარეკლამო აფიშაც, რომლებიც ინფორმაციას იძლევა - ტექსტია.

ზოგიერთ მკვლევარს შემოაქვს მცირე და დიდი მოცულობის ტექსტთა დაყოფა და, აქედან გამომდინარე, წინადადებასაც მცირე ტექსტად მიიჩნევენ. ჩვენ მიერ მოყვანილი ტექსტის განმარტებებიდან ძირითადად ტექსტის კომუნიკაციურ ფუნქციაზე მახვილდება ყურადღება, მაგრამ ლინგვისტური თვალსაზრისით აუცილებელია ტექსტის განმარტებისას ტექსტის კატეგორიების ხსენება, რომელზედაც ჩვენ შემდეგ თავში ვისაუბრებთ დეტალურად.

1.1. ტექსტის უნივერსალური კატეგორიები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტექსტის დეფინიციის დროს აუცილებელია ტექსტის კატეგორიების წინა პლანზე წამოწევა. ტექსტს აქვს გარკვეული კატეგორიები. „ტექსტის კატეგორიები არის აბსტრაქტული, სემანტიკურ-ფუნქციური და ლინგვისტური მნიშვნელობები, შეკავშირებული ობიექტური რეალობის მოვლენების ურთიერთობასთან, გამოხატული სხვადასხვა ენობრივი საშუალებებით“ (Чикина,1986:11). ნ. თევდორაძე ასე განმარტავს კატეგორიის არსს: „ზოგადად, კატეგორია არის ცნება, რომელშიც ასახულია ობიექტური სამყაროს მეტნაკლებად ზოგადი და არსებითი ნიშან-თვისებები, კავშირები და ურთიერთმიმართებები საგნებსა და მოვლენებს შორის. ხოლო ტექსტის კატეგორია არის ნიშანი, რომელიც დამახასიათებელია ნებისმიერი ტექსტისათვის და მის გარეშე არ შეიძლება მოიაზრობოდეს რაიმე სახის ტექსტი“ (თევდორაძე, 2011:99). როგორც ი. გალპერინი აცხადებს, „არ შეიძლება ვილაპარაკოთ კვლევის რომელიმე ობიექტზე, თუ არ შევისწავლეთ მისი კატეგორიები“ (, 1981 :4).

როგორც ტექსტის რაობის, ისე მისი კატეგორიების შესახებ სხვადასხვა აზრია გამოთქმული. ვ.ა. სერგია ამბობს, რომ „კამათი და დავა, სხვადასხვა მოსაზრების წამოყენება ტექსტის კატეგორიების შესახებ, ალბათ, დიდხანს გაგრძელდება. დრომ უნდა გვიჩვენოს, თუ რომელი კატეგორიაა ტექსტისთვის არსებითი და მუდმივი. სირთულეს ის ქმნის, რომ ტექსტის კატეგორიები სემანტიკური კატეგორიებია, ხოლო სემანტიკა ენათმეცნიერების ყამირია“, სერგია კი ტექსტის კატეგორიებად მიიჩნევს: გაბმულობას, თანმიმდევრობას და მოდალობას“ (სერგია, 1989:239).

ტექსტის თანამედროვე სტილისტიკა გამოყოფს შემდეგ ტექსტურ კატეგორიებს: მთლიანობას, შეკრულობას, სისრულეს და მოდალობას (Солганик,

1984:18) მთლიანობა და შეკრულობა ტექსტის მთავარი თვისებაა. ტექსტის მთლიანობაში დევს სიტუაციურობა, ანუ ტექსტის შემადგენლობის შეფარდება სინამდვილის გარკვეულ სიტუაციასთან (პუბლიცისტური ტექსტის შემთხვევაში). ტექსტის ორი კომპონენტი არის დაკავშირებული ერთმანეთთან, თუ კი მათ აქვს რაიმე საერთო ნაწილი. ტექსტში არ არის ისეთი კომპონენტი, რომ არ იყოს დაკავშირებული თუნდაც ერთ სხვა კომპონენტთან. ტექსტის კომპონენტების შეკრულობა მართულია, ერთ შემთხვევაში კომპონენტების თანმიმდევრობა უკავშირდება წინამდებარე კომპონენტებს (რეტროსპექცია), სხვა შემთხვევაში შემდგომებს (პროსპექცია)“ (Мурзин,1991:172).

სიტყვებში „შეკრულობა“, „სისრულე“ და „მთლიანობა“ უნდა ვიგულისხმოდეთ კოჰეზია და კოჰერენტულობა, რომლებიც ტექსტის მთავარი კატეგორიებია.

პროფესორი რუსუდან ენუქიძე ტექსტის რელევანტურ კატეგორიად პროცესუალობას თვლის: „პროცესუალობა მიჩნეულია ტექსტის რელევანტურ კატეგორიად. მას იკვლევენ სხვადასხვა კუთხიდან და სწავლობენ მისი გამოსახვის ნაირგვარ ასპექტებს... „პროცესუალობა“ ითვალისწინებს კომუნიკაციურ სიტუაციას, პრაგმატულ-სემანტიკურ მიზანდასახულობას და, რაც მთავარია, პროცესუალობა ხაზს უსვამს თხრობითი დინამიკის ფონზე, რაოდენობრივი დაგროვების საფუძველზე თვისობრივად ახალი ელემენტის შექმნას, ჩამოყალიბებას ძირითად ასოციაციურ დონეზე“ (ენუქიძე, 1990 :9).

გამომდინარე აქედან, თუ დავსვამთ კითხვას: „რა ნიშან-თვისებები უნდა ჰქონდეს ტექსტს, რომ იგი იქცეს ტექსტად“ ან „რა მოიაზრება ტექსტის კატეგორიებში“, როგორც ტექსტის დეფინიციის დროს, ამ შემთხვევაშიც ვერ მივიღებთ ცალსახა პასუხს. რა არის ამის მიზეზი? - რადგანაც ტექსტის კატეგორია უშუალო კავშირშია ტექსტთან, ხოლო ტექსტის განმარტების მრავალგვარი სახეობა არსებობს, შესაბამისად ლინგვისტიკაში ტექსტის კატეგორიათა ირგვლივ მეცნიერთა შორის არ არსებობს სრული თანხვედრა. ტექსტის განმარტებებს შორის, რომლებშიც ნახსენებია ესა თუ ის ტექსტური კატეგორია, გვხდება შემდეგი: „ტექსტი არის კომპლექსური, კოჰერენტული, ფარდობითად დასრულებულ წინადადებათა თანმიმდევრობა, რომელიც ორგანიზებულია გრამატიკული, კომუნიკაციურ-

პრაგმატიკული და ტექსტობრივ-კომპოზიციური წესებით“ (Богославская, 1986:168). გალპერინი ტექსტის კატეგორიებად განიხილავს ინფორმაციულობას, კოჰეზიას, კონტინუუმს, დანაწევრებულობას, რეტროსპექციას, პროსპექციას, მოდალობას, ინტეგრაციასა და დასრულებულობას.

მეცნიერები ტექსტის კატეგორიათა სისტემის ჩამოყალიბების დროს ითვალისწინებენ სამ მხარეს: სტრუქტურულ, შინაარსობრივსა და ფუნქციურს. ფუნქციაში კომუნიკაციას ასახელებენ. შინაარსობრივი მთლიანობა შედგება ტექსტის ყველა ელემენტის მეტყველების საგანთან შეკავშირებით. კომუნიკაციური მთლიანობა - ეს არის ავტორის კომუნიკაციური მიდგომის, ტექსტის მთავარი აზრისა და ენობრივი საშუალებებით მისი გამოხატვის ურთიერთკავშირი. სტრუქტურული მთლიანობა - ეს არის ტექსტის ნაწილების ურთიერთგანსაზღვრულობა: სათაურის, დასაწყისის, ძირითადი ნაწილისა და დასკვნისა. ტექსტის შეკრულობა, სემანტიკის დონეზე, გვარდება ობიექტის ერთობით. შემდგომი ინფორმაცია აერთიანებს წინამდებარე ნაწილის შინაარსს და ავრცობს მას.

ზოგიერთი მეცნიერი კი კატეგორიათა სისტემას მხოლოდ ორ: შინაარსობრივ და სტრუქტურულ ნაწილებად ჰყოფს. ვ. ოდინცოვი მხოლოდ ორ კატეგორიას გამოჰყოფს. შინაარსის კატეგორიას იგი მიაკუთვნებს თავად შინაარსს, თემას, თუ ლაპარაკია მხატვრულ ტექსტზე-ნაწარმოების იდეას. ფორმის კატეგორიად მხატვრულ ტექსტში იგი ასახელებს ენას, გამოხატვის საშუალებებს, კომპოზიციას, ხოლო სიუჟეტის კატეგორია აერთიანებს ორივეს ერთად - შინაარსისა და ფორმის კატეგორიებს (,1982:139). გალპერინიც ტექსტის კატეგორიებს ასევე შინაარსობრივ და სტრუქტურულ კატეგორიებად ჰყოფს, თუმცა, იგი მათ მკვეთრად არ მიჯნავს და ლაპარაკობს „სტრუქტურულ-შინაარსობრივ კატეგორიებზე“. სტრუქტურულ კატეგორიებს ზ. ტურაევა მიაკუთვნებს შეჭიდულობას, ინტეგრაციას, პროგრესია/სტაგნაციას, ხოლო შინაარსობრივს - ინფორმაციულობას, ქვეტექსტს, მხატვრულ სივრცესა და დროს“ (Тураева, 1986:21).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტექსტის სხვადასხვა კატეგორია გამოიყო მეცნიერთა მხრიდან, მაგრამ ამ კატეგორიებიდან უნივერსალურია: **კოჰეზია** და **კოჰერენტულობა**, რომლებიც ტექსტის თვისებებიცაა. გ. ლებანიძე ამ

კატეგორიებიდან ხაზს უსვამს კოჰერენტულობას, წინა პლანზე აყენებს მას და ამბობს, რომ თავის სტრუქტურაში კოჰერენტულობა ყველა კატეგორიას მოიცავს. იგი კოჰერენტულობას ტექსტის ორივე, შინაარსობრივ და ფორმობრივ, მხარეს ერთდროულად მიაკუთვნებს: „ტექსტის ყველა კატეგორია არა მარტო მეორეულია, კოჰერენტულობასთან შედარებით, არამედ, შეიძლება ითქვას, ნაწარმოებია მისგან და გულისხმობს მას, როგორც თავის საფუძველსა და საყრდენს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ტექსტის ყველა დანარჩენი კატეგორია - ეს არის იგივე კოჰერენტულობა დაკონკრეტებული გარკვეული ასპექტით“ (ლებანიძე, 2004:146).


კოჰერენტულობისაგან განსხვავებით კოჰეზიას ტექსტის სტრუქტურულ მხარეს მიაკუთვნებენ. კოჰეზია ტექსტის კომპონენტებს შორის დამაკავშირებელი საშუალებებია, ასეთ საშუალებებს კი მიეკუთვნება: კავშირები, ნაცვალსახელები, ზმნის ფორმები და ა. შ. კოჰეზია ტექსტის ცალკეულ მონაკვეთებს შორის გრამატიკულ, სემანტიკურ და ლექსიკურ შეკავშირებებს წარმოადგენს, რომელიც ტექსტის მთლიანობას უზრუნველყოფს.

ამრიგად, ვისაუბრეთ ტექსტის კატეგორიებზე და აღვნიშნეთ, რომ ტექსტის კატეგორიებად მეცნიერები სხვადასხვა ელემენტს ასახელებენ, მაგრამ უნივერსალურად ითვლება კოჰეზია და კოჰერენტულობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ტექსტის შინაარსობრივ და სტრუქტურულ ერთიანობას. ვფიქრობთ, რომ ტექსტის კატეგორიების გამოყოფის დროს აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული სტრუქტურული, შინაარსობრივი და ფუნქციური მხარე. თუ სტრუქტურულად მოწესრიგებულია წინადადება და დაცულია კოჰეზია და კოჰერენტულობა (რადგან მეცნიერები ორივე მხარეს მიაკუთვნებენ მას), თუ გასაგებია ტექსტის შინაარსი და დაცულია კოჰერენტულობა, მაშინ ის ყველა შემთხვევაში შეასრულებს თავის ფუნქციას, ანუ კომუნიკაციის საშუალება გახდება, რადგანაც კოჰეზია და კოჰერენტულობა ტექსტის თვისებებადაც აღიქმება, რომელსაც დაწვრილებით შემდეგ თავში განვიხილავთ.

1.2. ტექსტის თვისებები

ენათმეცნიერები ტექსტის თვისებებად აღიარებენ შემდეგ შვიდ კრიტერიუმს:

- კოჰეზია;
- კოჰერენტულობა;
- ინტენციონალურობა;
- აღქმა;
- ინფორმაციულობა;
- სიტუაციურობა;
- ინტერტექსტუალურობა.



შვიდივე კრიტერიუმის შესრულების შემდეგ წინადადებების გარკვეული რიგითობა შეიძლება ჩაითვალოს ტექსტად. ვ. დრესლერი თვლიდა, რომ თუ ტექსტი არ ასრულებს ამ ფუნქციას, მაშინ ის ტექსტად არ ჩაითვლება (Дреслер, 1984:126).

კოჰეზია - ტექსტის ზედაპირული სტრუქტურების შედგენის საშუალებაა. ტექსტის ზედაპირული სტრუქტურები უერთდება ერთმანეთს გრამატიკული ფორმებისა და დამოკიდებულებების მეშვეობით. კოჰეზიის საფუძველი

გრამატიკული დამოკიდებულებებია. ეს არის რთული რეფერენციული დამოკიდებულებები, ე. ი. ენობრივი გამონათქვამების შეფარდება რეალურ ობიექტებთან, რაც უკვე სემანტიკისა და პრაგმატიკის სფეროს მიეკუთვნება.

ნ. თევდორაძე თავის ნაშრომში დეტალურად საუბრობს კოჰეზიის ყველა იმ საშუალებაზე, რომლებიც ტექსტის მთლიანობას განაპირობებს: ტექსტის შიგნით წინადადებები ერთიანდებიან კავშირებით, რომელთა შორის აღსანიშნავია: ნაცვალსახელები, დროები და ა. შ. ზეფრაზული ერთიანობის სტრუქტურული მთლიანობის უზრუნველყოფი საშუალებები: სიტყვების რეკურენტულობა (შექცევითობა, შებრუნება), სინონიმური ჩანაცვლებები და პერიფრაზი; მნიშვნელობით ახლოს მყოფი სიტყვები, რომლებიც იმპლიკაციას ეფუძნებიან; ისეთი გრამატიკული საშუალებებია, როგორცაა; ადგილის, დროის, მიზნის, მიზეზისა და შედეგის და ა.შ. გარემოებანი; კავშირები, ე.წ. „შემცველი სიტყვები: - ნაცვალსახელები და ა.შ., რომლებიც განსაკუთრებული ტექსტოლოგიური ფუნქციით ხასიათდებიან. როგორც ლინგვისტურ ლიტერატურაში არის ცნობილი, ყველა ეს დონე, ყოველი ერთეული, მონაწილეობს კოჰეზიურობის რეალიზაციაში. მათ რიცხვს მიეკუთვნება როგორც ენის გრამატიკულ-მორფოლოგიური, ასევე ლექსიკურ-გრამატიკული საშუალებები (თევდორაძე, 2011:14-15).

კოჰერენტულობა - მოიცავს ტექსტში სუფთა, შემცველობით ურთიერთკავშირს. ტექსტის შემქმნელი და რეციპიენტი ცდილობენ დაამყარონ ურთიერთკავშირი ტექსტის სხვადასხვა კომპონენტებთან იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კავშირი არ არის მარკირებული ჩვეულებრივი (კოჰეზიური) საშუალებებით. ამ შემთხვევაში ტექსტის საფუძველს შეადგენს ნიშნების საერთო კომბინაცია, რომელიც ქმნის ეგრეთ წოდებულ „ტექსტის სამყაროს“ და იგი განისაზღვრება ტექსტის „აზრობრივი უწყვეტლობით“. სწორედ რომ ეს აზრობრივი უწყვეტლობა არის ტექსტის კონჰერენტობის საფუძველი“ (, 2003:103). „ტექსტის სამყარო“ - ეს არის აზრობრივი დამოკიდებულებების ერთობა, რომელიც დევს ტექსტის საფუძველში. არ არის აუცილებელი, რომ „ტექსტის სამყარო“ რეალურ სამყაროს ჰგავდეს: საუბარია სამყაროზე, რომელიც მოსაუბრის მიერ ჩადებულია ტექსტის საფუძველში მისი ცოდნითა და მისი ინტენციებით. „ტექსტის სამყარო“

შედგება კონცეპტებისა და კონცეპტებს შორის დამოკიდებულებებისაგან. კონცეპტები ყოველთვის სწორად ვერ ასახავს რეალურ სამყაროს. თუკი ჩნდება შეუსაბამობა წარმოდგენილი „ტექსტის სამყაროს“ კონცეპტების კომბინაციასა და სამყაროს შესახებ ჩვენს ცოდნას შორის, მაშინ ვერ ვხედავთ აზრის იმ უწყვეტობას და ეს ტექსტი ჩვენთვის უაზრო ხდება.

ინტენციონალურობა - ტექსტის შემქმნელის მცდელობა შექმნას შეკრული და აზრიანი ტექსტი, რომელიც ემსახურება გარკვეულ მიზანს.

პირველი სამი პოზიცია შეედრება ზემოთ ჩამოთვლილი ტექსტის მთავარ კატეგორიებს - მთლიანობასა და შეკავშირებას.

აღქმა - რეციპიენტის მოლოდინი, მიიღოს შეკრული და შინაარსიანი ტექსტი, რასაც ითვალისწინებს ადრესანტიც.

ინფორმაციულობა - რეციპიენტისათვის სიახლისა თუ მოულოდნელობის ხარისხი, წარმოდგენილი ტექსტის ელემენტებში. ინფორმაციული ტექსტები, რომლებიც დაკავშირებულია საქმის რეალურ მდგომარეობასთან, უფრო ეფექტიანია.

სიტუაციურობა - ფაქტორი, რომელიც ხდის ტექსტს რელევანტურს აქტუალური ან რეკონსტრუირებული კომუნიკაციური სიტუაციისათვის. ტექსტი ყოველთვის იმ სიტუაციის ანაბეჭდია, რომელშიც ის წარმოიქმნება და გამოიყენება. სიტუაციის განსაკუთრებულობა გვკარნახობს პარტნიორების კომუნიკაციური ქცევის გარკვეულ ნორმებს.

ინტერტექსტუალურობა - კონკრეტული ტექსტის შეფარდება გარკვეული ტიპის ტექსტთან და მისი შეფარდება სხვა ტექსტებთან. ინტერტექსტუალურობა ერთ-ერთი აქტუალური საკითხია და იგი მრავალი მეცნიერის კვლევის ობიექტად იქცა, ამიტომაც ამ საკითხის შესახებ მრავალი აზრია გამოთქმული. ტერმინები ინტერტექსტი და ინტერტექსტუალურობა პირველად შემოიტანა ფრანგმა სემიოტიკოსმა და პოსტმოდერნიზმის თეორეტიკოსმა, იულია კრისტევამ თავის ნაშრომებში, მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში. კერძოდ კი, 1967 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში - „ბახტინი, სიტყვა, დიალოგი, რომანი“, მან პირველად შემოიტანა ტერმინი ინტერტექსტუალურობა ლიტერატურის თეორიაში. ი. კრისტევასთვის ინტერტექსტუალურობა არის ტექსტის

უმთავრესი განზომილება, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტექსტის პროდუცირებაში და რომელსაც იგი ანიჭებს უფრო ზოგად მნიშვნელობას. „ნებისმიერი ტექსტი აიგება როგორც ციტატების მოზაიკა, ნებისმიერი ტექსტი წარმოადგენს სხვა ტექსტის ტრანსფორმაციისა და შთანთქმის შედეგს. ინტერსუბიექტურობის ნაცვლად საქმე გვაქვს ინტერტექსტუალურობასთან და პოეტური ენა იკითხება, სულ მცირე როგორც ორმაგი“ (Kristeva, 1969:440-441).

ჯ. კრისტევა შემდეგნაირად განმარტავს ინტერტექსტუალურობას: „ესაა დიალოგი რამდენიმე ნაწარმოებს შორის, სადაც ერთმანეთთან განუყოფლადაა დაკავშირებული ავტორი, მკითხველი და მიმდინარე თუ წარსული კულტურული კონტექსტი“ (Kristeva, 1980: 69).

საინტერესოა როლან ბარტის მოსაზრება: „ტექსტი ეს არის ქსოვილი, რომელიც განპირობებულია წინამორბედი ტექსტებით. ავტორის სიძლიერე იმაში მდგომარეობს, რომ შეძლოს უკვე არსებულისა და საკუთარის ჰარმონიულად შერწყმა ისე, რომ შეიქმნას ახალი ნაწარმოები“ (Barth, 1994:424-461).

ლ. ჯენის თვალსაზრისით: „ინტერტექსტუალურობა, ესაა კავშირი რამდენიმე ტექსტს, ან მოცემულ ტექსტსა და „არქე-ტექსტს შორის“ (Jenny, 1976: 262). ინტერტექსტუალურობის არსზე საინტერესო აზრს გამოთქვამს რიფატერი: „მკითხველის მიერ მოცემულ ნაწარმოებსა და სხვა მანამდე შექმნილ თუ მომდევნო ნაწარმოებებს შორის არსებული კავშირების აღქმა არის ინტერტექსტუალურობა. ეს სხვა ნაწარმოებები წარმოადგენენ პირველის ინტერტექსტს“ (Riffaterre, 1979:125). მოცემული განმარტებები გვიჩვენებს, რომ ინტერტექსტუალურობა ძირითადად განხილულია როგორც ტექსტებს შორის კავშირი, შესაბამისად, ვფიქრობთ, ეს საკითხი ერთ რომელიმე საფეხურზე არ ამოიწურება, პირიქით, მის ირგვლივ უფრო მეტი განმარტება და სიახლე გაჩნდება, რადგან მუდამ იქმნება ახალი ტექსტები და ტექსტიც ახალი აზრებისა და კავშირების ჩამოყალიბების დინამიკურ პროცესში იქნება. ვფიქრობთ, ინტერტექსტუალურობა იმიტომ ითვლება ტექსტის ერთ-ერთ თვისებად, რომ ნებისმიერი შექმნილი თუ შესაქმნელი ტექსტები ურთიერთთანაარსებობენ ერთმანეთში, ანუ, ჩვენი აზრით, ეს შეიძლება ჩავთვალოთ ევოლუციურ მოვლენად. რას ვგულისხმობთ ტექსტის

ევოლუციურობაში? იმას, რომ ახალშექმნილი ტექსტი „ცხოვრობს“ მანამდე არსებული ტექსტების საფუძველზე და ამავდროულად თავად ხდება მის შემდგომ შესაქმნელი ტექსტების საფუძველი.

მაშასადამე, ტექსტის კატეგორიები და თვისებები იძლევა საქმის რეალური მდგომარეობის წარმოდგენის შესაძლებლობებს და აუცილებლად განაპირობებენ ტექსტის ფუნქციონირებას.

ჩვენი მიზანია, სათაურის კვლევა პუბლიცისტურ ტექსტებში, ამიტომ ვისაუბრებთ პუბლიცისტური ტექსტების თვისებებზე. პუბლიცისტურ ტექსტს მიეკუთვნება: პოლიტიკური სტატია, რეპორტაჟი, მიმართვა, რეკლამა, მოწოდება, მცნება, ფელეტონი, განცხადება, ბიოგრაფია, რეცენზია, ლოზუნგი, პამფლეტი, ნარკვევი, ჩანახატი და ა. შ. ამგვარი ტექსტების მიზანია, საზოგადოების ინფორმირება ახალი ფაქტების, კულტურის, მოვლენების, მეცნიერებისა თუ ტექნიკის მიღწევების შესახებ. აგრეთვე, მათი მიზანია, აქტუალური საკითხებისთვის პროპაგანდის გაწევა, საზოგადოებრივი შეგნებისა და განათლების დონის ამაღლება. სახალხო ტელევიზიის საშუალებების (მასმედია) ტექსტები გამოირჩევა მხატვრული ლიტერატურისა და თეორიული ნაშრომების ტექსტებისაგან თავისი მიზნით - გააშუქოს აქტუალური მოვლენები. გაზეთებიდან უპირველესად ჩვენ ველოდებით სიახლეს, სწორედ, ეს მოლოდინი განასხვავებს მასმედიას მხატვრული ლიტერატურისგან.

თანამედროვე პრესას ახასიათებს ტრადიციულად გამოკვეთილი ფუნქციები: ინფორმაციულობა და ზემოქმედებითობა. ინფორმაციული ფუნქცია არის პირველადი, რითაც ხდება მასმედიის მთავარი მიზნის შესრულება - ხალხისათვის ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა მოვლენაზე, მაგრამ მისგან განუყოფელია ზემოქმედებითი ფუნქციაც, რომელიც ორიენტირებულია ადრესატის შთაგონებაზე. მასმედია აქტიურად მოქმედებს სახალხო შეგნების ჩამოყალიბებაზე, ასახავს ხალხის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას იმ მომენტში, მის სოციოკულტურულ განწყობას. მასმედიის ტექსტი ასრულებს სოციალურ ფუნქციას და არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყარო ჩვენ ირგვლივ არსებული რეალობის შესახებ. პუბლიცისტური ტექსტების თავისებურება ჩანს ადრესატის მხრიდანაც. ყველა

ტექსტი შექმნისას, რა თქმა უნდა, ორიენტირებულია გარკვეულ ადრესატზე. პუბლიცისტური ტექსტის თავისებურება - მასიური ადრესატია, რომლის სპეციფიკა აისახება ტექსტის სტრუქტურაზე (სინტაქსური, სემანტიკური, კომუნიკაციური და ა. შ.).

გამომდინარე აქედან, თანამედროვე პუბლიცისტიკის საგნად მიიჩნევა გარემომცველი რეალობა, რომელიც შეკავშირებულია სოციალურ მოვლენებსა და სიტუაციებთან. მასმედიის ტექსტების შექმნისას უნდა იქნეს გათვალისწინებული ადრესატის ფაქტორი, რადგან ზუსტად ის მოქმედებს ტექსტის სტრუქტურაზე და ტექსტი მიმართულია, შეასრულოს მასმედიის უმთავრესი ფუნქცია - ინფორმირება და ზემოქმედება. პუბლიცისტური ტექსტების კითხვა იწყება სათაურის აღქმითა და გაანალიზებით, რომელსაც შეჰყავს მკითხველი ტექსტის სამყაროში.

თავი II. სათაური - ტექსტი თუ ტექსტის კომპონენტი

როგორც ტექსტის კატეგორიები, ასევე ტექსტის სათაურიც არის ისეთი საკითხი, რომელიც დღემდე ბოლომდე არაა შესწავლილი და რომლის მეცნიერული კვლევა აქტუალურობას არ კარგავს. სწორედ, ამაზე მეტყველებს მრავალრიცხოვანი ლინგვისტური თუ ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევები. დღემდე მიმდინარეობს დისკუსია იმაზე, რომ სათაური ტექსტია თუ ტექსტის კომპონენტი და რა ადგილი უნდა დაიკავოს მან ენობრივ ნიშანთა იერარქიულ სისტემაში. არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ სათაური შეიძლება იყოს როგორც ტექსტის ნაწილი, ასევე დამოუკიდებელი ტექსტი. ტექსტის კითხვა იწყება სათაურიდან. სათაურს აქვს გარკვეული სინტაქსური და სივრცობრივი პოზიცია და, როგორც წესი, გამოყოფილია გრაფიკულად. როდესაც ვსაუბრობთ სათაურზე, ყველა მკვლევარი აღნიშნავს, რომ, ერთი მხრივ, ეს არის ენობრივი სტრუქტურა, რომელიც წინ უძღვის ტექსტს, რის შემდეგაც მას აღვიქვამთ როგორც ტექსტის გარე მდებარე მეტყველებით ელემენტს, რომელსაც აქვს გარკვეული დამოუკიდებლობა. მეორე მხრივაც, სათაური - ტექსტის სრულუფლებიანი კომპონენტია, რომელიც შედის მასში და მთელი ნაწარმოების ყველა კომპონენტთან არის კავშირში.

როგორია სურათი ამ პრობლემის (სათაური ტექსტი თუ ტექსტის კომპონენტი) ირგვლივ? რა თქმა უნდა, მეცნიერთა მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული ამასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, გამოიკვეთა ორი მხარე: ერთნი, სათაურს ტექსტად თვლიან, ხოლო მეორენი კი - ტექსტის შემადგენელ ნაწილად. კრუჟიანოვსკის აზრით, „სათაური ავტორის სტილისა და მხატვრული აზროვნების მაჩვენებელია. ის ისე უნდა იყოს ორგანულად დაკავშირებული ტექსტთან, როგორც ტექსტში შემავალი თითოეული სიტყვა მათი საშუალებით გადმოცემულ ამბავთან“ (, 1931: 19). ის სათაურს ნაწარმოების ავტორისა და მოცემული ეპოქის კულტურის მომხმარებლის მახასიათებლად მიიჩნევს. აგრეთვე, მას სათაურის ღირებულების წარმოსაჩენად მოჰყავს ძალიან კარგი შედარება: „წიგნზე დაწერილ სათაურს ისეთივე დანიშნულება აქვს, როგორც კონვერტზე დაწერილ მისამართს“. „წიგნი - ეს არის ბოლომდე გაშლილი სათაური,

სათაური კი ორ-სამ სიტყვამდე დაყვანილი მთლიანი ტექსტი“ (, 1931:4).

გალპერინი სათაურს განიხილავს როგორც ტექსტის მთლიანობის გარანტს, რამდენადაც სწორედ სათაურით იწყება ტექსტის ფორმალური თუ სემანტიკური მთლიანობა: „სრულყოფილ ტექსტად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის, რომლის შინაარსი და დასრულებულობაც შეესაბამება მის სათაურს, იგი კონსტრუირებული და ორგანიზებული უნდა იყოს განსაზღვრული წესების მიხედვით და ატარებდეს კომუნიკაციის კოგნიტურ, ინფორმაციულ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ დატვირთვას“ (, 1981:27). გალპერინის ლინგვისტურ კონცეფციაში სათაური წარმოადგენს საწყის წერტილს ტექსტის კონცეპტის შექმნაში. მისი მაპროგნოზირებელი ეფექტი მკითხველის ყურადღებას მიმართავს ნაწარმოების მთავარი იდეისკენ. სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტების უმეტესობას აქვთ სათაური, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად გამოხატავენ ნაწარმოების იდეას, მის კონცეპტს“ (, 1981:133-134).

ლოტმანი სათაურის ორგვარ ინტერპრეტაციას იძლევა: ა) ერთი მხრივ, ისინი შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთი ტექსტის ორი ქვეტექსტი; ბ) მეორე მხრივ, ისინი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ორი დამოუკიდებელი ტექსტი, რომლებიც „ტექსტი - მეტატექსტის“ იერარქიაში სხვადასხვა დონეებზე არიან განთავსებულნი; სათაური შეიძლება მიემართებოდეს მის მიერ სახელდებული ტექსტისკენ უშუალოდ ან მეტაფორის ან მეტონიმის პრინციპით. ის შეიძლება რეალიზებული იყოს პირველადი ენის სიტყვების მეშვეობით, რომლებიც გადაითარგმნება მეტატექსტის რანგში, ან მეტაენის სიტყვებით და ა. შ. შედეგად, სათაურსა და მისით სახელდებულ ტექსტს შორის წარმოიქმნება რთული აზრობრივი გამა, რომელიც წარმოშობს ახალ შეტყობინებას, ანუ ქვეტექსტს“ (Лотман, 1992:129-132).

„ნებისმიერი მოთხრობა, სურათი, ლექსი რთული მთლიანობაა, რომელიც შედგება სხვადასხვა ელემენტისაგან; ისინი ორგანიზებულნი არიან განსხვავებულ დონეებზე, დაქვემდებარებისა და ურთიერთკავშირის განსხვავებულ იერარქიაში; ამ რთულ მთლიანობაშიც ყოველთვის ჩნდება რომელიღაც დომინირებული მომენტი,

რომელიც განსაზღვრავს მთელი მოთხრობის აგებულებას, მისი თითოეული ნაწილის არსსა და დანიშნულებას“ (, 1987:193).

„სათაური დამოუკიდებლად, ტექსტიდან მოწყვეტილი უნდა უდრიდეს ტექსტის მიერ გადმოცემული მთლიანი ინფორმაციის ჯამს, რაც ასე არ არის. სათაური ინფორმაციულობის ფართო დიაპაზონს იძენს მხოლოდ ტექსტთან მიმართებით, თავად ტექსტი კი მთავარ სათქმელს სათაურის მეშვეობით გადმოსცემს, ამდენად მათი კავშირი ორგანულია. სათაური, რაოდენ გამომხატველობითი და ინფორმაციულიც არ უნდა იყოს, მაინც ტექსტის შემადგენელი ნაწილია, თუმცა უფრო მეტად ინფორმაციული, ვიდრე მისი სხვა რომელიმე ნიშანი... სათაური, როგორც ტექსტის ძლიერი პოზიციის მქონე ელემენტი, მთავარი იდეის წამოწევას უზრუნველყოფს, მაგრამ ეს ხორციელდება მხოლოდ ტექსტის ფარგლებში, ვინაიდან დამოუკიდებლად იგი სრულყოფილად ვერ რეალიზდება ინფორმაციულობის თვალსაზრისით. ამდენად, სათაური ტექსტის ერთ-ერთ შემადგენელ აზრობრივ-კომპოზიციურ ელემენტად მიიჩნევა, რომელიც თავისი განსაკუთრებული ადგილის გამო ძლიერ პოზიციას წარმოადგენს მისი თანმხლები ყველა მახასიათებელი ატრიბუტით“ (გაბადაძე, 2015: 38).

ჟენეტი სათაურზე წერს შემდეგნაირად: „სათაური ტექსტისგან დამოუკიდებელი, ავტონომიური ერთეულიც არის და მისი შემადგენელი ნაწილიც, რომელსაც სპეციფიკური დამოკიდებულება აქვს ტექსტის დანარჩენ ნაწილებთან. ეს თეორიული მიდგომა ეფუძნება იმ აზრს, რომ ნებისმიერი ტიპის ლიტერატურულ სათაურს შესწევს თვითინტერპრეტაციის უნარი“ (Genette, 1988: 692).

მკვლევრების უმეტესობა ერთხმად თვლიან, რომ ყველა ტექსტის სათაური (მხატვრული, პუბლიცისტური და სხვა) - არის ტექსტის განსაკუთრებული ელემენტი, შეუძლია იფუნქციონიროს დამოუკიდებელ ერთეულად და იყოს ტექსტის მეტონიმური შემცვლელი.

ის, რომ სათაური ჩავთვალოთ ტექსტად თუ ტექსტის კომპონენტად, ვფიქრობთ, ამისათვის სათაური უნდა განვიხილოთ ორ ჭრილში: „სტრუქტურული თვალსაზრისით, ტექსტად შეიძლება ჩაითვალოს თემატურად ურთიერთდაკავშირებულ წინადადებათა თანმიმდევრობა, რომელიც აზრობრივ

მთლიანობას ქმნის. ამ განსაზღვრების თანახმად, ტექსტის ქვედა ზღვარი დახურულია, რადგანაც იგი გულისხმობს მინიმუმ ორი წინადადების თანმიმდევრობას, მაშინ როდესაც მისი ზედა ზღვარი ღიაა თემის ცვალებადი დიაპაზონის გამო“ (კირვალიძე, 2008: 14). „ფუნქციური პოზიციიდან კი ის, თუ რამდენად დამოუკიდებლად შეუძლია მას განახორციელოს კომუნიკაცია (ანუ, გადასცეს ინფორმაცია). შესაბამისად, ფუნქციური თვალსაზრისით, ტექსტად შეიძლება ჩაითვალოს არა მხოლოდ თემატურად ურთიერთდაკავშირებულ წინადადებათა თანმიმდევრობა, არამედ თუნდაც ერთი წინადადება ან ერთი სიტყვაც კი, თუ მას შეუძლია დამოუკიდებლად შეასრულოს კომუნიკაციის ფუნქცია“ (ლებანიძე, 2004: 277–278).

რაც შეეხება ჩვენს მოსაზრებას ამ საკითხთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, რომ ამ კითხვაზე, სათაური ტექსტია თუ ტექსტის კომპონენტი, პასუხის გასაცემად უნდა გავითვალისწინოთ სტრუქტურული და ფუნქციური მხარე. სტრუქტურული თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, სათაური ვერ იქნება ტექსტი, რადგან ნებისმიერი ენობრივი წარმონაქმნი ტექსტად რომ ჩაითვალოს, მას უნდა ჰქონდეს ყველა ტექსტური კატეგორია და ტექსტობრივი თვისებები. სათაური ტექსტის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი უფრო არის, ვიდრე ტექსტი. ფუნქციური თვალსაზრისით კი სათაური შეიძლება ჩაითვალოს ტექსტად, რადგან იგი კომუნიკაციის როლს ასრულებს, იძლევა პროგნოზის საშუალებას, ანუ მისი მეშვეობით ადრესანტსა და ადრესატს შორის ჩნდება საკომუნიკაციო ობიექტი - სათაური, თუმცა ალუზიური, მეტაფორული, იმპლიციტური დასათაურების შემთხვევაში მხოლოდ სათაურის ამოკითხვა „არასწორი კომუნიკაციის“ მიზეზი ხდება, რადგან ასეთ დროს დამსათაურებელს ტექსტში მეტაფორულად აქვს ჩადებული მთავარი სათქმელი და, ვფიქრობთ, ტექსტის წაკითხვაა საჭირო. ასე რომ, ამ შემთხვევაშიც საეჭვო ხდება სათაურის ტექსტად ჩათვლა.

ამრიგად, მოცემულ თავში წარმოვადგინეთ მოსაზრებები იმის შესახებ, სათაური ტექსტია, თუ ტექსტის კომპონენტი. მიმოვიხილეთ საკითხთან დაკავშირებული რამდენიმე მეცნიერის მოსაზრება. აგრეთვე, დავაფიქსირეთ ჩვენეული თვალთახედვა, რომ ამ საკითხის ახსნისას, საჭიროა სათაურთა ორ

ჭრილში განხილვა, ესაა: სტრუქტურული, რომლის მიხედვითაც ყველა სათაური არ ჩაითვლება დამოუკიდებელ ტექსტად და ფუნქციური, რომლის მიხედვითაც ყველაფერი ტექსტია, რაც კომუნიკაციის როლს ასრულებს, შესაბამისად სათაურიც უნდა ჩაითვალოს ტექსტად.

2.1. ტექსტის სათაურის ბუნება თანამედროვე ლინგვისტიკაში

ტექსტის სათაური წლების მანძილზე იყო ლინგვისტიკის სფეროს ინტერესის ობიექტი და დღესაც აქტუალურ თემად რჩება მისი კვლევა სხვადასხვა ასპექტით. ლინგვისტური თვალსაზრისით, სათაური ტექსტის დასახელებაა, ხოლო სემიოტიკურად - ის ტექსტის პირველი ნიშანია. სათაური ყველაზე ნათლად გადმოსცემს ინტერპრეტაციების სიმრავლეს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტექსტის გაგებასა და მთლიანობის შექმნაში. ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ სათაური ტექსტის განუყოფელი ნაწილია, მაგრამ თუ ფორმას დავაკვირდებით, სათაური განცალკევებულად დგას ტექსტისგან, დაშორებულია პირველ აზრს და შრიფტიც განსხვავებულია, ანუ მას თავისებური გრაფიკული აგებულება აქვს. ხშირად სათაურსა და ტექსტს შორის ათავსებენ ეპიგრაფს, შესავალსა და წინასიტყვაობას, მაგრამ სათაური, მიუხედავად ასეთი დაშორებებისა, ამ შემთხვევაშიც არ კარგავს კავშირს ტექსტთან. არსებობს ენობრივი და ტექსტური ნიშნები. პირველი საჭიროა ტექსტის აგებისათვის, ანუ ის არის ტექსტის „აშენების“ საშუალება. თვით ტექსტი რომ შედგეს აუცილებელია ტექსტური ნიშნები: ეპიგრაფი, ეპილოგი, პროლოგი, პრეცედენტული ფენომენები და რა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანესი და ტექსტის მთავარი ნიშანი - სათაური.

სათაურის კვლევა ხორციელდება შემდეგი მიმართულებით:


1. სათაურის კვლევა თარგმანმცოდნეობაში, რაც გულისხმობს სათაურის თარგმნის დროს წამოჭრილი პრობლემების ოსტატურად დაძლევას. სათაურების თარგმნისას აუცილებელი ხდება ლექსიკურ-გრამატიკული და სტილისტიკური ტრანსფორმაციების განხორციელება. საგაზეთო სტატიები, რომელთა მიზანია ინფორმირება, ახსნა და მკითხველის დარწმუნება, იქნება ეს თარგმანი თუ

ორიგინალი, გასაგები უნდა იყოს, უნდა იცავდეს შესაბამისი რეგისტრის ლინგვისტურ ნორმებს, რაც, თავისთავად, დამატებითი სიტყვების გამოყენებასა და გრამატიკული სტრუქტურის ცვლილებას გულისხმობს, რომ ის აზრი, რომელიც მოკლედ არის ჩამოყალიბებული ერთ ენაზე, სრულყოფილად იქნას გადმოცემული მეორეში;

2. „სათაურის პოეტიკის“ მიმართულებით, რომლის არსიც წარმოდგენილია თეზისით – „მხატვრულ–ლიტერატურული ტექსტის სათაური, როგორც ფილოლოგიური პრობლემა“;

3. სათაურის კვლევა ნარატოლოგიაში, რამაც იმდენად მასშტაბური ხასიათი მიიღო, რომ მის წიაღში აღმოცენდა და 21-ე საუკუნის დასაწყისში ცალკე მიმართულებად ჩამოყალიბდა ლიტერატურის თეორიის სრულიად ახალი დარგი, ე.წ. „სათაურთ-მცოდნეობა“ (გიბონსის ტერმინოლოგიით – titology);

4. საკუთრივ ლინგვისტური მიმართულებით, რაც ძირითადად ხორციელდება საგაზეთო სათაურებზე და მათში ყურადღება მახვილდება სათაურის სტრუქტურულ და ინფორმაციულ თავისებურებებზე, სხვადასხვა გრამატიკულ საშუალებათა მოდიფიკაციაზე, მათ ენობრივ გაფორმებასა და ლინგვოსტილისტიკურ სპეციფიკურობაზე. ჩვენი ნაშრომის მიზანიც ეს არის, რომ გამოვიკვლიოთ სათაური ლინგვისტური მიმართულებით, ვნახოთ, რა სახის მოდიფიკაცია განიცადა მან დროთა განმავლობაში.



სანამ სათაურს კონკრეტულად ლინგვისტურ ლიტერატურაში განვიხილავთ, მანამ მიმოვიხილოთ ზოგადად სათაურის ფუნქცია და თვისებები.

„სათაურში ჩატეულია მთელი მხატვრული სამყარო, ავტორის გზავნილი და ნაწარმოების დედააზრი, რომლის გაშიფვრაც იწყება იმ წუთიდან, როდესაც მკითხველი ეცნობა სათაურს და მიმდინარეობს უწყვეტად მთელი კითხვის პროცესში. უაღრესად დიდია სათაურის როლი ტექსტის აღქმასა და ინტერპრეტაციაში. სწორედ სათაური არის ტექსტის ის ნაწილი, რომელიც უპირველესად იქცევს მკითხველის ყურადღებას და არწმუნებს მას ნაწარმოების წაკითხვის აუცილებლობაში“ (გაბადაძე, 2015:19).

სათაურსა და მის შერჩევას ასე აფასებს ცირა ბარბაქაძე: „თანამედროვე სამყაროში ტექსტის სათაური არის ამავე დროს რეკლამა - ბრენდის ნაწილი, ტექსტის პასპორტი, ფასადი, სახე, გზამკვლევი, დროშა და სიმბოლური ნიშანიც... ტექსტისთვის სახელის დარქმევა შემოქმედებითი მოღვაწეობაცაა და ერთგვარად შემოქმედის მოღვაწეობაც... რაღაც ახალი ქმნადობა. ავტორი ტექსტის ბატონ-პატრონია, მან კარგად იცის, რისთვის, რატომ, რა მოტივებით შეიქმნა ტექსტი. გაცნობიერებული აქვს მისი არსი, ფუნქცია, დანიშნულება, აზრი (ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც ეს შესაძლებელია...). ენის ქაოსიდან ავტორი ქმნის ტექსტს, ანიჭებს მას სიცოცხლეს და დამოუკიდებლობას და აუცილებლად აძლევს სახელს (სათაურს). ეს პროცესი შეგვიძლია შევადაროთ ბავშვის დაბადებას, როცა მშობელი მას არქმევს სახელს. ტექსტის სათაური (ისევე, როგორც ბავშვის სახელი) შეიძლება არ განსაზღვრავს და არ ამოწურავს ყველაფერს, მაგრამ აუცილებელია, როგორც მისი არსებობის ნიშანი. სახელდება - ეს არის გამორჩევა სხვა დანარჩენისგან. ინფორმაციულ ოკეანეში ჩვენ ვარჩევთ ტექსტებს სახელებით ანუ სათაურებით (ბარბაქაძე, 2011 :145).

კონსტანტინე გამსახურდია მისთვის ჩვეული კატეგორიულობით წერდა: „არაფერი ისე არ ახასიათებს მწერალსა და მის სტილს, როგორც სათაური. სათაური იგივეა, რაც თვალი ადამიანისა, ან სარკმელი კაცთა სამყოფელოსი. სათაური ჰგავს მეომრის მიერ პირველ მოქნევას ხმლისას. მსოფლიო ნოველისტიკაში მე სულ

რამდენიმე წიგნი მეგულება ისეთი, რომელთაც ეგზომ ბრწყინვალე სათაური ჰქონდეს“ (გამსახურდია, 1963:517).

სათაურების ანალიზი ძალიან მნიშვნელოვანია ტექსტური ინფორმაციის აღქმის თვალსაზრისით, რადგანაც სათაურები მიეკუთვნება ძლიერ ტექსტურ ნიშანს და წარმოადგენს ტექსტის აუცილებელ ნაწილს. სათაური პოლიფუნქციურია, ინდექსური ნიშნის სახით მიუთითებს ტექსტზე, ასრულებს მისი რეპრეზენტატის როლს.

სათაურს აქვს **გარეგანი ფუნქცია** - მისი ამოცანაა ერთი ნაწარმოების სხვა ნაწარმოებისაგან განსხვავება და **შინაგანი ფუნქცია** - კულტუროლოგიური დამახსოვრება, ინფორმაციულობას+ტექსტთან მიყვანა, უნდა იყოს დამაინტერესებელი და არა, როგორც ხშირად ამბობენ - „დამაინტრიგებელი“.

იმის მიხედვით, თუ რომელი – გარეგანი თუ შინაგანი – ფუნქცია დომინირებს, გამოყოფენ სათაურთა ორ ტიპს: გარე მიმართულების სათაურს, რომელიც მკითხველისკენაა მიმართული და მის ემოციებზე ზემოქმედებს; და შიდა მიმართულებისას, რომელიც მიემართება ტექსტს და ცხოველმყოფლობას ანიჭებს ენის პარადიგმატულ საშუალებებს, მონაწილეობს ტექსტის სემანტიკურ და კომპოზიციურ ორგანიზებაში.

მ. გაზადაძე სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული განზოგადების საფუძველზე, როგორც თავად მიუთითებს, მხატვრულ ნაწარმოებთა სათაურების შემდეგ ძირითად ფუნქციებს გამოყოფს:

1. ნომინაციური ფუნქცია, რომლის ძირითად დანიშნულებას წარმოადგენს ტექსტის იდენტიფიკაცია და მისი სხვა ნაწარმოებებისგან დიფერენცირება. ეს არის ფუნქცია, რომელსაც სათაურის ყველა მკვლევარი მის აუცილებელ, ობლიგატორულ დანიშნულებად აღიარებს;

2. ინფორმაციული ბირთვის შემცველი ფუნქცია, რომელიც მკითხველს ნაწარმოების შინაარსზე და მის ძირითად კონცეპტზე მიაწოდებს. სათაური იმ ინფორმაციული ბირთვის მატარებელია, რომელიც ტექსტში განივრცობა. ეს ურთიერთკავშირი სათაურსა და ტექსტს შორის ცვალებადობს და შესაძლოა მათი მიმართება იყოს როგორც პირდაპირი და ფაქტობრივი ხასიათის, ასევე სიმბოლური

და მეტაფორიზებული. ნებისმიერ შემთხვევაში, სათაურში დევს ძირითადი ინფორმაცია ტექსტის შესახებ;

3. ესთეტიკური ფუნქცია, როცა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მკითხველზე ემოციური ზემოქმედება;

4. რეპრეზენტაციული ფუნქცია, რომელიც თავისი დანიშნულებით ორმხრივია – ერთი მხრივ, სათაური წარმოადგენს მის ქვეშ განთავსებული ტექსტის რეპრეზენტანტს; მეორე მხრივ კი, სათაური ერთმანეთთან აკავშირებს მკითხველს და ტექსტს, რადგანაც სათაური არის პირველი ტექსტობრივი ერთეული, რომელსაც ეცნობა მკითხველი ნაწარმოების წაკითხვამდე;

5. ტექსტის წარმომქმნელი ფუნქცია, რომლის არსიც მდგომარეობს ტექსტის კოჰეზია–კოჰერენტულობის რეალიზებაში. სათაური არის ტექსტის ძირითადი შემაკავშირებელი და ნაწარმოების როგორც ფორმალური, ისე სემანტიკური მთლიანობის საწინდარი;

6. მაპროგნოზირებელი ფუნქცია, რომლითაც სათაური მკითხველს აძლევს შესაძლებლობას წინასწარ განჭვრიტოს მხატვრული ტექსტის შინაარსი და სიუჟეტის შესაძლო განვითარება. შესაბამისად, სათაური ერთდროულად მკითხველის განწყობის განმსაზღვრელიცაა და მის მიერ პირველი პროგნოზის გაკეთების საფუძველიც;

7. განმაცალკევებელი ფუნქცია, რომლითაც სათაური გამოყოფს ტექსტს მის გარშემო არსებული სივრცისაგან. ამ ფუნქციის რეალიზება უმთავრესად ხდება პოლიგრაფიული ხერხებით: სათაური იბეჭდება ტექსტის წინ, განსხვავებული შრიფტით, ფერით და ა.შ.;

8. სარეკლამო ფუნქცია, რომელიც ორიენტირებულია სამომხმარებლო ბაზარზე, როდესაც სათაური ცდილობს მიიზიდოს მკითხველი აზრობრივი თუ ენობრივი გაფორმების ორიგინალურობით. სათაურის ამ ასპექტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას გამომცემლები ანიჭებენ, რის გამოც ისინი ხშირად ერევიან მის შერჩევაში და თანამშრომლობენ ავტორებთან. ნაწილობრივ, სარეკლამო ფუნქციასთან არის დაკავშირებული „მაცდუნებელი“ სათაურების კვლევაც, რომლებიც არა მხოლოდ ტექსტის ინტერპრეტაციაში ასრულებენ მთავარ როლს,


არამედ მკითხველის ინტერესის სტიმულირებას ახდენენ, რითაც უზრუნველყოფენ წიგნის გაყიდვას. შეიძლება ითქვას, რომ არსებობს შესაბამისობა სათაურის სარეკლამო ფუნქციას, წიგნის ტირაჟსა და მის სამომხმარებლო ბაზარს შორის; სარეკლამო ფუნქცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პუბლიცისტურ ტექსტშიც და იქ განვიხილავთ დეტალურად;

9. ექსპრესიულ–აპელაციური ფუნქცია, რომლის არსიც მდგომარეობს სათაურის დანიშნულებაში, მოახდინოს მკითხველზე ემოციური ზემოქმედება.

10. ტექსტის ინტერპრეტაციის „გასაღების“ ფუნქცია, რაც დაკავშირებულია სათაურის სპეციფიკურ - სემანტიკურ პოტენციალთან. საკუთარ თავში მოიცვას მთლიანი ტექსტის აზრობრივ ბირთვს, საკვანძო სიტყვას ან სიტყვათა ერთობლიობას. რამდენადაც სათაური ტექსტის დასრულების შემდეგ ეძლევა ნაწარმოებს, იმდენად იგი თავისთავად არის ტექსტის ინტერპრეტაციის გასაღები, ხოლო ავტორი კი – ტექსტის პირველი ინტერპრეტატორი;

11. მკითხველის აღქმის მაორგანიზებელი ფუნქცია, რაც გულისხმობს სათაურის წარმმართველ როლს კითხვის პროცესში;

12. იზოლაციისა და დასრულებულობის ფუნქცია, როცა სათაური ტექსტს სხვა ტექსტებისაგან გამოყოფს და ნაწარმოებს ანიჭებს დამოუკიდებლობას (გაბადაძე, 2015: 29-32).



ეს ფუნქციები შეიძლება უნივერსალიებად ჩაითვალოს იმდენად, რამდენადაც მათ არსებობას კომპრომისების გარეშე აღიარებენ როგორც ლინგვისტები, ასევე ლიტერატურათმცოდნეებიც.

„სათაური ტექსტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დეტალია. იგი მკითხველს ეხმარება, გამოიცნოს პუბლიკაციის თემა და მისი მთავარი იდეა, ავტორისეული

პოზიცია. სათაურის შერჩევა კარგად დაფიქრებას, ოსტატობას მოითხოვს ჟურნალისტიკაგან, რომელიც, მართალია, დროით შეზღუდულია, მაგრამ ვალდებულია, ის ოსტატურად მოარგოს ტექსტს“ (ცეცხლაძე, ხახუტაიშვილი, 2014 :73).

„სათაური უნდა იყოს ტექსტის ინტერპრეტაციის „გასაღები“, მან უნდა გააერთიანოს ნაწარმოების არსი და შეკრას ის ერთ მთლიან ერთეულად“ - წერს გიბსონი (Gibbons, 2007: 4).

სათაური ტექსტის ძლიერ ნიშნებს მიეკუთვნება და გამოხატავს ამ ტექსტის მთავარ იდეას და აზრს, ხშირ შემთხვევაში სათაური წარმოგვიდგება როგორც ტექსტის შეკუმშული ვარიანტი. ვინაიდან პატარა მოცულობის სათაურში ძალიან დრმა შინაარსია ჩაქსოვილი, მასში შემავალ ენობრივ ერთეულებს განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია.

„სათაურს არსებითად ორმაგი დატვირთვა აქვს. ერთ შემთხვევაში მისი ამოცანაა, ნაწარმოებების ერთმანეთისგან გამორჩევა-განსხვავება. საგნის, როგორც დამოუკიდებელი ერთეულის, აქცენტირება, იდენტიფიკაციის დაძლევა. ამ დროს აქცენტი გარეგნულ მხარეზე კეთდება. იგი მიზნად არ ისახავს, ან ნაკლებად ისახავს, მინიშნებას სახელდებულის არსზე, თავისთავადობასა შინაგან სიღრმეებზე. მეორე შემთხვევაში, სათაური კომპოზიციური ელემენტია, თავისებური გასაღები, რომელმაც უნდა გაგვიადვილოს შემოქმედების ლაბირინთში შესვლა. მას ევალება ნაწარმოების არა მხოლოდ თემაზე, არამედ ავტორის პოზიციაზე, ჟანრის თავისთავადობაზე მინიშნება, ამასთანავე აუდიტორიის დაინტერესება-მიზიდვა“ (ტალიაშვილი, 2012:2).

პ. შარადოს განმარტებით, სათაურის მიზანია მოვლენის წინა პლანზე წამოწევა, „თითქოს სწორედ სათაური შეიცავდეს მთელ ინფორმაციას და ექსკლუზიურად მხოლოდ ის იმსახურებდეს მკითხველის ინტერესს“ (შარადო, 2005:39).

„სათაური უბრალო სახელი არ არის, ის ინფორმაციული ბირთვის მატარებელი სახელია, რომელიც ტექსტის იდეურ-თემატურ ნიშანს წარმოადგენს და განაპირობებს მის აზრობრივ მთლიანობას“ (Fisher, 1984: 289).

საერთო კრიტერიუმს, რომელსაც სათაური უნდა აკმაყოფილებდეს მკვლევარ რეზო ყარალაშვილისთვის შემდეგია:

- სათაური არ უნდა იყოს დამოუკიდებელი და თავისთავადი მნიშვნელობის მქონე ლექსიკური ერთეული, რომელიც გარედან აქვს მიკრული ტექსტს, არამედ ნაწარმოების ორგანულ და განუყოფელ ნაწილს უნდა შეადგენდეს;
- სათაური იმთავითვე უნდა წარმოაჩენდეს ტექსტის არსს, ხოლო მისი კავშირი ტექსტის პრობლემატიკასთან კითხვის პროცესში სულ უფრო ნათელი უნდა ხდებოდეს მკითხველისათვის;
- სათაური უნდა სთავაზობდეს მკითხველს ტექსტის აღქმის კუთხეს და პირველ ხანებში მაინც უნდა წარმართავდეს კითხვის პროცესს. იგი უნდა შეიცავდეს გარკვეულ ინფორმაციას, რომელიც ავტორისთვის სასურველი მიმართულებით ამოქმედებს მკითხველის წარმოსახვას;
- ამავე დროს, სათაური არ უნდა იქცეს ამოცანის ამოხსნად. არ უნდა სთავაზობდეს მკითხველს საკითხის გადაწყვეტას, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მას არ უნდა გადმოჰქონდეს ტექსტის დასაწყისში ის, რაც ლოგიკურად თხრობის დასასრულისთვისაა განკუთვნილი;
- სათაური უნდა იყოს შთამბეჭდავი. ადვილად დასამახსოვრებელი, იგი უნდა იწვევდეს მკითხველის ინტერესს და გარკვეულ საკვებს უნდა სთავაზობდეს მის ფანტაზიას (ყარალაშვილი, 2012:3)

ნ. ცეცხლაძე და მ. ხახუტაიშვილი ასახელებენ სათაურთა შემდეგ ფუნქციებსა და თვისებებს: სათაურს ეკისრება მკითხველის: **1. პირდაპირი და უშუალო ინფორმირება** („სილამაზიდან შიდსამდე“...); **2. დაინტერესება** („ჩვენ ვაგროვებთ, დააგროვეთ თქვენც“...); **3. აზროვნების გააქტიურება** („თუ გწამს, რომ იესომ თავისი სიკვდილით სიკვდილი დათრგუნა, მაშ, რა გატირებს, ადამიანო?!“...). ზემოაღნიშნულთან ერთად, ავტორები აქვე საუბრობენ სათაურის შემდეგ მახასიათებლებზე:

„ა) **ტექსტთან ბმულობა** - სათაური უნდა უკავშირდებოდეს ძირითად სათქმელს პირდაპირი ან ირიბი გზით;

ბ) ლაკონიურობა - სათაური უნდა იყოს მოკლე, ტევადი, სხარტი, მოქნილი, სტილი განმსაზღვრელი;

გ) ინფორმაციულობა - სათაური ამომწურავად უნდა გადმოგვცემდეს ნაშრომის იდეას;


დ) ინტერესის აღძვრა - უნდა აღძვრას ინტერესი, მაგრამ არ უნდა იყოს სკანდალური“ (ცეცხლაძე, ხახუტაიშვილი, 2014:74).

კ. ბოვე და უ. არენსი გამოყოფენ სათაურის შემდეგ ფუნქციებს:

- ის უნდა იპყრობდეს ყურადღებას;
- გამიზნული უნდა იყოს გარკვეულ აუდიტორიაზე, უნდა შეიცავდეს კონკრეტული მომხმარებლისთვის საინტერესო ინფორმაციას;
- შეიყვანოს მკითხველი ტექსტის მთავარ ნაწილში;
- ასახავდეს კომერციულ იდეას;
- შეიცავდეს ინფორმაციას სარგებლობის შესახებ (Бове, Аренс, 1995: 87).

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ სათაური არ იყოს დატვირთული სპეციალური ტერმინებით, რომელიც ფართო აუდიტორიისათვის გაუგებარი იქნება. იგი უნდა იყოს კარგად მორგებული, არ უნდა იყოს ძალიან ზოგადი, როცა ავტორი კონკრეტულ საკითხს განიხილავს.

გარდა სათაურის ფუნქციისა, ლიტერატურული ნაწარმოებებიდან გამომდინარე, შეიძლება გამოვეყნოთ სათაურის სხვადასხვა სახეობა. არსებობს სხვადასხვა მოდალობითა და ფუნქციით გამოხატული სათაურები: ბრძანებითი, კითხვითი, თხრობითი, კითხვით-მახილითი, რთული წინადადებით, მსაზღვრელ-საზღვრულით, შემფასებლური, ისტორიული ფაქტის აღმნიშვნელი, ანთროპონიმისანი, ფიტონიმისანი, ზოონიმისანი, ჰიდრონიმისანი, სკაბრეზული და ა.შ.



მოვიყვანო რამდენიმე მაგალითს ლიტერატურული ნაწარმოების სათაურებიდან:

კითხვითი მოდალობის სათაურები: კ. გამსახურდიას „როგორ ვწერ?“, ი. ჭავჭავაძის: „ოჰ, სად არიან სიჭაბუკევი სიტკბონი შენნი?“, „რა გითხრათ? რით გახართ?“, „ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში?“, ვაჟა-ფშაველას: „ვინ არის კაცი?“, „როგორ გაჩნდნენ ბუები ქვეყანაზედ?“, გ. ლეონიძე: „სად შეიტყორცნა ჩემო

ოცნება?“, რ. ინანიშვილი: „რაზედ იცინოდნენ ყვავილები?“, ა. კალანდაძე: „რა მოგწონს უფრო?“, „არაბი ხარ?“, „საით არიან შალვა, ბიძინა და ელიზბარ?“ და ა.შ.

შემფასებლურ-დამახასიათებელი შინაარსის: ლ. არდაზიანის: „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“, ი. ჭავჭავაძის „კაცია - ადამიანი?!“, „დემეტრე თავდადებული“ და ა.შ.

მსაზღვრელ-საზღვრულიანი: მ. ჯავახიშვილის: „თეთრი საყელო“, „ცხრა ქალწული“, „პატარა დედაკაცი“, „ორი შვილი“, „მიწის ყივილი“, „ქართული ენა“, ვაჟა-ფშაველას: „მწყემსის სიმღერა“, „სამეფოს სიმღერა“, „მთის წყარო“, „მოხუცის ნათქვამი“, „მწყემსი ქალი“, რ. ინანიშვილის: „უკუღმა დაჭედილი“, „ჩიტუნის ლოცვა“, „დათვის ხმალი“, „ლამაზი ცრემლები“, გ. რჩეულიშვილის: „ნელი ტანგო“, ალ. ყაზბეგის: „მამის მკვლეელი“ და ა.შ.

რთულ ქვეწყობილ წინადადებიანი: გ. დოჩანაშვილი: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უვარდა“, რ. ერისთავი: „დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარის უმძლავრესია“ და ა. შ.

კომპოზიციურ-შინაარსისეული: ი. ჭავჭავაძის: „გლახის ნაამბობი“, „მგზავრის წერილები“, ა. წერეთლის: „ჩემი თავგადასავალი“, ნ. დუმბაძის: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და ა.შ.

ანთროპონიმული - რომლებიც აცნობს მკითხველს ხან მთავარი პერსონაჟის ეროვნებას, ხან სოციალურ მდგომარეობას, ხან ტომობრივ კუთვნილებას... ანთროპონიმთაგან განსაკუთრებულ ჯგუფს შეადგენს გამჭვირვალე შინაგანი ფორმის მქონე სახელები, რომლებიც გამოხატავენ ავტორის შეფასებას და ნაწარმოების წაკითხვამდე ქმნიან გარკვეულ შთაბეჭდილებას. ზოგი პერსონაჟის სახელი საზოგადო სახელადაც კი იქცევა, მაგალითად: ი. ჭავჭავაძის: „ალ. ჭავჭავაძე“, გ. ლეონიძის: „ნინო ჭავჭავაძე“, ვაჟა-ფშაველას: „ალ. ყაზბეგს“, ლ. ქიაჩელის: „ჰაკი ამბა“, მ. ჯავახიშვილის: „არსენა მარაბდელი“, „ლამბალო და ყაშა“, ალ. ყაზბეგის: „ელგუჯა“, „ელისო“ და ა.შ. ანთროპონიმული სათაურები განსაკუთრებით XIX საუკუნეში იყო გავრცელებული, როდესაც ჰუმანიტარული აზროვნების, კერძოდ, მხატვრული ლიტერატურის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდნენ პიროვნებები თავიანთი ინდივიდუალური თვისებებით თუ ცხოვრებისეული გამოცდილებით.

ჰიდრონიმი: ვაჟა-ფშაველას: „არაგვს“, ი. ჭავჭავაძის „ალაზანს“ და ა.შ.

ფიტონიმი: ნ. დუმბაძის: „ხაზარულა“...

ზოონიმი: ნ. დუმბაძის „მალი“, ვაჟა-ფშაველას „მგელი“...

სკაბრეზული: ე. დეისაძის: „მათ შეუძლიათ საქვეყნოდ ჩაგვამაღლონ“, „საიდუმლო სირობა“, ვაჟა-ფშაველას: „მუტრუკი მიტომ მუტრუკობს“, გ. რჩეულიშვილის: „პედარასტთა კლუბი პარიზში“ და ა. შ.

დროისა და სივრცის აღნიშნავი სათაურები, სადაც აღნიშნულია ქრონოტოპოსის კოორდინატები. ციკლურ კოორდინატებთან ერთად (დღის, კვირის, თვის რომელიმე მონაკვეთი) მოქმედების დრო შეიძლება აღნიშნოს ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებული თარიღით, რეალური ისტორიული პერსონაჟით და ა.შ. ადგილის კოორდინატი შეიძლება გამოიხატოს კონკრეტულ-რეალური ან გამოგონილი ტოპონიმით: ჭავჭავაძის: „1871 წლის 23 მაისი“, კ. გამსახურდია: „პარიზი 1919 წ.“, ვაჟა-ფშაველა: „1795 წლის სახსოვრად“ და ა. შ.

როცა სათაურზე ვსაუბრობთ, ერთმანეთისგან აუცილებლად უნდა გაიმიჯნოს პუბლიცისტური ტექსტის, მხატვრული ნაწარმოებისა თუ ისტორიული ტექსტის სათაურები, რადგან მხატვრული ნაწარმოების სათაურებში მეტად ჩანს და ფასობს შემოქმედებითობა. მაგ.: „კაცია-ადამიანი?!“, „მამის მკვლეელი“, „გლახის ნაამბობი“, „რაზედ იცინოდნენ ყვავილები“, „ვინ არის კაცი? „უკულმა დაჭედელი“ და ა. შ. ისტორიული ჟანრის სათაურის ფუნქცია ტექსტის იდენტიფიცირებაა: „მეფობის გაუქმება ქართლში“, „არაბთა ბატონობა საქართველოში“, „ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება“, „მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლა“ და სხვა.

სემიოტიკური თვალსაზრისით, ყველა სათაური, პირობითად, შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: ა) მატერიალურად გამოხატული და ბ) ე. წ. ნულოვანი სათაურები (ტერმინი ეკუთვნის პროფ. დ. გოცირიძეს).

ნულოვანი ნიშნების არსებობას და ფუნქციონირებას უკვე არავინ უარყოფს (ნულოვანი ფლექსიები, ნულოვანი სუფიქსები), მაგრამ ტერმინი „ნულოვანი“ სათაურებთან მიმართებით, ჩვენი აზრით, ვერ იქნება მართებული, რადგან ნულოვანი ნიშნავს უსათაუროს, ჩვენ კი ვსაუბრობთ ისეთ სათაურებზე, სადაც

ავტორი, მართალია, არ იყენებს სიტყვებს, ფრაზებს და ა. შ., თუმცა გარკვეული გრაფიკული ნიშნებით გამოყოფს ძირითადი ტექსტისგან. ამიტომ ჩვენ ასეთ სათაურებს პირობითად ვუწოდებთ „მარკირებული“ სათაურები, რომლებიც ნაკლებად არის შესწავლილი ლინგვისტიკაში. განსაკუთრებით ისინი პოეზიაში არის გავრცელებული, როდესაც პოეტი-ლირიკოსი მის გრძნობებს გამოხატავს სონეტში და არაფერს არქმევს მას... მაგალითად: ****(მზეო თიბათვისა)*, ****(რუსთაველის პროსპექტზე სიარული)*, ****(გაგონდება თუ არა)*, ****(ის წაიყვანა ოცნება მისმა)*, ****(კარს გაუღებენ მას წინაპრები)*, ****(ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ)*, ****(დღე შემოდგომის ცივი)*, ****(აქ მარმარილოს მაღალი სვეტი)*, ****(შორს მოსჩანს მთები ამწვანებული)*, ****(შენ გაღიმებით მისჩერებოდი)*, ****(ვისაც ელოდი, მას აღარ ელი)*, ****(ქუხილო, გელით!)*, ****(წინად შენი სპეტაკი გზა)*, ****(ნიავი, ია, ნარგიზი)*, ****(ჩამავალი მზის ფერადო კიდევ)* და ა.შ.

როგორც ტექსტის შემადგენელი ერთეული სათაური იკვლევს ტექსტის ლინგვისტიკით. სათაური განიმარტება როგორც „ტექსტის პირველი ნიშანი“, რომელიც მეთაურობს როგორც „ტექსტის ყოვლისშემძლე წარმომდგენელი“, როგორც „ძალიან დაპრესილი ტექსტის კონა“, როგორც „ტექსტის მაორგანიზებელი ელემენტი“ (Кожина, 1983:90-92). სათაურს, ვფიქრობთ, ინტერტექსტუალური ფუნქციაც აქვს, რადგან მრავალი ტექსტის ორიენტაციაში გვხვმარება. ტექსტის ეს ნიშანი იმდენად ძლიერი და მთავარია, რომ მას „ავტონომიურობა“ აქვს მოპოვებული, ეს ავტონომიურობა იმით გამოიხატება, რომ ბევრი სათაური ტექსტიდან განყენებულადაც გვხვდება, მაგალითად, ბიბლიოთეკის კატალოგებში, ბიბლიოგრაფიულ ჩანიშვნებში, სხვადასხვა სიაში, კითხვარსა თუ განცხადებებში და ა.შ.

ამრიგად, განვიხილეთ სხვადასხვა ფორმის სათაურები, რომელიც დასტურდება ამა თუ იმ ჟანრის ტექსტებში. ვფიქრობთ, მნიშვნელობა აქვს, თუ რომელ დარგში განვიხილავთ სათაურს, რადგან ამის მიხედვით განსხვავდება მათი ფუნქციები, მაგრამ ძირითადი და საერთო მოთხოვნა კი შემდეგია: უნდა იყოს ტექსტთან მიმყვანი, დამაინტერესებელი, არ უნდა დააკნინოს ტექსტის შინაარსი და მნიშვნელობა, არ უნდა აღემატებოდეს ტექსტს, რათა მკითხველს მოლოდინი არ

გაუცრუოს. მნიშვნელოვანია ინფორმაციის ბალანსის არსებობა სათაურსა და ტექსტს შორის.

2.2. პუბლიცისტური ტექსტის სათაურის თავისებურება

საგაზეთო სტატიებთან დაკავშირებული სემიოტიკურ - ლინგვისტური კვლევების სიმწირის მიუხედავად, სათაურების როლი პრესაში უდავოდ მნიშვნელოვანია. საგაზეთო ენის შესწავლას მეოცე საუკუნის 30-იანი წლებიდან ჩაეყარა საფუძველი. საგაზეთო ენა იყო უნიფიცირებული და არ მოიცავდა ლინგვისტურ მარკერებს. ისეთი საგაზეთო ჟანრების ლინგვისტური კვლევა, როგორცაა: რეპორტაჟი, ინტერვიუ, საგაზეთო სტატია და ა. შ. მოგვიანებით დაიწყო.

სათაურები ხასიათდებიან უნივერსალური კანონზომიერებით (პროზაში, პოეზიაში, დრამატურგიაში, მედიაში), მაგრამ ამავდროულად სხვადასხვა ჟანრში განსხვავებული ნიშან-თვისებები ემატებათ. ზოგადად, სათაურის მრავალ თავისებურებას ასახელებენ, მაგრამ, ვფიქრობთ, უნივერსალურად უნდა ჩაითვალოს ინფორმაციულობა, დაინტერესება, ტექსტთან ბმულობა. დანარჩენი მახასიათებლები კი ჟანრზეა დამოკიდებული. მაგალითად, ლიტერატურული ნაწარმოებისთვის კარგია იმპლიციტური სათაურები, როდესაც ავტორი პირდაპირ სათაურით არ გვეუბნება სათქმელს, მაგრამ მასში მეტაფორულად აქვს ჩაქსოვილი ის და მკითხველი მას, ძირითადად, ტექსტის წაკითხვის შემდეგ ამოიცნობს ან, მცირე შემთხვევაში, ტექსტის რომელიმე ეპიზოდში.

ტექსტის სათაურს აქვს საკვანძო პოზიცია და, ვფიქრობთ, სათაური არის ხიდი მკითხველსა და ტექსტს შორის, მისი წაკითხვის შემდეგ ადრესატმა უნდა აღიქვას გარკვეული ინფორმაცია, ეს აღქმითი პროცესი კი არის ეტაპობრივი, შესაბამისად, ყოველ ეტაპზე შეიძლება მან ახალი ფუნქცია შეიძინოს. მაგალითად:

ა) ტექსტამდელი ეტაპი - როცა სათაური ყოველთვისაა ტექსტისგან გამოყოფილი და ატარებს გრაფიკულ-გამოყოფით ფუნქციას. ტექსტის წაკითხვამდე, სათაურის გაცნობისთანავე, რეალიზდება ნომინატიური ფუნქციაც. შემდეგ სათაური ინტერესის აღძვრით ააქტიურებს მკითხველის აზროვნებას. პუბლიცისტური

ტექსტის ასეთი სათაური ასრულებს ინფორმაციულ როლს და იზიდავს მკითხველს ტექსტისკენ, თუკი ის შეიცავს საჭირო ინფორმაციას. სათაური ტექსტისადმი იქცევს ნებით ყურადღებას, აღძრავს არა მარტო ინტერესს, არამედ ცნობისმოყვრობას, გაოგნებას, გაოცებას, გაკვირვებასა და სხვა. ამ დროს სათაური სარეკლამო ფუნქციას ასრულებს. სარეკლამო ფუნქცია ყოველთვის ერწყმის ექსპრესიულ-შეფასებით ან ინფორმაციულ ფუნქციას. გამომდინარე აქედან, აღქმის პირველ ეტაპზე სათაურის ამოცანაა - გააღვივოს მკითხველის ყურადღება, გამოიწვიოს დროებითი, სიტუაციური ინტერესი. ზუსტად სათაურის ასეთი აღქმა სრულად ნაწარმოების წაკითხვამდე ყალიბდება გრაფიკულ-გამოყოფითი, ნომინაციური და სარეკლამო ფუნქციების წყალობით. ამ დროს პუბლიცისტური ტექსტის სათაურის მთავარი დანიშნულებაა მიიქციოს მკითხველის ყურადღება და გაუჩინოს სურვილი შეტყობინების წაკითხვისა.

ბ) ტექსტის გაცნობის ეტაპი - როდესაც მკითხველი მიმართავს ტექსტს, სათაური თვალთახედვის არეში აქვს. მასალის სათაური ეხმარება პირველ რიგში გაიგოს პუბლიკაციის აზრი, გაიგოს ჟურნალისტური კონცეფცია. ამ პროცესში სათაური მონაწილეობს თავისი ინფორმაციული ფუნქციით. სათაური მონაწილეობს საგაზეთო სტატიის ტექსტის ემოციური ზემოქმედების ფორმირებაზე, რასაც ახორციელებს შეფასებით-ექსპრესიული ფუნქციის მეშვეობით. სათაური მიმართულია, შეამსუბუქოს ტექსტის აღქმა, რაც ზემოქმედებს ადრესანტის მიერ ენობრივი საშუალებების ორგანიზებაზე. ამ შემთხვევაში ის ასრულებს ინტეგრაციულ ფუნქციას. ინტეგრაცია (შეკრულობა) გაიგება როგორც მთლიანობის მიღწევის, ტექსტის შედუღაბების საშუალება, რის გამოც განიხილება როგორც დამოუკიდებელი ერთობა. სათაური გვიადვილებს საგაზეთო სტატიების კითხვას და მაშინ ის ასრულებს კომპოზიციურ ფუნქციას. თითქოსდა პროგნოზირებს ტექსტზე, მის ნაწილებად დაყოფაზე. ავტორის ჩანაფიქრიდან გამომდინარე, ტექსტი შეიძლება შედგებოდეს რამდენიმე ნაწილისგან, თავებისგან და შესაძლებელია მათი გაერთიანება ერთი სათაურის ქვეშ. შესაბამისად, სტატიის აღქმის მთავარ ეტაპზე, უშუალოდ კითხვის დროს, სათაური უკეთებს რელიზებას ფუნქციების შემდეგ

ნაწილებს: ინფორმაციულს, შეფასებით-ექსპრესიულს, ინტეგრაციულს და კომპოზიციურს.

გ) ტექსტის გაცნობის შემდგომი ეტაპი - გაზეთის წაკითხვის შემდეგ მკითხველი იმახსოვრებს სტატიას, თუკი მან მიიქცია ყურადღება აზრით ან კომპოზიციური წყობით. ხდება ტექსტის შევიწროვება, შეკუმშვა. სათაური, კომპრესირებული ტექსტია, რომელიც მოკლედ გამოხატავს იმავეს, რასაც ტექსტი.

მაშასადამე, შეგვიძლია ვქვათ, რომ სათაური ავლენს თავს ტექსტის აღქმის ყველა ეტაპზე: კითხვამდე, კითხვის დროს და ტექსტის სრულად წაკითხვის შემდეგ. ამ დროს აღინიშნება გაზეთის სათაურის მრავალფუნქციურობა. აღქმის სხვადასხვა ეტაპზე წინ გამოდის სხვადასხვა ფუნქცია.

პუბლიცისტური ტექსტის სათაურის ლინგვისტური სტატუსი განიხილება როგორც კომუნიკაციური დონის ერთეული. კომუნიკაციური ორგანიზების ერთობა „სათაური - ტექსტი“ გვიდგენს საგაზეთო სტატიის სათაურის სპეციფიკას, როგორც ლინგვისტურ მოვლენას. თვითონ საგაზეთო სტატიის სათაური არის წინადადება, რომელიც ასრულებს მკითხველთან კონტაქტების დამყარებისა და ამ სტატუსში მისი მოქცევის რეგულირების ფუნქციას.

პუბლიცისტიკაში, ჩვენი აზრით, ექსპლიციტური სათაურები უნდა იყოს გამოყენებული, რომელიც იქნება, რა თქმა უნდა, ინფორმაციული, ტექსტთან ბმული, ანუ სათაურში უნდა იყოს მოკლედ ჩადებული იგივე ინფორმაცია, რაც ტექსტშია და რისი თქმაც ტექსტის ავტორსა და ტექსტს სურს, ის უნდა იყოს პირდაპირ მიმანიშნებელი ტექსტის შინაარსზე და უნდა ეხმაურებოდეს იმას, რასაც ტექსტი იძლევა ვრცლად. ასეთ დროს სათაურის წაკითხვისას, სათაური თავად სვამს კითხვებს: რაზე იქნება საუბარი ტექსტში? რას უნდა ველოდო წაკითხვის შემდეგ, რა ინფორმაციას მივიღებ? - და თავად სათაურივე გვამღვეს პასუხს ტექსტის წაკითხვის შემდეგ. ასევე, პუბლიცისტური სათაური უნდა იყოს დამაინტერესებელი, აქ შეიძლება განვიხილოთ სათაურის აქტუალურობა, რაც ტექსტში არსებული ინფორმაციის აქტუალურობაზეა დამოკიდებული, ამის მიხედვით, ტექსტიდან გამომდინარე, სათაური შეიძლება იყოს, ერთი მხრივ, **დროებით აქტუალური**, როცა

სათაურში იმაზეა გაკეთებული აქცენტი, რაც მოცემულ მომენტშია საინტერსო არსებული სოციალურ-პოლიტიკურ-კულტურული ფონიდან გამომდინარე, მეორე მხრივ, სათაური შეიძლება იყოს **მუდმივად აქტუალური**, როცა სათაურშია გამოტანილი ის პრობლემა, რომელიც ყველა ეპოქაში განხილვის საგანი ხდება და პოპულარულია, მაგალითად, ილია ჭავჭავაძის „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“, ვაჟა-ფშაველას „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ და ა. შ. სათაური ადრესატების ინტერესს იწვევს მაშინ, როცა მათთვის ნაცნობ საჭირობოროტო თუ საკეთილდღეო თემას ეხება, ამ დროს ერთდროულად ხდება ნაცნობისა და უცნობის თანაფარდობა, შესაბამისად, ადრესატთა ინტერესის დაკმაყოფილება.

პუბლიცისტურ ტექსტებში ინფორმაციული ფუნქციის გარდა მკვეთრად იზრდება სათაურის **ზემოქმედებითი** და პოტენციური **მკითხველების მოზიდვის** ფუნქცია. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს, რომელი მედიის მიერ გამოიცემა ტექსტი, რადგან არის ჟურნალ-გაზეთები, რომლებსაც აქტიური მკითხველი ჰყავთ და მკითხველთა მოსაზიდად არ სჭირდებათ ზემოქმედებისა და ზეგავლენის მოხდენის სათაურებით მანიპულირება. არსებობს მედია საშუალებები, რომლებიც სპეციალურად პროვოკაციულ სათაურებზე ახდენენ აქცენტს, რათა მკითხველი თავის ანკესზე წამოაგოს, მიიზიდოს მეტი მკითხველი. ძირითადად, ასეთ დროს სათაურები გათვლილია მკითხველთა მიტყუებაზე, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ტექსტის წაკითხვის შემდეგ ადრესატები მოტყუებულნი არ რჩებიან და ინფორმაცია რეალობის შესაბამისია. მიტყუება არ გადაიზრდება მოტყუებაში. ვფიქრობთ, ეს მეთოდი გამართლებული უნდა იყოს, რადგან უამრავი ინფორმაციის წყაროს არსებობის შემთხვევაში ამგვარი მიდგომა მკითხველთა დაინტერესების ერთ-ერთი ხერხია. ასეთი დამაინტრიგებელი სათაურების მხოლოდ მოტივია პროვოკაციული, ეპატაჟური, მაგრამ შედეგი - არა. ამისგან განსხვავებით არსებობს „ყვითელი პრესა“, რომლის სათაურების მოტივიც ეპატაჟურია და შედეგიც. ასეთ დროს სათაური არ არის ბმული ტექსტთან, უბრალოდ, სათაურიდან იღებენ მათთვის სასიამოვნო ან საინტერესო ინფორმაციას მკითხველთა გარკვეული რაოდენობა, სოციალური ჯგუფი და არანაირი ინტელექტის, განსჯისა თუ პოლემიკის უნარის ქონა არ არის საჭირო ამ დროს. სათაური უფრო გარეგან, ანუ ნომინაციის ფუნქციას ასრულებს,

რომელიც არის დამოუკიდებელი, თუმცა არაფრის მომცემი ტექსტის წაკითხვის შემდეგ, რადგან რეალობისგან შორსაა. საბოლოოდ, ასეთი სათაურები იწვევს იმედგაცრუებას, მეტი მკითხველის მიზიდვის ნაცვლად ნაკლების შემორჩენას, თუმცა რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ამგვარი სათაურები ახერხებს „მუშაობას“.

ცირა ბარბაქაძის აზრით, თანამედროვე საზოგადოებაში შემდეგნაირი სათაურები „მუშაობს“:

1. ყვითელი პრესის, მყვირალა სათაურები (შეიძლება, არ მოგვწონს, მაგრამ ეს ფაქტორი მუშაობს...);
2. ნეგატიური ინფორმაციის შემცველი სათაური აგრეთვე იქცევს ყურადღებას პოზიტიურთან შედარებით;
3. პროვოკაციული და ეპატაჟური;
4. კრეატიული... (ბარბაქაძე, 2011:67)

პუბლიცისტური სტილისთვის სათაური ინტერესისა და ინტრიგის გამოწვევის ფუნქციას ასრულებს, ის ეპატაჟური უნდა იყოს, რათა მკითხველი განაწყოს სტატიის წასაკითხავად. ასეთი სათაურებია: „ხანძარი ათონელის ქუჩაზე - იწვის საცხოვრებელი სახლი“, „თამარ მეფის ხიდიდან 25 წლის მამაკაცი მტკვარში გადახტა“, „თიანეთში, ხატობაზე, მანქანა ხალხში შევარდა - დაღუპულია 8 წლის ბავშვი და ახალგაზრდა მამაკაცი“, მოკალით გივი ბერიკაშვილი? სირცხვილია!", „დაკარგული პოეტი შალვა ბაკურაძე გამოჩნდა“, „დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი" - იცოდით, საიდან მოდის ნოტების სახელწოდებები?“, ვინ შეცვლის დიმა ობოლაძეს „სხვა შუადღეში“?, „ვინ არის მომღერალ ბექა ჩხეიძის რჩეული?“ და ა. შ. როცა სათაურში ერთი წევრი, სუბიექტია გაუჩინარებული, ასეთი სათაური მიმზიდველია და წაკითხვებს ტექსტს მკითხველს, თუ ორი ან მეტი წევრი გაუჩინარდა, სათაური დანიშნულებას ვერ შეასრულებს და ვერც მკითხველს მიიზიდავს. მაგალითად: „მათ მოსწონთ“; „ისინი ამბობენ“... არ ჩანს, ვის რა მოსწონს; ვინ რას ამბობს და ა. შ.

სათაურის შექმნა ძალზედ რთული პროცესია. მისმა ავტორმა ერთდროულად უნდა გაითვალისწინოს სათაურის რამდენიმე ფუნქცია. ამასთან

დაკავშირებით ც. ბარბაქაძე იძლევა რეკომენდაციას, თუ როგორ დავწეროთ სათაური:

- ❖ სათაური უნდა შეიცავდეს გასაღებ სიტყვებს და გამოხატავდეს სტატიის არსს; გასაღები სიტყვების შერჩევა სათაურში მნიშვნელოვანია იმიტაც, რომ ამის მიხედვით ხდება ინტერნეტ-სივრცეში თქვენი მასალის ინდექსაცია;
- ❖ უმჯობესია, თხრობითი, მარტივი წინადადებები;
- ❖ ზმნა - არის „მოლაპარაკე“ სათაურის მთავრი ელემენტი, შეარჩიეთ დინამიკური ზმნები;
- ❖ დრო უმჯობესია ახლანდელი!... (ბარბაქაძე, 2011:68).

საგაზეთო ენას უდიდესი შესაძლებლობები და გავლენა აქვს საზოგადოებაზე. გაზეთი ინფორმირებისა და მკითხველის დარწმუნების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებაა. ის გათვლილია ფართო და, ამასთან, არაერთგვაროვან აუდიტორიაზე, რომელიც მან უნდა დააინტერესოს, ამიტომ მნიშვნელოვანია ინფორმაციის სწორად ორგანიზება. საგაზეთო სათაურებს ახასიათებთ ინფორმაციის კონცენტრირებული მიწოდება, რაც მკითხველს უიოლებს შესაძლებლობას აირჩიოს გაზეთში ის, რაც მას აინტერესებს. სათაური სტატიის შესახებ საერთო ორიენტაციას იძლევა. ხშირად, სათაური, რომელიც 5-6 სიტყვისგან შედგება, იმ სიტყვით იწყება, რომელზეც საუბარია ტექსტში. ამგვარად, მკითხველს აქვს შესაძლებლობა სათაურების საშუალებით ძირითადი მოვლენების შესახებ ზოგადი წარმოდგენა შეიქმნას.

გოცირიძის აზრით, გაზეთს ორნაირად კითხულობენ: ა) ათვალთვრებენ სათაურს, ბ) შემდეგ კი კითხულობენ მხოლოდ იმ სტატიებს, რომლებიც გადათვალთვრებისას მოეწონათ. აქედან გამომდინარე, კარგი სტრატეგიაა, როდესაც სათაურში მოცემულია სტატიის ყველაზე მნიშვნელოვანი აზრი ან თვალისმომჭრელი და დასამახსოვრებელი ფრაზა სტატიიდან. როგორც წესი, სათაურის ფუნქციაა მკითხველის ყურადღების მიქცევა და ამიტომ ძალიან ხშირად, ის სრულად ვერ გადმოსცემს სტატიის შინაარსს. ამ ფუნქციას, ძირითადად, ქვესათაური ასრულებს (Гоциридзе, 1988: 81).

ოლიგვი ამბობს: „საშუალოდ სათაურს კითხულობენ ხუთჯერ უფრო ხშირად, ვიდრე ტექსტს“ (Олигви, 1998:27).

პუბლიცისტიკაში სათაურს რეკლამის ფუნქციაც აქვს. რეკლამა (ლათ. reclamo – „წამოვიყვირებ“) - ეს არის ინფორმაცია, გავრცელებული ნებისმიერი მეთოდით, ნებისმიერი ფორმით და ხერხით, მიმართული საზოგადოების ფართო მასებისთვის, რეკლამირების ობიექტის მიმართ მათი ყურადღების მიპყრობის და/ან ინტერესის გაღვივების მიზნით. მისი მიზანია, რაც შეიძლება საზოგადოების დიდ ნაწილზე მოახდინოს ზეგავლენა. ამისათვის რეკლამა იმუშავებს ზემოქმედების უნივერსალურ ფორმებს.

ს. ომიადის დაკვირვებით: „თანამედროვე ჟურნალ-გაზეთების სათაურებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ სარეკლამო ფუნქცია ყველაზე წინ არის წამოწეული, მაგრამ ამ ფუნქციის აქცენტირება ყოველთვის წარმატებულად შერჩეულ სათაურს არ გვაძლევს. გამოიყო სათაურთა რამდენიმე ჯგუფი, რომლებსაც პირობითად შეიძლება, სარეკლამო ანუ დამაინტრიგებელი სათაურები ვუწოდოთ. პირობითად იმიტომ, რომ ინტრიგა მათი სახელების მოტივია მხოლოდ, რეალურად კი ისინი მიზანს ვერ აღწევენ, ვერ იზიდავენ მკითხველს“ (ომიადე, 2012: 5).

ნ. ფარტენაძე თავის სტატიაში, სათაურის როგორც ტექსტის ლინგვისტურ-სტილისტიკური ანალიზი, აღნიშნავს, რომ: „გაზეთის ან ჟურნალის სტატიის სათაური ააქტიურებს მასში ასახული სიტუაციის ანალიტიკურ შეფასებას. ტექსტის იდეა წარმოადგენს იმ ტექსტის ელემენტს, რომელიც გამომდინარეობს მთლიანი სიუჟეტიდან და წარმოადგენს ტექსტის თავისებურ შედეგს, დასკვნას. ამგვარი სათაური ჯერ კიდევ მასალის წაკითხვამდე ამზადებს მკითხველს მთავარი აზრის გაგებისთვის, რომელიც აღიქმება ორჯერ: პირველად - ტექსტის გაცნობამდე და მეორედ - მთლიანი ტექსტის წაკითხვის შემდეგ. „სათაური-ტექსტის“ თანაფარდობის საფუძველზე იზრდება ჟურნალის ან გაზეთის ეფექტიანობა და დამაჯერებლობა“ (ფარტენაძე, 2017: 562).

ასევე „საგაზეთო სათაურის ენა რადიკალურად განსხვავებულია. ამ ტიპის სათაურის ამოცანა შემდეგია:

- განაცალკევოს ერთი შეტყობინება ან ერთი მასალა მეორისგან;
- გაამახვილოს ყურადღება ამა თუ იმ მასალაზე;
- მოკლედ წარმოადგინოს მოცემული მასალის მთავარი შინაარსი;

- დააინტერესოს მკითხველი;
- მოახდინოს მასზე გარკვეული ემოციური გავლენა“ (ფარტენაძე, 2017: 562).

ვფიქრობთ, პირველ რიგში, სათაურის ძირითადი დანიშნულება მკითხველის ყურადღების მიპყრობა, დაინტერესებაა. მეორე მხრივ, სათაურმა მოკლედ უნდა გადმოსცეს სტატიის შინაარსი ან გამოყოს ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტები, და მესამე, სათაურმა უნდა დაარწმუნოს მკითხველი და სტატიის ძირითადი იდეა შთააგონოს მას.

მედიაში შესაძლებელია ცალკე დავაჯგუფოთ სათაურები სხვადასხვა სფეროს, დარგის მიხედვით. კერძოდ:

პოლიტიკა: „ომი ჩრდილოეთ კორეასთან შეიძლება ნებისმიერ წუთს დაიწყოს“, „ენმ“- ის შემდეგ საკონსტიტუციო კომისია შესაძლოა სხვა ოპოზიციურმა პარტიებმაც დატოვონ“, „ტრამპი ავღანეთში არაატომური ბომბის გამოყენებას „ძალიან წარმატებულ მისიას“ უწოდებს“, „უსაფრთხოების სამსახური დღეს ყველაზე დიდ საფრთხეს უქმნის საქართველოს მოქალაქეებს“, „დაპირისპირება გივი თარგამაძესა და ალექსანდრე ტაბატაძეს შორის“, „მეტი ევროპა იქნება საქართველოში და მეტი საქართველო ევროპაში, საქართველო ევროპაა“, „პირი, რომელიც ევროკავშირში, შენგენის ზონაში ყოფნის წესს დაარღვევს, 3000 ევროთი დაჯარიმდება“ და ა. შ.

საზოგადოება (განათლება, ჯანდაცვა, გარემო, შემთხვევა, რეგიონები, სოფლის მეურნეობა, ტექნოლოგიები): „თბილისის მერიამ გარევაჭრობა აბასთუმნის ქუჩაზეც აკრძალა“, „ალექსანდრე ჯეჯელავა – მეზობელს ქატო რატომ უნდა ჰქონდეს და მე ფქვილი? – უმსგავსობაა“, „რა იცვლება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში? – მიწოდებაზე ორიენტირებული ჯანდაცვის სისტემა საჭიროებაზე ორიენტირებულით ჩანაცვლდება“, „ფოთის ნავსადგურში საქართველოს ტერიტორიული წყლების დაბინძურების ფაქტი გამოვლინდა“, „დიდ დილომში ქარმა ხე მოგლიჯა, რომელიც მანქანას დაეცა“, „საჩხერის მუნიციპალიტეტისთვის მმართველობის წარმომადგენლებმა 9 აპრილს დაღუპულთა სახელობის სკვერში მემორიალი ყვავილებით შეამკეს“, „ოთარ დანელია: „მანდარინის მოსავალი 30-40 პროცენტითაა გაზრდილი“ და ა.შ.

კრიმინლი: „სენაკში 85 წლის მარტოხელა მოხუცი გაძარცვეს და ფიზიკურად გაუსწორდნენ“, „ორთაჭალაში მამამ 24 წლის შვილი ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა“, „შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო“, „არაოფიციალური ინფორმაციით, ზურაბ ტარტარაშვილის მკვლელობის ერთ-ერთი მონაწილე, დავით ჯოხაძე დააკავეს“, „ვანის რაიონში ძმამ ძმა მოკლა“ და ა.შ.

მედიცინა: „შეგიჩერდებათ თმის ცვენა და გაცვენით ადგილებზე ამოგივით თმა, ფუტკრის პროდუქტებზე დამზადებული ნაზავი, რომელსაც თმა ამოჰყავს!“, „რატომ არის ჩვენი ტვინი ძალიან დიდი?“, „სამუდამოდ დაემშვიდობებით ნაღვლის ბუშტის გაუსადლის ტკივილს და შეძლებთ მიირთვათ, რაც მოგესურვებთ“, „ხალხური“- მედიცინის სიამაყე, ნაზავი, რომელიც მთლიანად გაგიწმენდთ ნაწლავებს და გამოგაჯანმრთელებთ“ და ა. შ.

თავდაცვა: „აშშ-მა ავღანეთში ყველა ზემძლავრი ბომბი ჩამოაგდო“, „დასრულდება თუ არა ომი სირიაში? - ცეცხლის შეწყვეტის შესახებ დოკუმენტს გაერო განიხილავს“, „უკრაინელმა სამხედროებმა ფრონტზე წარმატებას მიაღწიეს“, „პანკისელ ახალგაზრდებს საკონტრაქტო სამსახურში ჩართვა შეეძლებათ“, „მოგიყვები რა დაემართა ქალაქს, რომელშიც გავიზარდეთ“ - წერილი ომიდან“ და ა. შ.

სპორტი: „უეფა-ს სუპერთასის მატჩთან დაკავშირებით, რამდენიმე ქუჩაზე ავტომანქანების გადაადგილება იკრძალება“, „ქართველი სპორტსმენის მორიგი გამარჯვება - ონისე სანებლიძე ოქროს მედლის მფლობელი გახდა“, „კიდევ ერთი ოქროს მედალი - ეთერ ლიპარტელიანმა გაიმარჯვა“, „საქართველომ ოლიმპიადაზე პირველი ოქროს მედალი მოიპოვა“, „ჩამოვა თუ არა თბილისში ლეო მესი?“ და ა. შ.

ბიზნესი: „თიბისი ბანკის პასუხი კლიენტებს“, „რეგიონული განვითარების საზოგადოების სასტიპენდიო ფონდის მიერ შერჩეული სტუდენტები ლიბერთი ბანკის სტიპენდიანტები გახდნენ“, „გამოიცანი და მოიგე“, „როგორ ვაკონტროლოთ დრო და დავზოგოთ ფული?“ და ა. შ.

ხელოვნება: „საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი ბაღდათში მე-16 სალოტბარო სკოლას ხსნის“, „ქართველი ფოტოგრაფი ქალი მსოფლიოს 21 საუკეთესო ფოტოგრაფს შორის დასახელდა“, „ანზორ ერქომაიშვილი ფოლკლორის

სახელმწიფო ცენტრს ქართული ხალხური სიმღერების სანოტო კრებულებსა და ქართველ ლოტბართა მონოგრაფიებს გადასცემს“, „ბათუმის თიბისი გალერეა ახალგაზრდა ფოტოხელოვანი ქალების გამოფენას მასპინძლობს“, და ა.შ.


ყვითელი პრესა: „სამი თვის წინ გარდაცვლილი ჯორჯ მაიკლი გუშინ დაკრძალეს“, „ექსკლუზიური ფოტორეპორტაჟი „რუსთავი 2“- ის მხარდამჭერი აქციიდან“, „ორჯერ შეყვარების და ერთი ქორწილის ისტორია“, „ყველაზე ნათელი ტენდენცია: როგორ და რასთან ჩავიცვით ფერადი ფეხსაცმელი გაზაფხულზე?“, „მონასტერმა უპატრონო ძაღლი შეიფარა, რომელმაც ცხოვრება „ბერის“ ამპლუაში განაგრძო“ და ა.შ.

ავტომარიაჟი: „თეგეტა მოტორსმა“ ბაქოში ფილიალი გახსნა!“, „Mustang საზღვრებს გასცდება“, „Ferrari ჩინეთისთვის სპეციალურ მოდელს ქმნის“, „მსოფლიოში ყველაზე დიდი ყველგანმავალი – Hummer“, „Jaguar–ისყველაზე სწრაფი კაბრიოლეტი“ და ა. შ.

აღნიშნული სათაურები მიგვითითებს, რომ მასში ყველა ტიპის ინფორმაციაზე მახვილდება ყურადღება და, ინფორმაციის მხრივ, სხვადასხვა დარგის წარმომადგენლის ინტერესია გათვალისწინებული.


ამრიგად, ტექსტის სახელდება ძალზე მნიშვნელოვანი პროცესია. ჩვენ პუბლიცისტური სათაურის შემდეგ თავისებურებებს გამოვყოფთ:

- ✓ **გზამკვლევი** (ტექსტთან ბმული უნდა იყოს და ტექსტამდე უნდა მიიყვანოს მკითხველი);
- ✓ **ცხადი** (არ უნდა იყოს ბუნდოვანი, რათა მკითხველის იმედგაცრუება არ გამოიწვიოს);
- ✓ **ანალიტიკური** (რეალობას უნდა ეფუძნებოდეს);
- ✓ **ექსპლიციტური** (პირდაპირ უნდა ანიშნებდეს ტექსტზე);
- ✓ **დროებით აქტუალური** (გარკვეული პერიოდისათვის აქტუალური თემის გამომხატველი);
- ✓ **მუდმივად აქტუალური** (ყველა ეპოქისთვის დამახასიათებელი საკითხის გამომხატველი).



ვისაუბრეთ პუბლიცისტური სათაურების შემდეგ ფუნქციებზე:

- ✓ ინფორმაციული ფუნქცია;
- ✓ დამაინტერესებელი ფუნქცია (კონკრეტული ფონის აქტუალურ თემაზე უნდა იყოს მორგებული);
- ✓ რეკლამის ფუნქცია (ზეგავლენის მოხდენისა და მკითხველთა მოზიდვის მიზნით აკეთებს აფიშირებულ სათაურებს);
- ✓ დამაინტრიგებელი ფუნქცია, აქ გამოვეყენოთ ორი სახე: ერთი მკითხველის მიტყუებისთვის გამოყენებული „თეთრი ინტრიგა“, რომელიც ადრესატთა იმედეგაცრუებას არ იწვევს, რადგან მოტივს (სიმართლის მძაფრად, გამუქებულად წარმოდგენა მეტი მკითხველის მოზიდვისთვის) ამართლებს შედეგი (მკითხველი არ რჩება მოტყუებული) და მეორე, მკითხველის მოტყუებისთვის გამოყენებული „შავი ინტრიგა“, როცა სათაურს მხოლოდ ნომინაციური ფუნქცია ეკისრება და ტექსტისგან დამოუკიდებელი და არაფრისმომცემი ხდება.



როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ფუნქციათაგან ინფორმაციულობა და დაინტერესებლობა, უნივერსალურ მახასიათებლად ჩავთვალებთ. ვისაუბრეთ იმ ფუნქციებზეც, რომლებიც მოგვიანებით შეითავსა პუბლიცისტურმა სათაურებმა, ესაა: რეკლამა, ზეგავლენის მოხდენა, და ინტრიგა/ეპატაჟურობა, ამ ფუნქციების შეძენის მთავარ მიზეზად კი გაყიდვაზე ორიენტირება დავასახელებთ. აგრეთვე, ვამჩნევთ ახალ ტენდენციას: ლაკონიურ სათაურებს ჩაენაცვალა რთული კონსტრუქციის მქონე ფრაზული სათაურები, ამის შესახებ დაწვრილებით, ქვევით, ერთ-ერთ თავში ვისაუბრებთ.

2.3. პუბლიცისტური ტექსტის სათაური, როგორც ტექსტის ერთეული და დამოუკიდებელი ელემენტი

ტექსტის კითხვა იწყება სათაურიდან. სათაურს აქვს გარკვეული სინტაქსური და სივრცობრივი პოზიცია და, როგორც წესი, გამოყოფილია გრაფიკულად. როდესაც ვსაუბრობთ სათაურზე, ყველა მკვლევარი აღნიშნავს, რომ ერთი მხრივ, ეს არის ენობრივი სტრუქტურა, რომელიც წინ უძღვის ტექსტს, რის შემდეგაც მას აღვიქვამთ როგორც ტექსტის გარე მდებარე მეტყველებით ელემენტს, რომელსაც აქვს გარკვეული დამოუკიდებლობა. მეორე მხრივაც, სათაური,- ტექსტის სრულუფლებიანი კომპონენტია, რომელიც შედის მასში და მთელი ნაწარმოების ყველა კომპონენტთან არის კავშირში.

სათაურს, როგორც ტექსტის შემადგენელ ერთეულს, იკვლევს ტექსტის ლინგვისტიკა. ამ თემაზე საკმაოდ ბევრი დისკუსია, მეთოდოლოგიური მიდგომები და განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. სათაური განიმარტება როგორც „ტექსტის პირველი ნიშანი“, რომელიც მეთაურობს როგორც „ტექსტის ყოვლისშემძლე წარმომადგენელი“, როგორც „ძალიან დაპრესილი ტექსტის კონა“, როგორც „ტექსტის მარგანიზებული ელემენტი“ (, 1983 :90).

მკვლევართა უმეტესობა ერთხმად აღიარებს, რომ ყველა ტექსტის სათაური (მხატვრული, პუბლიცისტური და სხვა) - არის ტექსტის განსაკუთრებული ელემენტი, შეუძლია იფუნქციონიროს დამოუკიდებელ ერთეულად და იყოს ტექსტის მეტონიმიის შემცველი. ვფიქრობთ, რომ ეს ასეა, რადგან დასათაურება იკავებს ყველაზე ძლიერ პოზიციას ტექსტში. უპირველესად - ის ტექსტის წინ მდებარეობს, გამოყოფილია გრაფიკულად და მეორეც - სათაური მაქსიმალურად სემანტიკურად არის დატვირთული, რაც, რა თქმა უნდა, მოქმედებს მკითხველის მიერ ტექსტის აღქმაზე.

ლ. ს. ვიგოტსკი თვლიდა მხატვრული ტექსტის სათაურს - ტექსტის აზრის დომინანტად. ის წერდა: „...სათაური, რა თქმა უნდა, არ ეძლევა ტყუილად, მასში დევს ყველზე მთავარი თემის ახსნა და ის კაზმულია იმ დომინანტით, რომელიც ასახავს ტექსტის მთელ ხასიათს“ (1987:152). თავის მხრივ, კრჟიჟანოვსკი სათაურს განმარტავს ასე: „წიგნის წამყვანი სიტყვათშერწყმა, რომელსაც ავტორი წიგნის მთავრად წარმოგიდგენს“ (,1925:58). კუხარენკო განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ „სათაურში შესულია მთავარი, ზოგჯერ კი ერთადერთი ავტორის კონცეპტის ფორმულირება“ (, 1988:96). ამ პოზიციებიდან, შეგვიძლია განვიხილოთ სათაური - როგორც ავტორის მიერ მთელი ტექსტის ინტერპრეტაცია.

სათაურის თავისებურება გამოიხატება შესაძლებლობაში, მასში გააერთიანოს ტექსტის მინიმუმ ორი დონე: კომპოზიციური და სემანტიკური. „სათაური თავისებურად შეიცავს ორ ფუნქციას - ნომინაციის ფუნქციას (ექსპლიციტურად) და პრედიკაციის ფუნქციას (იმპლიციტურად). გალპერინი აღნიშნავს, რომ: „შეიძლება სათაური მეტაფორულად წარმოვიდგინოთ, დახვეული ზამბარის სახით, რომელიც

აჩენს თავის შესაძლებლობებს ხვეულების გახსნის პროცესში“ (, 2004 :133).

სათაური მდებარეობს ტექსტის მთავარი ნაწილის გარეთ და ცდილობს ადეკვატურად წარმოგვიდგინოს გარედან აღქმული ნაწარმოები. მეორე მხრივ, სათაური - ეს არის ტექსტის ნაწილი, რომელიც ავსებს მას და წარმოგვიდგენს როგორც დასრულებულსა და მთელს.

მაშასადამე, სათაური, როგორც ნიშანი ავლენს სემანტიკურსა და სემიოტიკურ არასტაბილურობას. ის:

- მიეკუთვნება ტექსტს და ამავდროულად მიმართულია ტექსტგარე ფუნქციონირებისაკენ;
- წარმოადგენს ტექსტსა და ამავდროულად ასრულებს მას; მისი შემცველობით „სათაური ილტვის ტექსტისაკენ როგორც სისრულისაკენ, ხოლო ფორმით - სიტყვისაკენ (სახელისაკენ)“ (, 1983 :10);
- ასახელებს ტექსტს, გვამისამართებს მისკენ და ამავდროულად მთელი ტექსტის სემანტიკური ხვეულია (, 1931: 51) და სხვა.

სათაურის ეს და სხვა თვისებები რეალიზდება მის მიერ ორი - ინტერტექსტუალური და შიდატექსტური ფუნქციის შესრულების დროს (, 1999:189).

სათაურის **ინტერტექსტუალური ფუნქცია** ეფუძნება მის ფორმალურ-სემანტიკურ ავტონომიას. თავისი ინტერტექსტუალური ფუნქციით სათაური მრავალ ტექსტთა ორიენტირებაში გვეხმარება. თავის მხრივ ბევრი დასათაურება მისივე ტექსტიდან განყენებულად გამოიყენება.

შიდატექსტური ფუნქცია. ტექსტის წაკითხვამდე სათაური აღქმის დროს - ინდექსური ნიშანია, რომელიც წაკითხვის დროს ტრანსფორმირდება პირობით ნიშანში, რომელიც ტექსტის წაკითხვისა და აღქმის შემდეგ უახლოვდება მოტივირებულ პირობით ნიშანს. თუკი სათაურად გამოყენებულია პირობითი ენობრივი ნიშანი, მაშინ ის თავიდანვე აერთიანებს მასში პირობით და ინდექსურ

ნიშნებს. პირობითიდან ინარჩუნებს მახსოვრობას, სიტყვის ენობრივ მნიშვნელობას, ინდექსურიდან გვითითებს ტექსტზე, რომელთანაც სათაური არის სივრცობრივად მიმდებარე დამოკიდებულებაში (ის არის წინ და წერილობითი ტექსტის ზემოთ).

სათაური, ტექსტის „წინ“ პირობითი ნიშნის ფუნქციით, მხოლოდ „გვანიშნებს“ ტექსტის შინაარსს, ინდექსურ ფუნქციაში კი - გვითითებს ტექსტზე, როგორც ფიზიკურ სხეულზე. ტექსტის „შემდეგ“, როდესაც უკვე გვაქვს მისი სრული ვერსია, სათაური თავისი გარდასახული მნიშვნელობით გვატყობინებს ტექსტის შინაარსს და შემდეგ მიგვითითებს მასზე და არა ტექსტის „სხეულზე“. მაშასადამე სათაური ორივე შემთხვევაში არის - მეტატექსტური ნიშანი, მაგრამ სხვადასხვა რეფერენტებით.

ნ. ა. კოჟინა თვლის, რომ „სათაური - ენობრივი ერთეულია, რომელიც შეფარდებულია ტექსტთან, როგორც მთლიანთან. სათაური დგას და თან არ დგას ტექსტის საზღვარზე, რის გამოც მასში ერთნაირად ძლიერია გარე და შიდა საწყისები. სათაურის გარე მხარე წარმოადგენს ტექსტს კულტურულ-ისტორიულ სამყაროში, ხოლო შიდა - მიმართულია ტექსტისაკენ“ (, 1983:19).

სათაურის შეფარდებითი ავტონომიურობის წყალობით, შეგვიძლია ვისაუბროთ ტექსტსა და სათაურს შორის განსაკუთრებული კავშირის არსებობაზე. ესენია:

- პირდაპირი კავშირები;
- უკუკავშირები.

პირდაპირი და უკუკავშირები გამოიხატება ექსპლიციტურად და იმპლიციტურად. სათაურსა და ტექსტს შორის ენობრივი კავშირის წარმოების განსაკუთრებული მეთოდი არის - გამეორება. ექსპლიციტური კავშირის დროს ხორციელდება ლექსიკურ დონეზე გამეორება, იმპლიციტურის დროს - მხოლოდ სემანტიკური გამეორება. მხოლოდ ექსპლიციტური და იმპლიციტური კავშირები თანამშრომლობენ ტექსტში და ამიტომ, სათაურის მთავარი თვისებები პოლისემიურობა და დინამიკურობაა.

სათაური და ტექსტის მთავარი კორპუსი ქმნიან ერთიან მხატვრულ გამონათქვამს. ამ გამონათქვამში სათაურს გამყარებული პოზიცია აქვს -

ექსპლიციტურად ის მისი პირველი ელემენტია. ამიტომ უპირველესად სათაური არის შეტყობინების თემა და მოითხოვს მის გახსნას მომდევნო ტექსტში.

ლ. მ. მაიდანოვა თვლის, რომ „ტექსტი არის იერარქიულად მოწყობილი თეზისების სისტემა, რომლებიც ავითარებენ და აზუსტებენ ერთმანეთს. ტექსტურ იერარქიაში სათავეში დგას მთავარი აზრი (ნაწარმოების თემა და მასზე მიწერილი მახასიათებელი). ტექსტის შეჯამება ხდება სიტუაციის ანალიტიკური შეფასებით. ტექსტის საერთო შინაარსის მთავარი ელემენტები თანაარსებობენ არამთავართან - ილუსტრაციებსა და ფონთან ერთად შეტყობინების მიზნისათვის“ (, 1987:178). სათაური, ასახელებს ტექსტს, გამოხატავს მისი აზრობრივი სქემის სხვადასხვა ელემენტებს.

სათაური ფუნქციონირებს როგორც ტექსტის სრულ შემადგენლობაში, ისე დამოუკიდებლადაც - როგორც მისი წარმომადგენელი და „მოადგილე“ (როგორც მეტატექსტი).

როდესაც განვიხილავთ საგაზეთო ტექსტის სათაურს, როგორც კომუნიკაციურ ერთეულს, უნდა დავახსიანოთ ისეთი ცნებები, როგორცაა: პრედიკატულობა, მოდალობა, ინტონაციური დასრულებულობა და გრამატიკული შევსებულობა. საწყისია არა გრამატიკული სტრუქტურა, არამედ საგაზეთო სტატიის სათაურის კომუნიკაციური დანიშნულება. „საგაზეთო სტატიის სათაური, შექმნილი კომუნიკაციისათვის, თავისი ბუნებით არის კომუნიკაციური ერთეული, სადაც დომინანტური ადგილი ავტორის ინტენციას აქვს“ (, 1983:6).

თუკი ჩვენ პრედიკატულობას განვიხილავთ როგორც ენობრივი ერთეულის აზრობრივი შინაარსის რეალობასთან შეთანხმებას, მაშინ ჩვენ ვაღიარებთ, რომ პუბლიცისტური ტექსტის სათაურს აქვს რეალობის ორი ტიპი - ტექსტი და საკუთარი დენოტატი. სათაურს აქვს პრედიკაციის ორივე სახის თვისება - რაშიც გამოიხატება მისი სპეციფიკურობა, როგორც განსაკუთრებული ლინგვისტური ქმნილებისა.

ვითვალისწინებთ რა საგაზეთო სტატიის სათაურის ორმაგ ბუნებას, შესაძლებელია გამოვყოთ ორი ასპექტი მის კომუნიკაციურ დახასიათებაში:

- სათაურის კომუნიკაციურობა, როგორც ტექსტის სემანტიკური რეპრეზენტაცია (სათაური როგორც ტექსტის კომპონენტი);

- სათაურის კომუნიკაციურობა, დამოუკიდებელი გამონათქვამი (სათაური, როგორც დამოუკიდებელი წინადადება).

გაზეთის სათაურის კომუნიკაციურობა, როგორც დამოუკიდებელი გამონათქვამისა, პასუხობს გრამატიკული, სემანტიკური და ლოგიკური სისწორის მოთხოვნებს, მაგრამ არ აკმაყოფილებს მიზანმიმართულობისა და სიტუაციურობის შეფარდების პირობებს. პუბლიცისტური ტექსტის სათაურის რეპრეზენტაციული ფუნქცია გამოიხატება მის მცდელობაში, გამოხატოს როგორც ინფორმაციის შინაარსი, ასევე ავტორის ინტენცია. ამიტომ საგაზეთო სტატიის სათაური ინფორმაციას გვაძლევს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ის წარმოდგენილია ერთეული ნომინატივით (ამავდროულად ამ ტიპის სათაურების განხილვისას ერთ-ერთი აქტუალური კითხვა ნომინაციური სათაურის ინტენციურ შინაარსზე ხდება).

გაზეთი ითავსებს ნომინაციის აქტსა და პრედიკატიზაციის პროცესს, შემეცნებასა (გაგებასა) და კომუნიკაციას. ამასთან დაკავშირებით ლ. ა. კორობოვა გამოჰყოფს საგაზეთო სტატიის სათაურის კომუნიკაციური შინაარსის შემდეგ მომენტებს:

- ტექსტის კომუნიკაციური მიზანდასახულობის ასახვა;
- ტექსტის ლინგვო-სემანტიკური სტრუქტურის ასახვა;
- სოციალურ-ფსიქოლოგიურ - კომუნიკაციური ამოცანის ასახვა;
- ავტორის ინტენციის ასახვა (, 1983:23).

ამრიგად, საგაზეთო ტექსტის სათაური ასრულებს სხვადასხვა ფუნქციასა და გარკვეულ კომუნიკაციურ ამოცანებს, ის აზრობრივად შეიცავს მითითებებს სხვადასხვა მოვლენებზე (ან კომპონენტებზე). თუკი სათაურის შინაარსი - არის ნომინაციური (წარმოდგენა) მოვლენა, მაშინ მისი ფორმალური ორგანიზაცია - არის მოვლენის გარდაქმნა ადამიანის (ავტორის) გონებაში. საგაზეთო სტატიის სათაური არის ტექსტის ერთეული, რომელშიც აისახება არსებული სურათი და იქცევა კომუნიკაციის ერთეულად, მისი კომუნიკაციის ერთეულად ქცევა კი უზრუნველყოფს სათაურის დამოუკიდებელ ერთეულად არსებობას.

თავი III. პუბლიცისტური ტექსტის სათაურის სინტაქსური მოდიფიკაცია

მოცემული თავი - „პუბლიცისტური ტექსტის სათაურის სინტაქსური მოდიფიკაცია“ - არის ჩვენი კვლევის უმთავრესი საკითხი, ამიტომ საჭიროა გავიხსენოთ და გავარკვიოთ, რას ნიშნავს ტერმინები „სინტაქსი“ და რას - „მოდიფიკაცია“.

ტერმინი „სინტაქსი“ ბერძნულია (syntaxis), და ნიშნავს „შეწყობას“, „შედგენას“, შეხამებას“. სინტაქსი, ტრადიციული გაგებით სწავლობს სიტყვების შეწყობა-შეკავშირების წესებს და არკვევს სიტყვის ფუნქციას წინადადებაში (კვაჭაძე, 2010:11; ფეიქრიშვილი, 1996:5). სინტაქსის შესასწავლი საგანია სიტყვათა სინტაქსურად ორგანიზებული შენაერთი ანუ შესიტყვება. სინტაქსი ტექსტობრივი დონის შემდეგ ენის ყველაზე მაღალი დონეა (ფონოლოგიური, მორფოლოგიური, ლექსიკური, სინტაქსური დონე) და იკვლევს, თუ რა და რა სიტყვები ერთიანდება ენაში და როგორ; სიტყვათა შეერთების რა შესაძლებლობანი გააჩნია ენას. სინტაქსის საგანი შესიტყვებაა, მიზანი კი - შესიტყვების სტრუქტურა - მექანიზმის კვლევა.

მოდიფიკაცია - საგნის ან მოვლენის ისეთი სახეცვლილებაა, რომელიც არ ეხება მის არსს.

უცხო სიტყვათა ლექსიკონში მოდიფიკაციას მეცნიერების სხვადასხვა დარგის მიხედვით (ზოოლოგია, ბიოლოგია, ტექნოლოგია) რამდენიმე განმარტება აქვს, აქედან ჩვენთვის საინტერესოა შემდეგი განსაზღვრება: „**მოდიფიკაცია** [„ფრ. შეცვლა] სახეცვლილება, რაიმეს გარდაქმნა, რომელსაც თან ახლავს ახალი თვისებების გაჩენა (თეზელიშვილი, 2005:519).

მოდიფიკაცია განიცადა არა მარტო სათაურის სტრუქტურამ, არამედ ფუნქციამ, ინფორმაციულობამ, თავად სათაურმაც და უფრო მეტიც, თვით პუბლიცისტიკამაც, რადგან წლების განმავლობაში შეიცვალა ჟურნალისტთა რიტმი, შეხედულებები, მოხდა სფეროებად დაყოფა, ცალკეული დარგების ჩამოყალიბება და ა. შ. მაგალითად, სათაურის თავდაპირველი როლი იყო იდენტიფიცირება, ანუ სახელდება, ნომინირება, ეს გარეგანი ნიშანი იყო მთავარი, რომ ერთი ტექსტი უმაღლვე გაგვერჩია მეორისგან. შუა საუკუნეებში მას მანიშნებლის როლი დაეკისრა,

სათაური გადმოგვცემდა ინფორმაციას, ხოლო შემდეგ უფრო გაფართოვდა მისი როლი და იმპლიციტურ-ექსპლიციტური სათაურებიც გაჩნდა. გაიზარდა სათაურის ფუნქციაც იდენტიფიცირებიდან დაწყებული დამაინტერესებლის, ინფორმაციულობის, რეკლამირების, ინტრიგისა და ა. შ. ფუნქციების შემენით. ინფორმაციული ცვლილება გამოიხატება იმაში, რომ, თუ ადრე ძირითადად მნიშვნელოვან ინფორმაციას აცნობდნენ სათაურებით, დღეს ყველა ტიპის ინფორმაციზე ხდება აქცენტი - იქნება ეს ძირითადი თუ მეორეული. რაც შეეხება სტრუქტურულ მოდიფიკაციას, რაც კარგად აისახა წინადადების სინტაქსში, ამას დაწვრილებით შევხებით ქვემოთ. რა თქმა უნდა, მიმოვიხილავთ ფუნქციურ, ინფორმაციულ მოდიფიცირებას, მაგრამ დიდ ნაწილს დავუთმობთ სათაურის სინტაქსურ მოდიფიკაციას.

ენა დინამიკური სისტემაა და მუდმივად იცვლება, ივსება, ვითარდება და ძალიან კარგად გამოხატავს ცვლილებებს დროში, მასში საუკეთესოდ აისახება ქვეყნის სოციალური თუ პოლიტიკური ძვრები. შინაგანი ენობრივი პროცესი, ღია საინფორმაციო სივრცე, სწრაფად განვითარებული ტექნიკური ცივილიზაცია და ინტენსიური გარე ურთიერთობები უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს ენის ფორმირებაზე. ეს ცვლილებები, რა თქმა უნდა, აისახება ენობრივ ერთეულთა ყველა იერარქიულ საფეხურზე, იქნება ეს ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური თუ სხვა.

სინტაქსური მოდიფიცირებაც ენაში არსებულ ცვლილებებს გულისხმობს სინტაქსის დონეზე, კერძოდ, მოდალობისა თუ აგებულების მიხედვით როგორი წინადადებები ჭარბობდა გასული საუკუნეების პუბლიცისტური ტექსტების სათაურებად და რა ხდება თანამედროვე ეტაპზე, რა სახეობის სინტაგმები გვხვდებოდა მე-19, მე-20 საუკუნეებში და ამ მხრივ როგორი სურათია დღეს. ბუნებრივია, ამგვარი ცვლილებები აისახა ტექსტის წამყვან ნიშანზე, სათაურზე, მარტივი წინადადებით გადმოცემული სათაურები დღეს რთულმა ჩაანაცვლა, ფეხი მოიკიდა რეზიუმეს მსგავსმა სათაურებმაც, იშვიათობაა მსაზღვრელ-საზღვრულიანი სათაურები და ა.შ.

ამრიგად, დროთა განმავლობაში ნებისმიერი პროცესი თუ მოვლენა განიცდის მოდიფიცირებას, ყველა ეს ისტორიული, სოციალური თუ კულტურული ცვლილება ფიქსირდება ენაში და საკვლევი ობიექტის აქტუალობას არ კარგავს.

3.1. სინტაქსური მოდიფიკაციის გამომწვევი მიზეზები

ენა დინამიკური სისტემაა, შესაბამისად, დროთა განმავლობაში განიცდის ცვლილებას. ამერიკელმა ენათმეცნიერმა ედვარდ საპირმა 1921 წელს აღნიშნა, „ყველამ იცის, რომ ენები ცვალებადია“ (ლადარია, 2002:30). არსებობს აკადემიები, რომლებსაც ევალება ენობრივ სიტუაციაზე კონტროლი, ისინი აბრკოლებენ სლენგის, ჟარგონის გამოყენებას, გრამატიკული ნორმების სასაუბრო ენისთვის დამახასიათებელ გამარტივებათა წერილობით ტექსტებში შეღწევას, ორთოგრაფიული ნორმების ცვლილებას, მიუხედავად ამისა, პრესაში კოლოსალური განვითარების წყალობით საკმაოდ სწრაფად იცვლება ენა, ლებულობს მრავალ ინოვაციას და ამ პროცესზე კონტროლის დაწესება შეუძლებელია. ეს ცვლილება არის ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური, რომელიც, რა თქმა უნდა, ენაშივე აისახება და შეუმჩნეველი არ რჩება, სწორედ ეს არის მოდიფიკაცია, როცა საგანსა თუ მოვლენაში ხდება ისეთი სახეცვლილებები, რომლებიც არ ეხება მის არსს. ამ ცვლილებათა მიზეზსა თუ მიზეზებს აქვს შესაბამისი ახსნა. გრამატიკის შემადგენელ ერთ-ერთი ნაწილში, სინტაქსში, მოხდა სტრუქტურული მოდიფიცირება, რაც აისახა ჩვენი კვლევის ობიექტშიც - სათაურში. აქედან გამომდინარე, სინტაქსური მოდიფიკაციის ერთ-ერთი მიზეზია ენის ცვლა.

მასობრივი კულტურა და, ძირითადად, საგაზეთო სტატიები, აქტიურად რეაგირებენ ენაში მომხდარ ნებისმიერ ცვლილებაზე და სტრუქტურული, კულტურულ - ისტორიული განვითარების ყველა თანამედროვე ტენდენციას ასახავს. „მედია „რეალობის სარკეა“, მისი საშუალებით ხდება მოვლენათა აქტუალიზაცია“ (ლადარია, 2002:79).

XIX - XX საუკუნეებისთვის ჟურნალ-გაზეთებს ყოველთვის ჰყავდა დიდი რაოდენობის მკითხველი, რადგან ის ინფორმაციის გავრცელების ძირითად წყაროდ ითვლებოდა და სათაურის ფუნქცია ინფორმაციის მიწოდება იყო, აღნიშნულ ეპოქებში საზოგადოებისათვის მისაწოდებელი ტექსტის სათაური გადმოცემული იყო მარტივი წინადადებით, რაც უფრო იოლად დასამახსოვრებელი და აღსაქმელი იყო მკითხველისთვის. თანამედროვე ანუ გლობალიზაციის ეპოქაში ინფორმაციის მიწოდების უამრავი საშუალება არსებობს, ამიტომ მიმდინარეობს ერთგვარი შეჯიბრება, თუ ვინ უფრო სწრაფად და საინტერესოდ მიაწოდებს ინფორმაციას ეფექტიანი სათაურით. ასეთ სათაურად კი დღეს სახელდება წინადადების ნაცვლად, განსხვავებით მე-19, მე-20 საუკუნეებისა, ითვლება რთული და ზერთული წინადადებები, რომელშიც ინფორმაცია დაქუცმაცებულია და უფრო დამაინტერესებელია ადრესატისთვის, გამოდის, სინტაქსური მოდიფიკაციის მეორე მიზეზი ეპოქალური ცვლაა.

დღესდღეობით პუბლიცისტური ტექსტის სათაურები, ნაცვლად ლაკონიურობისა და სისხარტისა, არის ზერთული წინადადებით წარმოდგენილი, რომლებიც ზოგჯერ ტექსტის ანოტაციასაც კი წარმოადგენს. აგრეთვე, დაემატა შემდეგი ფუნქციები: სკანდალურობა, დაინტრიგება და რეკლამირება. რეკლამა (ლათ. reclamo – „წამოვიყვირებ“) – ეს არის ინფორმაცია, გავრცელებული ნებისმიერი მეთოდით, ნებისმიერი ფორმით და ხერხით, მიმართული საზოგადოების ფართო მასებისთვის, რეკლამირების ობიექტის მიმართ მათი ყურადღების მიპყრობის და/ან ინტერესის გაღვივების მიზნით. მისი მიზანია, რაც შეიძლება საზოგადოების დიდ ნაწილზე მოახდინოს ზეგავლენა.

რეკლამა ორიენტირებულია სამომხმარებლო ბაზარზე, როდესაც სათაური ცდილობს მიიზიდოს მკითხველი აზრობრივი თუ ენობრივი გაფორმების ორიგინალურობით. სათაურის ამ ასპექტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას გამომცემლები ანიჭებენ, რის გამოც ისინი ხშირად ერევიან მის შერჩევაში და თანამშრომლობენ ავტორებთან. ნაწილობრივ, სარეკლამო ფუნქციასთან არის დაკავშირებული „მაცდუნებელი“ სათაურების კვლევა, რომლებიც არამხოლოდ ტექსტის ინტერპრეტაციაში ასრულებს მთავარ როლს, არამედ მკითხველის

ინტერესის სტიმულირებას ახდენს, რითაც უზრუნველყოფენ ჟურნალ-გაზეთების გაყიდვას. შეიძლება ითქვას, რომ არსებობს შესაბამისობა სათაურის სარეკლამო ფუნქციას, ტირაჟსა და მის სამომხმარებლო ბაზარს შორის, შესაბამისად, სინტაქსური მოდიფიკაციის მიზეზად **ღირებულებებისა და მიზნების ცვლა ჩავთვალოთ. ასევე მიზნის მისაღწევი გზების ცვლაც**, რადგან ადრესანტი ფიქრობს ისეთ სათაურზე, რომელიც კარგად მუშაობს სოციუმის დიდ ნაწილზე, ასეთი კი დამინტრიგებელი, ეპატაჟური და ზემოქმედების მომხდენი სათაურებია.


მე-19, მე-20 საუკუნეების პუბლიცისტურ ტექსტებში არ გვხვდება უცენზურო სათაურები, ამის მიზეზი იყო ის, რომ ამ პერიოდისათვის მკაცრად დაწესებული ცენზურა მოქმედებდა, რაც დამსათაურებელს ზღუდავდა და არ აძლევდა ყველაფრის თავისუფლად თქმის საშუალებას, სამწუხაროდ, დღეს უცენზურო სათაურები საკმაოდ მომრავლდა და მათი გადმოცემა ხდება ნებისმიერი - მარტივი თუ რთულწინადადებიანი - კონსტრუქციებით. ასეთ შემთხვევაში რა უნდა იყოს სინტაქსური მოდიფიკაციის გამომწვევი მიზეზი? ვფიქრობთ, **არსებული ისტორიულ - სოციალურ - კულტურული ფონი.**

გამომდინარე აქედან, სინტაქსური მოდიფიკაციის ძირითადი მიზეზი სოციოლინგვისტური ფაქტორია. თანამედროვე სოციოლინგვისტიკის ერთ-ერთი დამაარსებელი, უილიამ ლაბოვი სოციოლინგვისტიკას განმარტავს, როგორც მეცნიერებას, რომელიც შეისწავლის „ენას მის სოციალურ კონტექსტში“ (ლადარია, 2002:5).

ამრიგად, ყველა საგანი თუ მოვლენა განიცდის მოდიფიცირებას და ეს განაპირობებს მათ მრავალფეროვნებასა და ხშირად კვლევის ობიექტის აქტუალურობას. მე-19, მე-20, 21-ე საუკუნეების პუბლიცისტური ტექსტების სათაურთა სინქრონიული და დიაქრონიული შედარების შედეგად **სინტაქსური მოდიფიკაციის არაერთი მიზეზი გამოვავლინეთ:**

- ა) ენის ცვლა;
- ბ) ეპოქალური ცვლილებები;
- გ) ღირებულებათა ცვლა;
- დ) მიზნისა და მისი მიღწევის გზების ცვლა;

ე) არსებული ისტორიულ - სოციალურ - კულტურული ფონი.



3.2. პუბლიცისტური ტექსტის სათაურთა სტრუქტურა XIX საუკუნის ქართულენოვან პრესაში

მე-19 საუკუნე ეს იყო ეპოქა, როდესაც ინფორმაციის გავრცელებისა და მიღების მთავარ წყაროს მედია წარმოადგენდა. ქვეყნის ისტორიული, სოციალური თუ კულტურული სიახლეები, ცვლილებები, პირველყოვლისა აისახებოდა პრესაში. ამ დროს პუბლიცისტური ტექსტებისა და მათი სათაურის მთავარი ფუნქცია იყო ინფორმაციის მიწოდება, ზოგჯერ მკითხველთა დაინტერესებაც. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ იმდროინდელი ფონიდან გამომდინარე, პუბლიცისტური ტექსტების სათაურში არ იყო საჭირო რეკლამისა და ინტრიგის ჩადება (ეს ფუნქცია 21-საუკუნეში შეიძინა), რადგან ისედაც კითხულობდნენ, საზოგადოება ელოდებოდა

ჟურნალ-გაზეთების ახალ ნომერს, რომლისგანაც მიიღებდა საქართველოსა და მსოფლიოში არსებულ მოვლენათა შესახებ ახალ ინფორმაციას. ჩვენ მიერ მოპოვებულ ემპირიულ მასალებში, კერძოდ, 1866-1901 წწ. გამოცემის ჟურნალ-გაზეთებში, ჩანს, რომ სათაური ასრულებს ინფორმაციულ ფუნქციას, ამის კარგი მაგალითია ერთსიტყვიანი სათაურები, რომლებიც არის სახელითა და სახელწმინით გადმოცემული სახელდებითი წინადადებები, ადგილის, დროის, ვითარების გარემოებანი და განსაზღვრებებიც.

3.2.1. ერთსიტყვიანი სათაურები

აღნიშნული პერიოდის ქართულენოვან პრესაში თვალში საცემია ერთსიტყვიანი სათაურები:

„სტიპენდიები“; „პოლიტიკა“; „საბერძნეთი“ (გაზ., „ივერია“, 1883 წ., №07-08);

„ვაჭრობა“ (გაზ., „ივერია“, 1885 წ., №08);

„უცხოეთი“; „საღამო“; „დეპუტა“ (გაზ., „ივერია“, 1889 წ., №73);

„სახელდახელო“; „კურდღელაური“; „საბედნიერ-დღეოდ“ (გაზ., „ივერია“, 1901 წ., №282);

„ფოჩტა“ (გაზ., „სასოფლო გაზეთი“, 1869 წ., №19);

„მაჭახელა“ (გაზ., „ივერია“, 1878 წ., №47);

„სტამბოლიდან“ (გაზ., „კვალი“, 1895 წ., №23);

„ტელეგრამები“; „საქართველო“ (გაზ., „დროება“, 1869 წ., №26);

„პოლიტიკა“ (გაზ., „დროება“, 1866 წ., №12);

„პარიჟი“; „პეტერბურლი“, „მწერლობა“ (გაზ., „დროება“, 1879 წ., №1);

„პეტერბურგი“; „პარიზი“ (გაზ., „ცნობის ფურცელი“, 1896 წ., №11);

„რძე“, „ღვინო“ (გაზ., „სასოფლო გაზეთი“, 1869 წ., №10);

„ქრთამი“ (გაზ., „სასოფლო გაზეთი“, 1869 წ., №1)...

ამგვარი სათაურები მკითხველს აწოდებს ინფორმაციას ყოველგვარი აპელაციურობის გარეშე. მკითხველმა იცის, რომ ტექსტში იმის შესახებ იქნება საუბარი, რაზედაც სათაური მიუთითებს, სათაურის თვისება იყო მკითხველის მიყვანა ტექსტამდე, ხოლო ავტორის მოტივაცია იყო ახალი ინფორმაციის მიწოდება.

მე-19 საუკუნის პუბლიცისტურ ტექსტებში ხშირია სუბსტანტიურ და ატრიბუტულ მსაზღვრელიანი სათაურები, ესეც დამადასტურებელია იმისა, რომ სათაურის მთავარი ფუნქცია ინფორმაციულობაა, დამსათაურებელი ფიქრობდა მოკლე და სხარტ სათაურზე, რომელიც გახდებოდა ტექსტთან მისაყვანი გზა, მისი მთავარი ამოცანა იყო სათაურის მეშვეობით მკითველისთვის იმ ინფორმაციის მიწოდება, რაზეც ტექსტში იქნებოდა საუბარი.

3.2.2. მსაზღვრელ-საზღვრულიანი სათაურები XIX საუკუნის ქართულენოვან პრესაში

ერთსიტყვიანი სათაურების პარალელურად XIX საუკუნის ქართულენოვან პრესაში აქტიურად გვხვდება ორსიტყვიანი, ძირითადად მსაზღვრელ-საზღვრულიანი სათაურები. მსაზღვრელად კი ორივე ტიპია გამოყენებული, როგორც სუბსტანტიური, ისე ატრიბუტული:

სუბსტანტიურ მსაზღვრელიანი სათაურები:

„საზოგადოების სკოლები“ (გაზ., „ივერია“, 1883 წ., №07-08);

„საზოგადოების ბიბლიოთეკა“ (გაზ., „ივერია“, 1883 წ., №07-08);

„პოლიტიკის მიმოხილვა“ (გაზ., „ივერია“, 1883, №9);

„მგზავრის დღიური“ (გაზ., „ივერია“, 1878 წ., №44);

„ღვინის დაყენება“, „უცხოეთის მიმოხილვა“ (გაზ., „მომბე“, 1894 წ., №12);

„გვირგვინის კურთხევაზე“ (გაზ., „კვალი“, 1896 წ., №24);

„კრიტიკის კრიტიკა“ (გაზ., „კვალი“, 1895 წ., №23);

„მმართველობის განკარგულება“ (გაზ., „დროება“, 1866 წ., №12);

„პროვინციის ვითარება“ (გაზ., „კვალი“, 1897 წ., №25);

„დასასრულის დასაწყისი“ (გაზ., „კვალი“, 1898, №26);

„კვალის კორესპონდენციები“ (გაზ., „კვალი“, 1898, №26);

„მგ ზავრის შენიშვნები“ (გაზ., „კვალი“, 1898, №26);

„დამბლის წამლობა“ (გაზ., „სასოფლო გაზეთი“, 1869 წ., №10);

„პარყის არეულობა“ (გაზ., „დროება“, 1871 წ., №16);

„თეატრის მატთანე“ (გაზ., „ცნობის ფურცელი, 1896 წ., №7);

„ელექტრონის ზარები“ (გაზ., „ცნობის ფურცელი“, 1896 წ., №48);

„სასამართლოს მატთანე“ (გაზ., „ცნობის ფურცელი“, 1896 წ., №11);

„პოლიციის მატთანე“ (გაზ., „ცნობის ფურცელი“, 1896 წ., №11) და ა. შ.

ატრიბურულ მსაზღვრელიანი სათაურები:

„სუსტი მხარე“ (გაზ., „დროება“, 1884 წ., №32);

„სადაო მბლობელობა“ (გაზ., „დროება“, 1884, №12);

„შინაური ქრონიკა“ (გაზ., „დროება“, 1884 წ., №92);

„ბიბლიოგრაფიული ცნობა“ (გაზ., „დროება“, 1866 წ., №12);

„დავიწყებული საქმე“, „წერილები ინგლისიდან“ (გაზ., „კვალი“, 1897 წ., №25),

„უმადლესი მანიფესტი“ (გაზ., „კვალი“, 1896 წ., №24);

„ჩემი სურათი“, „საქველ-მოქმედო საქმე“, „ქართველი მოწაფენი“ (გაზ., „კვალი“, 1898 წ., №26);

„საბალოსნო წარმოება“ (გაზ., „კვალი“, 1893 წ., №23);

„წვრილი ამბები“ (გაზ., „ივერია“, 1989 წ., №73);

„შინაგანი ცნობები“ (გაზ., „სასოფლო გაზეთი“, 1869 წ., №16);

„შესანიშნავი ფური“ (გაზ., „სასოფლო გაზეთი“, 1869 წ., №6) და ა. შ.

აღნიშნული პერიოდისათვის დამახასიათებელია მარტივი სახელდებითი წინადადებებით დასათაურება, იქნება ეს გაუვრცობელი, რომელიც ზევით დავიმოწმეთ ერთსიტყვიანი დასათაურების სახელით, თუ გავრცობილი. ზოგადად, სახელდებითი წინადადება აქტიურად გამოიყენება პოეტურ მეტყველებაში ბუნების სურათის აღწერისა და სწრაფად ცვალებადი შემთხვევების გადმოსაცემად, მწერალი მოკლედ და ნათლად გვიხატავს მოვლენებს. მე-19 საუკუნის პუბლიცისტიკაში კი სახელდებით წინადადებიანი სათაურები ხშირი და დამახასიათებელია, ამ

პერიოდისათვის არ გვხვდება პრედიკატური სათაური. „სახელდებითი ჰქვია უშემასმენლო წინადადებას, რომლის მთავარი წევრი (ქვემდებარე) გადმოცემულია სახელობით ბრუნვაში დასმული არსებითი სახელით ან სახელზმნით. სახელდებითი წინადადება ყოველთვის ერთშემადგენლია. მასში შემასმენელი არაა და არც გამოტოვებულადა იგულისხმება. აქ მთავარი წევრი გადმოცემულია არსებითი სახელის სახელობითი ბრუნვის ფორმით. სწორედ ამის გამო უწოდებენ ნომინატიურ წინადადებასაც“ (კვაჭაძე, 2010: 246; ფეიქრიშვილი, 1996 :174).

3.2.3. გავრცობილი სახელდებითი წინადადებები სათაურებად

გავრცობილი სახელდებითი წინადადებებით გადმოცემული სათაურები მოკლედ, ნათლად და მოხდენილად გადმოსცემს სათქმელს, მოვლენას, მოქმედების დროსა და ადგილს. სახელდებითი წინადადებები შეიძლება გადმოცემული იყოს და' კავშირით შეერთებული რამდენიმე ერთგვარი წევრით, რამდენიმე მსაზღვრელით, თანდებულთა და ა.შ.

თანდებულთა გადმოცემული სახელდებითი სათაურები:

- „*ჟურნალ ივერიის მკითხველთა მიმართ*“ (გაზ., „ივერია“, 1883 წ., №07-08);
- „*მხოლოდ დღესასწაულამდე*“ (გაზ., „ივერია“, 1889 წ., №73);
- „*უცხოთა შორის*“, „*წერილი გურიიდან*“ (გაზ., „ივერია“, 1901 წ., №282);
- „*წერილი რედაქტორთან*“ (გაზ., „ივერია“, 1878 წ., №35);
- „*წერა - კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საწყობში*“ (გაზ., „ივერია“, 1901 წ., №282);
- „*კავთობა სოფელ კურდღელაურში*“ (გაზ., „ივერია“, 1877 წ., №16);
- „*მცირეწლოვან დამნაშავეთა თავ შესაფარი ზემო ავჭალაში*“ (გაზ., „კვალი“, 1899 წ., №27);
- „*მოქმედების პარტიის მიტინგი ნეაპოლიის ქალაქში*“ (გაზ., „დროება“, 1866 წ., №6);
- „*მორიგის ლაშქრობის განაჩენი მეორე ერეკლე მეფისაგან*“, „*რამდენიმე ცნობა ჩინეთის მეურნეობაზე*“ (გაზ., „დროება“, 1866 წ., №28);
- „*ტყის შენახვის თაობაზე*“ (გაზ., „სოფლის გაზეთი“, 1869 წ., №19);
- „*მიწის გასუქება ჩინეთში*“, „*სამკურნალო (საექიმო) საზოგადოებისაგან*“ (გაზ., „სასოფლო გაზეთი“, 1869 წ., №3);

„შიმშილის შიში ეგვიპტეში“ (გაზ., „სოფლის გაზეთი“, 1869 წ., №6);

„ტფილისში მიღებული“ (გაზ., „დროება“, 1866 წ., №6);

„ხალხის განათლება ამერიკაში“ (გაზ., „დროება“, 1866 წ., №8)..

ერთგვარწევრებიანი სახელდებითი სათაურები:

„საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილი“ (გაზ., „ივერია“, 1883 წ., №07-08);

„პოვინციალური მეთვალყურის ჩივილი და შედეგები“, „ქალების არჩევანის უფლება და ინგლისის პარლამენტი“ (გაზ., „ივერია“, 1878 წ., №47);

„ქართველთა და სომეხთა ურთიერთობა“ (გაზ., „კვალი“, 1893 წ., №21);

„კანონი და მთავრობის განკარგულება“ (გაზ., „ცნობის ფურცელი“, 1896 წ., №17);

„მიწისძვრა და ცეცხლ-მქშინავი მთები“ (გაზ., „სოფლის გაზეთი“, 1869 წ., №6)..

რამდენიმესაზღვრელიანი სახელდებითი სათაურები:

„ახალი წიგნების ბეჭდვა“, „ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლა“, „ოსმალოს სომხეთის საქმე“, „დასახარჯი მომავლის წლისათვის“, სამეგრელოს სათავად-აზნაურო სკოლის კურთხევა (გაზ., „ივერია“, 1883 წ., №07-08); კერძო სამკურნალო“, „ტფილისის კერძო სამკურნალო“, „ჩვენი სტუდენტების საყურადღებოდ“ (გაზ., „ივერია“, 1901 წ., №282); „საქმე ანდრეევსკის ქალის დაკარგვისა“, „სიღნაღის არეულობის საქმე“ (გაზ., „ივერია“, 1878 წ., №47); „ჩვენი ლიტერატურის მდგომარეობა“, „ქალაქის ხმოსანთა არჩევანები“, „ძალად ლიტერატორები“ (გაზ., „კვალი“, 1893 წ., №21), „ჩვენი მწერლობის წვრილმანები“, „ევროპის ძველი და ახალი მეურნეობა“ (გაზ., „კვალი“, 1899 წ., №27); „საყურადღებო ამბები“, „მეფე სოლომონ იმერეთისა, დიდ სოლომონად წოდებული“, „გაკვრით პასუხი“ (გაზ., „კვალი“, 1895 წ., №23); „ამ დროების ქართველები“ (გაზ., „დროება“, 1866 წ., №22); „სამაგალითო ხალხის არა სამაგალითო ქცევა“ (გაზ., „დროება“, 1885 წ., №24); „ტყის კანონებიდან გამოკრეფილი მუხლები“, „სიტყვა სოფლის მცხოვრებელისადმი“, „მზის სითბოთი ადუღება“ (გაზ., „სოფლის გაზეთი“, 1869 წ., №6) და ა.შ.

სახელდებითი მარტივ წინადადებიანი სათაურები, მე-19 საუკუნის 60-იან წლებში, მოდალობის მიხედვით, ძირითადად, თხრობითია, რაც მკითხველის

სინამდვილისადმი ობიექტურ დამოკიდებულებას გამოხატავს. აღნიშნულ პერიოდში, ძალიან იშვიათად გამოვლინდა კითხვით ან ძახილის მოდალობის სათაურები. ჩვენ მიერ მოპოვებულ ემპირიულ მასალებში მხოლოდ ორიოდე სათაური იყო ბრძანებით და კითხვით წინადადებიანი: „ნუ ახველებ!“ (გაზ., „ივერია“, 1889 წ., №73), „ვითომ მართალია?“ (გაზ., „დროება“, 1884 წ., №32). ეს უნდა აიხსნას იმით, რომ იმდროინდელი სინამდვილე ყოველგვარი გაფერადებისა და ემოციების გარეშე გადმოიცემოდა, დამსათაურებელი ინარჩუნებდა ობიექტურობას, რაც 21-ე საუკუნეში ჭირს და ნებისმიერ ფაქტს ისე გადმოსცემდა, რომ მთქმელის დამოკიდებულება გამოთქმული აზრისა თუ არსებული მოვლენისადმი არ ჩანდა.

ამ პერიოდისათვის სათაურად გვევლინება ლაკონიურად გადმოცემული, „და“ კავშირით შეერთებული ერთგვარი წევრები, მაგრამ ამგვარ დასათაურებას ვერ ჩავთვლით კონკრეტული ეპოქის მახასიათებელ სათაურად, რადგან მათი რაოდენობა მცირეა:

„დაბა და სოფელი“ (გაზ., „ივერია“, 1989 წ., №73);

„სასაუბრო და საფიქრებელი“ (გაზ., „ივერია“, 1877 წ., №16);

„დიალექტიკა და სიმართლე“ (გაზ., „დროება“, 1884 წ., №6);

„მორწყვა და მომშრალება“ (გაზ., „სასოფლო გაზეთი“, 1869 წ., №1)...

ამგვარი სათაურები აქტიურად გავრცელდა მე-20 საუკუნის ქართულენოვან პრესაში. აქვე უნდა ითქვას, რომ მე-19 საუკუნეში იშვიათად გვხვდება პიროვნების სახელით გვართა და წოდებით გადმოცემული ნომინატიური კონსტრუქციები სათაურად: „თ. ნესტორ თავდგირიძე“ (გაზ., „კვალი“, 1893 წ., №21)... მე-20 საუკუნის პრესაში ამგვარი სათაურების რიცხვი მატულობს, მაგრამ მახასიათებლად არ ჩაითვლება. აღნიშნული ტიპის სათაურები ფუნქციონირებას იწყებს მე-19 საუკუნეში, ვითარდება მე-20 საუკუნეში, მაგრამ ამავე პერიოდში მთავრდება და იყინება მისი გამოპყენების არე, რადგან 21-ე საუკუნეში ისინი აღარ გვხვდება.

თანამედროვე ეპოქაში შევხვდებით ალუზიურ სათაურებსაც, მაგრამ მე-19 საუკუნეში ერთადერთ შემთხვევაში წავაწყდით „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირებს“

(გაზ., „ივერია“, 1877 წ., №16). ვფიქრობთ, ამის მიზეზიც რეალობის შეუფარავად ასახვა იყო. არ გვხდება მეტაფორული და იმპლიციტური სათაურები.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გაზეთებში: „დროება“ და „ცნობის ფურცელი“ გვხვდება ე. წ. „სიმბოლოებიანი“, „მარკირებული“ სათაურები, რომელსაც დავით გოცირიძე უწოდებს „ნულოვანი სათაურებს“. ტექსტებს სათაურის ნაცვლად აქვს სამი სახის სიმბოლო: „პლიუსი +“, „ მოკლე ხაზი----“ და „სამი ვარსკვლავი****“-ამიტომაც ვუწოდებთ მათ „სიმბოლოებიანი“ „მარკირებული“ სათაურები. ზოგადად, ამგვარი დასათაურება პოეზიისათვისაა დამახასიათებელი, მაგრამ გვხვდება მედიაშიც, ძირითადად პატარა ტექსტებშია გამოყენებული „სიმბოლოებიანი“ სათაურები. ამის მიზეზად შეიძლება დავასახელოთ ინფორმაციის წყაროთა დეფიციტი, შეიძლება ვთქვათ, რომ ძველად ინფორმაციის მოძწოდებელი ძირითადად გაზეთი იყო, რომელსაც ინტერესით კითხულობდნენ, რათა არ გამორჩენოდათ საჭირო ინფორმაცია, ამიტომ უსათაურო ტექსტებშიც, შეიძლება ითქვას, იქცევდა მკითხველის ყურადღებას, იმ მიზნით, რამე არ იმალებოდეს ამის ქვეშ.

მე-19 საუკუნის მედიაში ყურადღებას იქცევს რუბრიკები სახელწოდებით: „სხვა-და-სხვა ამბავი“, „კვალის“ კორესპონდენციები“, „საქველ-მოქმედო საქმე“, „საყურადღებო ამბები“... ასეთი დასათაურება, რა თქმა უნდა, გამოყენებული იყო მკითხველის დაინტერესებისთვის. გვხვდება ასეთი სახელწოდებებიც: „პოლიციის მატთანე“, „გამოსადეგი ცნობა“, „თეატრის მატთანე“, „წერილი რედაქციის მიმართ“, „ამიერ კავკასიის რკინის გზა“, „ვაჭრების და იჯარადების საყურადღებოდ“, „ძალად ლიტერატორები“, „ახალი ამბავი“ და ა.შ. ესეც ერთ-ერთი დამადასტურებელია იმისა, რომ იმ დროისათვის რეალური ინფორმაციის მიწოდება იყო მთავარი და არა მკითხველზე ზემოქმედების მოხდენა.

ჩვენი კვლევის ობიექტს არ წარმოადგენს ფონეტიკური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური თუ სტილისტიკური თავისებურებების კვლევა, თუმცა მოკლედ აღვნიშნავთ, რომ ამ კუთხითაც თვალში საცემია არასწორი ფორმები. ერთმანეთის გვერდიგვერდ გვხვდება განსხვავებული წარმოება და დაწერილობა სიტყვებისა. მაგალითად: „პარიჟი“ და „პარიზი“, „სხვა-და-სხვა“ და „სხვადასხვა“, „ტფილისიდან“

და „თფილისიდან“ და ა.შ. თვალსაჩინოებისთვის მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს მე-19 საუკუნის პუბლიცისტური ტექსტების სათაურებიდან. კერძოდ:

„ქართველ ხალხის მწერლობა და განათლება მე-VI საუკუნემდე“ (გაზ., „ივერია“, 1883 წ., №09); „მშობიერი დედა-კაცისა“ (გაზ., „სასოფლო გაზეთი“, 1869 წ., №1); „დედა-კაცის აზრი დედა-კაცებზედ“ (გაზ., „დროება“, 1866 წ., №5); „საბედნიერ-დღეოდ“, „ყოველ-დღიური საჭირო ცნობები“ (გაზ., „ივერია“, 1901 წ., №282), „რძე და მისი სხვა-და-სხვა გვარად გამოყენება“ (გაზ., „მოამბე, 1895 წ., №1); „სხვა-და-სხვა ამბავი“, „ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საყურადღებოთ“, „საქველ-მოქმედო საქმე“ (გაზ., „კვალი“, 1898 წ., №26), „საზღვარ-გარეთ“, „მცირეწლოვან დამნაშავეთა თავ შესაფარი ზემო ავჭალაში“ (გაზ., „კვალი“, 1899 წ., №27); „№-თან მიწერ-მოწერიდამ“ (გაზ., „ივერია“, 1878 წ., №45), „სიღნაღიდამ“ (გაზ., „დროება“, 1871 წ., №16 „ახალი ანბავი“ (გაზ., „ცისკარი“, 1870 წ., №07); „ჩემი თავ-გადასავალი“ (გაზ., „კვალი“, 1894 წ., №22), „ასანა ლეკის თავს გადასავალი“, „კუკიის ძუჭლი და ახალი მდგომარეობა“ (გაზ., „ცისკარი“, 1871 წ., №05); „ტფილისის ქალაქის საკრედიტო გამგეობა“ (გაზ., „კვალი“, 1894 წ., №22), „ტფილისი, 22 აპრილს“ (გაზ., „დროება“, 1866 წ., №08), „ეტნოგრაფიული წერილები“ (გაზ., „დროება“, 1885 წ., №24); „ვაჭრების და იჯარადების საყურადღებოდ“, „ეტლების მიმოსვლა ტბილისსა და კავკასს შორის“ (გაზ., „დროება“, 1871 წ., №16); „ცოლ-ქმრობის წინააღმდეგ“ (გაზ., „ცნობის ფურცელი“, 1896 წ., №17); „რამდენიმე სიტყვა ხალხის აღზრდაზე და განათლებაზე“ (გაზ., „სასოფლო გაზეთი“, 1869 წ., №16); „არა ოფიციალური ნაწილი, თბილისი, ოკტომბრის 13“ (გაზ., „სასოფლო გაზეთი, 1869 წ., №19); „ფეხის სიმყრალის ექიმობა“ (გაზ., „სასოფლო გაზეთი“, 1869 წ., №10), „დაობებული პურის ვნება“ (გაზ., „სოფლის გაზეთი, 1969 წ., №08)...

ამრიგად, მე-19 საუკუნის პუბლიცისტური ტექსტების სათაურები გადმოიცემა მარტივი გაუვრცობელი და გავრცობილი სახელდებითი წინადადებებით, არ გვხვდება პრედიკატიანი და რთულწინადადებიანი სათაურები. მოდალობის მიხედვით, ძირითადად, თხრობითკილოიანი სათაურებია, რომლის მიზეზადაც დავასახელებთ დამსათაურებლის მხრიდან რეალობის ობიექტურად გამოხატვა,

ხშირია სუბსტანტიურ და ატრიბუტულ მსაზღვრელსაზღვრულიანი სათაურები, რომლებიც ამ პერიოდის პრესის მახასიათებლად კი შეიძლება ჩაითვალოს.

ის, რომ მე-19 საუკუნის პუბლიცისტურ ტექსტებში მხოლოდ მარტივი სახელდებითი წინადადებით გადმოცემული სათაურები გვხვდება, ვფიქრობთ, ამის მიზეზი უნდა იყოს:

- მედიისათვის გაწერილი წესები, რომელსაც იმ პერიოდისათვის ერთსულოვნად იცავდნენ, ამას ჩვენი ემპირიული მასალაც ადასტურებს;
- ჟურნალისტთა პასუხისმგებლიანობა და პროფესიონალიზი, სათაურებიდანაც ჩანს და იგრძნობა მათი მხრიდან ობიექტური დამოკიდებულება და ფიქრის შედეგად სათაურის შერჩევა;
- ენობრივი კანონზომიერება. ზოგადად, რთული წინადადება შედარებით გვიანდელ ენობრივ მოვლენადაა მიჩნეული, შესაბამისად ამ პერიოდისათვის უფრო მარტივი წინადადების გამოყენება იყო მიზანშეწონილი, ადვილად მისახვედრი. დამსათაურებელს თავისი მკითხველი მიჩვეული ჰყავდა მსგავს სათაურებზე, შესაბამისად, ისინი ამგვარად გადმოცემულ სათაურებს ადვილად იმახსოვრებდნენ და აღიქვამდნენ.

კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ რამდენიმე გაზეთში გამოყენებულია, ეგრეთ წოდებული, „ნულოვანი სათაურები“, რომლებსაც ჩვენ პირობითად ვუწოდებთ მარკირებული სათაურები, რომლებიც სამი განსხვავებული ნიშნით („პლიუსი +“, „მოკლე ხაზი ----“, „სამი ფიფქი“) გვხვდება.

მე-19 საუკუნის ქართულენოვან პრესაში სათაურს ახასიათებს:

- ❖ **ინფორმაციულობა** (სათაურში მოკლედ და ოსტატურადაა ჩადებული ის ინფორმაცია, რომლის შესახებაც ტექსტში იქნება საუბარი);
- ❖ **ლაკონიურობა** (ყველა სათაური მოკლე, სხარტი, მარტივი წინადადებითაა გადმოცემული და ადვილია აღსაქმელად);
- ❖ **ტექსტთან ბმულობა** (სათაურით გადმოცემული ინფორმაცია პირდაპირკავშირშია მისივე ტექსტთან და მასთან მიყვანის გზას წარმოადგენს).

მე-19 საუკუნის ქართულენოვან პრესაში სათაურს არ ახასიათებს:

- ❖ მეტაფორულობა;
- ❖ ალუზიურობა;
- ❖ იმპლიციტურობა;
- ❖ ორაზროვნება;
- ❖ სკანდალურობა.

რაც შეეხება სათაურთა სტრუქტურას, გვხვდებოდა მარტივწინადადებიანი სახელდებითი (გავრცობილი ან გაუვრცობელი) კონსტრუქციით.

3. 3. პუბლიცისტური ტექსტის სათაურთა სტრუქტურა XX საუკუნის ქართულენოვან პრესაში

მე-20 საუკუნეში (ისევე, როგორც მე-19-ში), სათაურის მნიშვნელოვანი ფუნქცია იყო ადრესატებისთვის ინფორმაციის მიწოდება, რომელიც ხდებოდა ერთსიტყვიანი სახელდებითი გაუვრცობელი სათაურით, გარემოებით, განსაზღვრებითა და განსხვავებით მე-19 საუკუნისა, ზმნითა და კითხვითი სიტყვებით.

„სასამართლო“;

„დაპატიმრება“;

„შემოწირულობა“;

„ექსკურსია“;

„შეპყრობა“;

„უპასპორტობა“ (გაზ., „მომავალი“, 1909 წ., №30, №32, №33, №34, №56, №57);

„ავიაცია“;

„პალესტინაში“;

„სინათლე“;

„რუსეთი“ (გაზ., „ეკალი“, 1908 წ., №10, №11, №12, №14, №15);

„წკიპურტები“;

„უცხოეთი“;

„სასწავლებლებში“;

„სასამართლო“ (გაზ., „სახალხო გაზეთი“, 1913 წ., №150);

„მუსიკა“;

„პასუხად“ (გაზ., „თემი“, 1913 წ., №I-XII);

„საგულისხმოდ“;

„ჯარიმა“ (გაზ., „მეგობარი“, 1906 წ., №4, №42, №47);

„პარტიაში“ (გაზ., „ტრიბუნა“, 1922 წ., №333, №352, №354)...

„ყიდულობს“ (გაზ., ლომისი, 1922 წ., IX-XII №1, №3, №4, №5, №8, №11, №13, №17);

„რისთვის?“ (გაზ., „თემი“, 1914 წ., №157, №158, №159, №160, №161, №161, №163, №165)...

აღსანიშნავია ის, რომ თუ მანამდე სათაურის მთავარი ფუნქცია ინფორმაციულობა იყო, მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის ის ახალ ფუნქციასაც იძენს, ესაა დაინტერესება, ყურადღების მიქცევა/გამახვილება, რაც გრაფიკული ხერხის გამოყენებით მოხდა, მაგალითად, წინადადებაში ერთი საკვანძო სიტყვა დიდი შრიფტით იყო დაწერილი, რომ მკვეთრი ყოფილიყო და მკითხველს თვალში მარტივად მოხვედროდა: *„ყველაფერი, რაც საჭიროა სასოფლო მეურნეობისათვის, მოიპოვება მაღაზიაში №2“* (დიდი ასოებით წერია სიტყვა „ყველაფერი“) (გაზ., „მომავალი“, 1909 წ., №30); *„საჭიროა წინდების მქსოველი ქალი“* (სიტყვა „საჭიროა“ დიდი ასო-ბგერებით წერია) (გაზ., „თემი“ 1913წ., I-XII); *კვერცხის სხვადასხვა საღებავი და ლაქი* (აქ ორი სიტყვაა დიდი შრიფტით წარმოდგენილი) (გაზ., „თემი“, 1913 წ., №I-XII); *1913 წლის 20 ნოემბრიდან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ გახსნა საკუთარი ახალი სტამბა* (გაზ., „თემი“, 1914 წ., №157, 158, 159, 160, 161, 162, 163, 165); *6 იანვარს სათავად-აზნაურო ბალის გამო, რომელიც გამართული იქნება ახალი კლუბის და თეატრის დარბაზებში, ახალი კლუბი დაკეტილი იქნება* (გაზ., „თემი“, 1914 წ., №157, 158, 159, 160, 161, 162, 163, 165); *ამიერ-კავკასიის ს. საბჭოს საფინანსო კომისარიატის რწმუნებული საქართველოში* (გაზ., „ტრიბუნა“, 1922 წ., №333, 352, 354).... ასე რომ, თანამედროვეობისაგან განსხვავებით, მკითხველის ყურადღების მიქცევა არა

ორაზროვანი თუ სკანდალური სათაურებით ხდებოდა, არამედ გრაფიკული ხერხით და გამოიკვეთებოდა სწორედ ის სიტყვები, რომელზედაც მოდიოდა ლოგიკური მახვილი.

3.3.1. პრედიკატიანი სათაურები XX საუკუნის ქართულენოვან პრესაში

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან პუბლიცისტური ტექსტების დასათაურებისას იყენებდნენ პრედიკატივით გამოხატულ სათაურებსაც, რაც მე-19 საუკუნეში არ შეიმჩნეოდა. მაგალითად, *„გათამაშება მოხდება ქ. ტფილისში ამა წლის დეკემბრის 10-ს“*; ამ შემთხვევაში *„გათამაშდება“* ზმნის ნაცვლად გვაქვს ვნებითის აღწერითი ფორმა, რომელიც ქართული ენისათვის მიუღებელია.

მე-19 საუკუნის პუბლიცისტურ სათაურეში პრედიკატი არ გვხვდება, მეოცეში - კი, თუმცა ნაკლები სიხშირით. პრედიკატი თავს იჩენს მარტივ წინადადებათა სათაურებში:

„სულ მოგებათა დასაფარავად გადადებულია 1.200.000.000 მანეთი ბილეთი ღირს მხოლოდ 100.000 კუპონი“;

„მუშათა რაიონებისთვის საქონლის მისაწოდებლად მოკლე ხანში გაიხსნება ფართლელულობის მაღაზია №4“;

„საქართველოს თამბაქო ტრესტი ვურჩევთ ყველას შეიძინოს მისი ნაწარმოებნი“;

„საქონლის ფასები ყველა მაღაზიაში ზომიერია“;

„რეაქციონერ მუშტეიდს ცუდი დღე დააყენეს“;

„შაჰი გულს არ იტებს“;

„საჭიროა ყურადღება მიექცეს“ (გაზ., „კომუნისტი“, 1922, №181);

„იქ სადაც მეფობს დემოკრატია“ (გაზ., „კომუნისტი“, 1922, №200);

„სპარსეთ - ოსმალეთის დავა საზღვრებზე კვლავ მწვავედება“;

„ბოსნიაში საომრად ემზადებიან“;

„ოსმალეთში კონტრ-რევოლუცია იწყება“;

„ვიოლენჩელისტი ილიკო აბაშიძე გამართავს კონცერტს“;

„მივიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი ქვირითის ხიზილალა“;

„უკვე დაიწყო მოქმედება ტყავულობის სავაჭრო სამრეწველო ამხანაგობა „ნდობამ“;

„1913 წლის 20 ნოემბრიდან ქართველთა შორის წერა - კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ გახსნა საკუთარი ახალი სტამბა“;

„მართალი უნდა ვსთქვათ“;

„ქართველი ლტოლვილები საქართველოში ვბრუნდებით“ (გაზ., „ქართული საქმე“, 1947, №10);

„მედიკოსები მეზრძოლთა გვერდით არიან“ (გაზ., „ჰოროლი“, 1992, №1);

„სანამ მოლაპარაკება ძალაშია“ (გაზ., „ჰოროლი“, 1992, №1);

„მადლობას ვუცხადებ სობუმის ყველა დამცველს“ (გაზ., „ჯიხა“, 1993, №8);

„მომხდურები გავსრისეთ“ (გაზ., „ჯიხა“, 1993, №8);

„ჩვენს სიმდიდრეს ჩვენვე ვუპატრონოთ“;

„მივხედოთ სახალხო საქმეს“;

„მივხედოთ ჩვენს მოძმეებს“;

„ვიზრუნოთ ჩვენი გაჭირვებულ მოღვაწეებისათვის“;

„დროა ეს მოვალეობა აღვასრულოთ“;

„მამულს ვიცავთ“ (გაზ., „ჯიხა“, 1993, №8);

„მე მისი მჯერა“ (გაზ., „ჯიხა“, 1993, №9);

„ხელს ითხოვენ ძმათამკვლელ ომში“ (გაზ., „ჯიხა“, 1993, №9);

„უშიშრად იბრძოდნენ“ (გაზ., „ჯიხა“, 1993, №9);

„ჩვენი პოზიციები შეუვალია“ (გაზ., „ჯიხა“, 1993, №9);

„პოზიციები აღვადგინეთ“ (გაზ., „ჯიხა“, 1993, №10);

„საბრძოლო მწყობრშია საქართველო“ (გაზ., „ჯიხა“, 1993, №12);

„მხედრიონელებს „დროებით ითხოვენ“ (გაზ., „ჯიხა“, 1993, №12);

„გვადულაბებს სიყვარული“;

„როგორ გააქრეს ცხოველმყოფელი ძალა“ (გაზ., „ჯიხა“, 1993, №12)...

ზოგჯერ სათაურს განცხადების შინაარსი აქვს:

„კვირას, 22 ოქტომბერს, დიდუბეში იპოდრომზე გაიმართება დიდი მარულა“;

„9 ენკენისტვიდან დასახელებული მატარებლები ივლიან მხოლოდ თბილისსა და ხაშურ შუა“...

მაგალითებიდან ჩანს, რომ პრედიკატიტ გამოხატული სათაურების გავრცელება დაიწყო მარტივი წინადადებით, მე-20 საუკუნის დასაწყისში ნაკლებად გვხვდება პრედიკატიანი სათაურები, ხოლო მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან იზრდება მათი რიცხვი. ვფიქრობთ, ეს არის გარდამავალი პერიოდი, დასათაურებაში შედის ცვლილებები, სახელდებითი წინადადებიდან პრედიკატიანი მარტივი წინადადებისკენ. 21-ე საუკუნის დასაწყისიდანვე კი სათაურის შემასმენლით გადმოცემა ერთ-ერთი მახასიათებელია. რადგანაც პრედიკატიანი სათაურების საწყისი მარტივი წინადადებაა, ამიტომ ამ პერიოდისათვის მხოლოდ რამდენიმე პრედიკატიანი სათაური გვხვდება რთული წინადადებით *გადმოცემული*. მაგალითად:

„თემის“ რედაქციის კონტორა სთხოვს იმ აგენტებს, რომელთაც ს. აბაშელის ლექსთა კრებული „მზის სიცილი“ აქვს საკომისიოდ წაღებული - მოკლე ხანაში გაასწორონ ანგარიში. ფული უნდა გამოგზავნოს თემის რედაქციის სახელზე“;
„სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო აცხადებს, რომ მიმდინარე წლის დეკემბრის 29 განზრახული მორიგი წლიური კონფერენცია გადაიდო“;
„დიდი ლატარიის მომწყობი კომისია აცხადებს საზოგადოების და პროვინციის ლატარიის ქვე-კომისიების საყურადღებოთ, რომ ლატარიის გათამაშება გადადებულია 1923 წ. თებერვლის 20-ისათვის“...

მე-20 საუკუნეში საფუძველი ეყრება ახალი ტიპის - განუსაზღვრელპირიანი წინადადებით გამოხატულ სათაურებს.

3.3.2. უსრულ წინადადებათა სახეობები პუბლიცისტური ტექსტის სათაურებში

უსრულ წინადადებათა სათაურები მკითხველის დაინტერესების მიზნითაა მოფიქრებული. როცა სათაურში არ ჩანს ესა თუ ის მოვლენა, მოქმედება ვის მიერაა განხორციელებული, ის ერთგვარ დაინტერესებას იწვევს, ტექსტის წაკითხვის სურვილს აჩენს, მაგალითად:

„მივიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი ქვირითის ხიზილალა“; *„როგორ მოჰკლეს ზელიმ-ხანი“;* *„რატომ გაურბიან საქმის ერთად გამოძიებას?; „ბოსნიაში*

საუბრათ ემზადებიან“; „გემოვი გადააყენეს“; „როგორ ვუწამლოთ“; „მართალი უნდა ვსთქვათ“; „მივხედოთ სახალხო საქმეს“; „მივხედოთ ჩვენს მოძმეებს“; „ვიზრუნოთ ჩვენი გაჭირვებული მოღვაწეებისათვის“; „დროა ეს მოვალეობა აღვასრულოთ“; „როგორ გააქრეს ცხოველმყოფელი ძალა“; „საფარად გამოიყვანეს“ (გაზ., „ჯიხა“, 1993, №10); „სამშობლოსათვის დაილუპნენ“ (გაზ., „ჯიხა“, 1993, №11); „ეხმარებიან ფრონტს“ (გაზ., „ჯიხა“, 1993, №13); „საქართველო გეძახის“ (გაზ., „ჯიხა“, 1993, №13); „სამოთხეს გაექცნენ“ (გაზ., „ქართული აზრი“, 1964, №64);...

ზემოდასახელებულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მსგავსი სათაურები ნამდვილად გამოიწვევდა მკითხველთა დაინტერესებას, თუმცა ისინი არ ჩაითვლება მე-20 საუკუნისთვის დამახასიათებლად, რადგან ნაკლებად გვხვდება. თუმცა, კარგი იქნებოდა, თუ დამსათაურებელი მკითხველთა დაინტერესების მიზნით ასეთ ხერხს მიმართავდა, და არა ორაზროვანი, ბუნდოვანი შინაარსის, ხელოვნურად შეთხზულ სათაურებს.

3.3.3. ნომინატიურ წინადადებათა სემანტიკური სახეობები პუბლიცისტური ტექსტის სათაურებში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელდებითი ანუ ნომინატიური წინადადება არის უშემასმენლო, რომლის მთავარი წევრი (ქვემდებარე) გადმოცემულია სახელობით ბრუნვაში მდგარი არსებითი სახელით ან სახელზმნით.

მე-19, მე-20 საუკუნეების პუბლიცისტისთვის ხშირია ნომინატიური წინადადებით გადმოცემული სათაურები, ძირითადად გავრცობილი ფორმით და შეიძლება ვთქვათ, რომ ამ პერიოდისათვის მოვლენების, მოქმედების, სახელდებითი წინადადებით გადმოცემული სათაურები ერთ-ერთი მახასიათებელიცაა. მაგალითად:

„დროშა რელსებზე“; „ტრამვაის საქმეები“; „თფილისი, 3 ოქტომბერი“; „სპარსეთის დროებით მმართველი“; „არჩევნები სატახტო ქალაქში“; „პეტიცია ფერერის შესახებ“; „ჩერჩილის აზრი ინგლისის ბიუჯეტზე“; „მასალები

საქართველოს ისტორიისთვის“; „გოლოს კავკაზას“ რედაქტორის საქმე“; „მხიარული ქვრივი“; „უქმე დღეების შემცირება“; „არალეგალური წიგნების საწყობი“; „ჭეშმ. რუსთა კავშირის „დანიოსი“; „ახალ-გაზდა მოგზაურები“; „გერმანია-ინგლისის დამოკიდებულება“; „ეპისკოპოსების წინააღმდეგ“; „სოციალისტების მიტინგი“; „უცხოელები შვეიცარიაში“; „ლენჩის პარტიიდან გარიცხვა“; „საქართველო 18 საუკუნეში“; „ხვედრ მოგების მიღება 48 საათში“; „ქართველი მწერლების მორიგი კონფერენციისათვის“; „პოეტ ნოე ჩხიკვაძის წიგნი“; „არტისტების გადასახლება“; „არტურ ლეისტის იუბილეს“; „საქართველოს დამშეულთა სასარგებლოთ“; „კარგი ევროპელი“; „ფრიდრიჰ ნიცშეს საღამო“; „ს.ს.ს.რ სახელმწიფო ღვინის, სპირტის და კონიაკის ტესტი“; „ამიერ - კავკასიის ს. საბჭოს საფინანსო კომისარიატის რწმუნებული“; „ბრიუსელიდან საქართველომდე“; „ქართული დრამის სეზონისათვის“; „გმირი-პროტესტანტი“; „სიტყვის დაპყრობა“; „რიტმა 1927 წელში“; „მეცხვარეთა მხანაგობა „მწყემსი“-ს გამგეობა“; „იაფ ფასიანი წარმოდგენები მუშებისათვის“ (გაზ., „ლომისი“, 1923 წ., №18, №19, №20, №22, №28); „სახელმწიფო ოპერის უმაღლესი სასწავლებელი“; „განათლების მუშაკთა სახლში“; „შალვა დადიანის სიტყვა“; „სტუდიის გამოფენა“; „შარშანდელი სეზონი“; „ბაქოს ქალაქის სადგური“; „ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველო“; „ფიროსმანის უკანასკნელი დღე“; „ფიროსმანი სარდაფებში“; „ქართული დრამის სეზონი“; „ალექსანდრე სუმბათაშვილი“; „დოკუმენტები და მოგონებები“ (გაზ., „ტრიბუნა“, 1922წ., №333, №352, №354); „ხელოვნების მთავარი შტაბი“; „ქართულ თეატრისთვის“; „ახალი მწერლობის კავშირის მორიგი ესთეტიკური საღამო“; „დოლი და საჯირითო შეჯიბრებანი“; „ოსმალეთის რევოლუციის წინააღმდეგ“; „მეერთამეობასთან ბრძოლა“; „საზამთრო სასახლის გამარცვა პეტერბურგში“; „ამიერ კავკასიის რკინის გზის ბუფეტების მოსამსახურეები“ (გაზ., „ბახტრიონი“, 1922 წ., №8, №9, №11, №19); „სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა ტფ. კომიტეტში“; „საბუნებისმეტყველო საგნების მნიშვნელობა საშუალო სასწავლებლისათვის“; „უნივერსიტეტის რევიზია“; „სიკვდილით დასჯა“; „მოუსავლობა ციმბირში“; „პირველ დუმის ყოფილ თავმჯდომარის მურომცევის პირველი ლექცია“; „მაკედონიის ერთა ურთიერთობა

როგორც საფრთხე ოსმალეთის რევოლუციის“; „ქუთაისში საბუხჰალტერო კურსები“; „სამწუხარო მეფენი“; „პასხალიდის აბრეშუმის თესლი“ (გაზ., „ხომლი“, 1908 წ., №8)...

გვხდება ამა თუ იმ მოვლენის აღმნიშვნელი ნომინატიური კონსტრუქციებიც: „რუსის ჯარის ერთი ნაწილის გამოყვანა სპარსეთიდან“; „საქართველოს ეგზარხოსის მოკვლის საქმე“; „საქართველოს საეგზარხოსოს გაუქმება“; „ოსმალეთის პარლამენტის გახსნა“; სტიქიური უბედურება გურიაში“; „დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვა“; „საქართველოს სიძველეთა დაბრუნება საბჭოთა რუსეთიდან“; „არქეოლოგიური მოგზაურობა ძირულისა და ყვირილის ხეობაში“; „ცეცხლი მონასტერში“; „რევოლუცია ოსმალეთში“; „ტფილისი, 19 სექტემბერი“; „საქართველოს მუზეუმი 1922 წ.“; „არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალება“...

იშვიათია მოქმედების დასახელების აღმნიშვნელი სიტუაციის გამომხატველი ნომინატიური კონსტრუქციები: „ტუსაღის გაქცევა“, „ბაქოდან ჩქარი მატარებლის №2 გამოსვლების დღეების შეცვლა“...

რეალობის (ფიზიკური და მენტალური) ობიექტების მახასიათებელი ნომინატიური კონსტრუქციები: „დედაენის მნიშვნელობა სახალხო სკოლაში“; „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ლიტერატურული ხუთშაბათები“...

აქვე გამოვყოფთ და' კავშირით შეერთებულ ერთგვარწევრებიან ნომინატიური კონსტრუქციის სათაურებს, რომლებიც მე-19 საუკუნეში იშვიათობა იყო, ხოლო მე-20 საუკუნის პუბლიცისტიკაში ფეხი მოიკიდა და დამახასიათებელიც გახდა. ესენია: „თეატრი და ხელოვნება“ (გაზ., „ტრიბუნა“, 1922 წ., №333-352-354); „რელიგია და კომუნიზმი“ (გაზ., „ლომისი“, 1922 წ., IX-XII №1,3,4,5,8,11,13,17); „ებრაელები და უნივერსიტეტი“ (გაზ., „ტრიბუნა“, 1922 წ., №333-352-354); „გერმანია და ანტანტა“ (გაზ., „ტრიბუნა“, 1922 წ., №333-352-354); „ცხოვრება და იმედები“ (გაზ., „ტრიბუნა“, 1922 წ., №333-352-354); „ხილისა და ბოსტნეულის გამოფენა-ბაზარი“ (გაზ., „ტრიბუნა“, 1922 წ., №333-352-354); „ინდივიდუალური და სოციალური ელემენტები პედაგოგიკაში“ (გაზ., „ტრიბუნა“, 1922 წ., №333-352-354); „საზოგადოებანი და კრებები“ (გაზ., „ტრიბუნა“, 1922 წ., №333-352-354); „ეროვნული საკითხი და რევოლუცია“ (გაზ., „ტრიბუნა“, 1922 წ., №333-352-354); „ბალკანეთი და ევროპა“ (გაზ., „თემი“, 1914 წ., №157,158,159,160,161,161,163,165); „სოფელი და ინტელიგენცია“

(გაზ., „თემი“, 1914 წ., #157,158,159,160,161,161, 163, 165); „ჭრა-კერვისა და ხელსაქმის სკოლა“ (გაზ., „თემი“, 1914 წ., №157,158,159,160,161,161, 163, 165); „ცოცხალი და ხელოვნური ყვავილები“, ამ შემთხვევაში და კავშირით შეერთებულია ზედსართავი სახელები (გაზ., „თემი“, 1913 წ., I-XII); „ქართული საქმე და ემიგრაცია“ (გაზ., „ქართული საქმე“, 1946, №2); „იქაური და აქაური“ (გაზ., „ქართული აზრი“, 1964, №62-63)...

მე-20 საუკუნის მედიისთვის დამახასიათებელი და თვალშისაცემია **შესახებ**, **მიმართ**, **შორის** და **გამო** ცალკე მდგომი თანდებულიანი სათაურები. მათ, სიხშირის გამო, გვერდი ვერ ავუარეთ. მაგ.: „ქართველ საზოგადოების მიმართ“ (გაზ., „თემი“, 1913 წ., I-XII); „დიდი საქმის მიმართ“ (გაზ., „თემი“, 1913 წ., I-XII); „ეროვნის შემოღების შესახებ“ (გაზ., „თემი“, 1913 წ., I-XII); „ერთი შეხედულების გამო“ (გაზ., „თემი“, 1913 წ., I-XII); „კიდევ ათონის მთის შესახებ“ (გაზ., „თემი“, 1913 წ., I-XII); „სასოფლო გაზეთის“ გამოცემის გამო“ (გაზ., „თემი“, 1913 წ., I-XII); „მზრუნველისადმი მეფის მოადგილის წერილის გამო“ (გაზ., „თემი“, 1913 წ., I-XII); „ბ. რუ--ილის წერილის გამო“ (გაზ., „თემი“, 1913 წ., I-XII); „თავად-აზნაურთა უკანასკნელ კრების გამო“ (გაზ., „თემი“, 1913 წ., I-XII); „არტელ „ვარიაგის“ საქმეების გამო“ (გაზ., „თემი“, 1913 წ., I-XII); „რუსთა შორის“ (გაზ., „თემი“, 1913 წ., I-XII); „პატარა წერილი დიდებულ მამულიშვილის შესახებ“ (გაზ., „თემი“, 1913 წ., I-XII); „ერთი საკითხის გამო“ (გაზ., „თემი“, 1914 წ., №157,158,159,160,161,161, 163, 165); „პასუხად გაზ. „სიმართლის ხმას“ და მის ფოთელ თანამშრომლებს“ წერილი რედაქციის მიმართ“; (გაზ., „თემი“, 1914 წ., №157,158,159,160,161,161,163,165); „თამარის დღესასწაულის გამო“ (გაზ., „თემი“, 1914 წ., №157,158,159,160,161,161, 163, 165); „მიწის საკუთრების შესახებ“ (გაზ., „მეგობარი“, 1906 წ., №40,42,47); „წერილი რედაქციის მიმართ“ (გაზ., „ტრიბუნა“ 1922 წ., №333-352-354); „კონფერენცია სკოლების საქმეების შესახებ“ (გაზ., „ტრიბუნა“, 1922 წ., №333-352-354); „საყურადღებო იუბილეს გამო“ (გაზ., „ეკალი“, 1908 წ., №10.11/12.14.15); „სკოლის იუბილეს გამო“ (გაზ., „ეკალი“, 1908 წ., №10.11/12.14.15); „გ. ინვალიდებისა და ობლების დაზღვევის შესახებ“ (გაზ., „მომავალი“ 1909 წ., №30,32,33,34,56,57); „მუშათა შორის“ (გაზ., „მომავალი“, 1909 წ., №30,32,33,34,56,57)...

ამრიგად, გამო, შორის, შესახებ, მიმართ თანდებულებიანი სახელდებითი სათაურები მრავლად გვხვდება მე-20 საუკუნის პუბლიცისტურ ტექსტებში, ამიტომ ამ პერიოდის მახასიათებელ სათაურებადაც შეიძლება ჩაითვალოს.

კითხვითი შინაარსის სათაურები არ იყო გავრცელებული მე-20 საუკუნის პუბლიცისტურ ტექსტებში, მაგრამ არც უჩვეულო იყო: რა დავაშავეთ?“ (გაზ., „თემი“, 1913 წ., I-XII); „სინამდვილე რას ამბობს?“ (გაზ., „თემი“, 1914 წ., №157,158,159,160,161,161, 163, 165); „სახალისო, საყასხო თუ სასაკლაო?“ (გაზ., „თემი“, 1914 წ., №157,158,159,160,161,161, 163, 165); „ვის ხელშია „სრული ძალაუფლება“ პ.ა. სტოლიპინის თუ ბერმონაზონ ილიოდორის?“ (გაზ., „ეკალი“, 1908 წ., №10,11,12,14,15); „რატომ გაურბიან საქმის ერთა გამოძიებას?“ (გაზ., „ეკალი“, 1908 წ., №10,11,12,14,15); „რას ვაპირებთ?“ (გაზ., „ეკალი“, 1908 წ., №10,11,12,14,15); „კიდევ ვისი ბრალია?“ (გაზ., „მომავალი“, 1909 წ., № 30,32,33,34,56,57); „შეგნებული თუ შეუგნებელი სიბოროტე?“ (გაზ., „ქართული აზრი“, 1964, №64); „მგელი კრავის სამოსელში?“ (გაზ., „ქართული აზრი“, 1969, №80). მე-19 საუკუნეში კი გავრცელებული იყო თხრობითწინადადებიანი სათაურები, მხოლოდ ორ შემთხვევაში გამოვლინდა: ა) კითხვითი „ვითომ მართალია?“ (გაზ., „დროება“, 1884 წ., №32) და ბ) ძახილისნიშნისანი „ნუ ახველებ!“ (გაზ., „ივერია“, 1889 წ., №73). სათაურები მარტივი წინადადებით გადმოცემული. კითხვითწინადადებიანი სათაურები ეფექტურია იმ მხრივ, რომ იწვევს მკითხველის დაინტერესებას. მე-20 საუკუნეში სათაურის ამ ფუნქციის (დაინტერესება) შეძენამ გამოიწვია მსგავსი სათაურების გაჩენა. უფრო მეტიც, მე-20 საუკუნის მიწურულს მომრავლდა ემოციის გამომხატველი, მარტივი წინადადებით გადმოცემული ძახილისნიშნისანი წინადადებები: „შეწყდეს, იარაღის ჟრარუნი!“ „უკვდავყოთ გმირები!“; „მუხლს გიყრის დღეს სამშობლო შენ!“ (გაზ., „ჯიხა“, 1993, №11);

„საქართველოს ერთიანი მიწა-წყლისთვის მებრძოლნო!“ (გაზ., „ჰოროლი“, 1992, №1);

„ქრისტესმიერ საყვარელო ძმებო და შვილებო, მშვიდობა თქვენდა!“ (გაზ., „ჯიხა“, 1993, №8);

„გავდონიერდეთ, გავჯანსაღდეთ, გავმაგრდეთ!“ (გაზ., „ლელო“, 1985, №7);

„შეჩერდით, კმარა, გეყოფათ!“ (გაზ., „ჯიხა“, 1993, №11)...

აღნიშნულ პერიოდში (მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან) თითო-ორიოლა გვხვდება დაუსრულებლობის ეფექტის მქონე მარტივი წინადადებები, რომლებშიც ემოციის გამომხატველი ნიშანი სამი წერტილია:

„მე ხომ დედა ვარ...“ (გაზ., „ჰოროლი“, 1992, №1);

„უკვე დროა...“ (გაზ., „ჯიხა“, 1993, №8);

„ფრონტზე წავედით...“ (გაზ., „ჯიხა“, 1993, №11);

„წვეთი მადლისა...“ (გაზ., „ჯიხა“, 1993, №12);

„არა მკითხე მოამბენი“... (გაზ., „ქართული აზრი“, 1964, №62-63);

„რუსებმა ტანკების შენარჩუნება ისწავლეს, ქართველებმა კი...“ (გაზ., „კვირის პალიტრა“, 2000, №37);

„ჩვენ რომ იარაღი გვექონოდა...“

„მარტო თოვლი რას უშველის...“ (გაზ., „ლელო“, 1985, №7)...

ფიქრობთ, ამგვარი სათაურების გავრცელების მიზეზი ექსტრალინგვისტური ფაქტორია-ქვეყანაში შექმნილი მდგომრეობა, 90-იანი წლების მიწურულს სეპარატისტების მიერ წამოწყებული სამოქალაქო ომი. არსებული ფონი, ბუნებრივია, აისახა პუბლიცისტურ ტექსტებსა და რა თქმა უნდა, მის სათაურებშიც, რომელმაც შეიძინა ემოციური დატვირთვა, ეს კი გამოისახა ძახილის წინადადებით, რომელსაც სხვაგვარად „ემოციურ წინადადებასაც“ ეძახიან (კვაჭაძე, 2010: 56; ფეიქრიშვილი, 1996:52).

აქვე შეიძლება გამოვყოთ პიროვნების სახელდებით გადმოცემული ნომინატიური კონსტრუქციები პუბლიცისტური ტექსტის სათაურად, რაც იშვიათობა იყო მე-19 საუკუნისათვის, რადგან ერთეულ შემთხვევაში ფიქსირდება. დღევანდელიდან განსხვავებით, ძველად გვხვდებოდა ისეთი სათაურები, რომლებიც მხოლოდ ადამიანის სახელითა და გვარით იყო დასათაურებული და სათაური იძლეოდა ინფორმაციას, თუ ვის შესახებ იქნებოდა საუბარი, მაგრამ რა

კუთხით-არა, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მას მაინც ჰყავდა თავისი მკითხველი იქიდან გამომდინარე, რომ მასმედია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო იყო სიახლის მიღებისა. ვიქრობთ, ესეც მიგვითითებს იმაზე, რომ სათაური არ ასრულებდა დამაინტრიგებელ როლს. წარმოვადგენთ სახელობით ბრუნვაში წარმოდგენილი სახელი-გვარები სათაურებად:

ნ. კ. მიხაილოვსკი“;

„ბორის ესაძე“;

„ზაქარია გულისაშვილი“;

„კარლ მარქსი“;

„ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი“;

„ილია ნაკაშიძე“;

„სიმონ გრიაზნოვი“...

ზოგჯერ ადამიანის სახელი-გვარი, გარდა სახელობითი ბრუნვისა, წარმოდგენილი იყო მიცემით ბრუნვაშიც:

„ქრისტეფორე რაჭველიშვილს“;

„ბ. გრიგოლ ბურჭულაძეს“;

„ვალერიან გუნიას“...

ბიოგრაფიული ხასიათის ნომინატიური კონსტრუქციები წარმოდგენილია *შესახებ* თანდებულთაც, რომელიც ახლავს იმ სახელს, რის შესახებაც იქნება ტექსტში საუბარი. აგრეთვე, პიროვნების სახელი-გვარით გადმოცემულ სათაურს ამხსნელად ახლავს პროფესიის აღმნიშვნელი სიტყვა, ან კიდევ სხვა დამატებითი ინფორმაცია, რომელსაც მივყავართ ტექსტამდე:

„გრიგოლ ორბელიანის ძეგლის შესახებ“;

„კიდევ ყარამან ნინეიშვილის ობლის შესახებ“;

„ილიას სოციალური შეხედულება“;

„ვ. ბურჯანაძის მოხსენების მოკლე კონსპექტი“;

„მგოსანი ვაჟა-ფშაველა ქუთაისში“;

„მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე“
„არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალება“;
„სასამართლო თავ. უჩა დადიანის საქმე“;
„უგანათლ. თავადის უჩა დადიანის საქმე“;
„გიგა ჯუღელის უკანასკნელი დღეები“;
„ს. კაკაბაძის მოხსენება“;
„ი. ისაკაძის ცხედრის დაკრძალვა რაჭაში“;
„დეპუტატ ვარლამ გელოვანის მოგზაურობა“...

ამრიგად, პიროვნების სახელდებით გადმოცემული ნომინატიური კონსტრუქციები თავს იჩენს მე-19 საუკუნის პუბლიცისტურ ტექსტებში, მაგრამ ვითარდება მე-20-ში, ხოლო თანამედროვე პრესაში აღარ გვხვდება, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ მე-20 საუკუნეშივე წყვეტს ფუნქციონირებას. საინტერესოა, თუ რატომ ვერ გავრცელდა ასეთი სათაური თანამედროვე პრესაში? ვფიქრობთ, ამის მიზეზი უნდა იყოს ფუნქციის შეცვლა, რადგან დღეს დამაინტრიგებელი და ზეგავლენის მომხდენი სათაურები „მუშაობს“, ხოლო სათაურში მხოლოდ პიროვნების სახელისა და გვარის წარმოდგენა ვერ დააინტერესებს თანამედროვე მკითხველთა უმრავლესობას, შესაბამისად, ავტორიც მიზანს ვერ მიაღწევს, მიზნის მიღწევის გზა კი მკითხველისთვის ისეთი სათაურის შექმნაა, რომელიც წაკითხვის სურვილს გაუჩენს. მე-20 საუკუნის პუბლიცისტურ ტექსტებში, ერთ შემთხვევაში, პიროვნების მახასიათებელი ნომინატიური კონსტრუქციებს ქმნის ადამიანის მხოლოდ სახელი-გვარი, ხოლო მეორე შემთხვევაში კი ის გავრცობილია პროფესიის ან სხვა დამატებითი ინფორმაციის შემცველი სიტყვები, რომლებიც ტექსტთან მიყვანის საშუალებას იძლევა.

3.3.4. მსაზღვრელ-საზღვრულიანი სათაურები XX საუკუნის ქართულენოვან პრესაში

საბჭოთა პერიოდის მედიისათვის ძირითადად დამახასიათებელია მსაზღვრელ-საზღვრულიანი სათაურები, იქნება ეს მართული თუ შეთანხმებული.

მაგალითად, მართული მსაზღვრელ-საზღვრულით გადმოცემული სათაურებია:

„ალბანიის მდგომარეობა“;

„მღვდლის დასჯა“;

„ტუსალის გაქცევა“;

„რეველის კონცეფცია“;

„ტრალედის გმირი“;

„პიკის ქალი“;

„სიტყვის დაპყრობა“;

„სპარსეთის ამბები“;

„სტუდენტების ცემა“;

„ბროლის ღიმილი“;

„ბალის გაუქმება“;

„პროვინციის ცხოვრება“;

„შეცდომის გასწორება“;

„კალბასის სავაჭრო“;

„პატრულების გაძლიერება“;

„ადგილების გამოსყიდვა“;

„ქალაქის მასწავლებელი“;

„ანარქიის“ წევრები;

„ბათუმის შუამდგომლობანი“;

„სტამბის დახურვა“;

„უფლების მადა“;

„პ. გელაშვილის ლექცია“;

„გორის ამბები“;

„კაპიტალიზმის სამეფოებში“;

„ქალების კრება(გაზ., „კომუნისტი“, 1922, №181)...

მსაზღვრელ-საზღვრულიანი ლაკონიური სათაურები თავის ფუნქციას ზედმიწევნით ასრულებდა, მას მკითხველი ტექსტამდე მიჰყავდა. ის არც პოლიტიკურია და არც ნეიტრალური. ამგვარი სათაურები გავრცელებული და დამახასიათებელი იყო მე-19 საუკუნეშიც და მრავლად გვხვდება მე-20 საუკუნის მედიაში, ესეც მიგვანიშნებს იმაზე, რომ სათაურის დანიშნულება ინფორმაციულობა, ტექსტთან მიყვანა და დაინტერესება იყო.

ამავე სიხშირით გვხვდება ატრიბუტულ მსაზღვრელ-საზღვრულიანი სათაურებიც: „უკანასკნელი ფოსტა“; „ახალი პროვოკატორი“; „უმოტორო ჰაეროპლანი“; „სახალხო სახლი“; „მიმავალ წელიწადს“; „ქართული გულგრილობა“; „სახალხო სახლი“; „უქრისტიანესი თეატრი“; „მარშანდელი სეზონი“; „დრამატიული სტუდია“; „მაგარი შემოქმედება“; „ახალი ამბავი“; „მოწერილი ამბები“; „ეკონომიური ცხოვრება“; „იოლი საქმე“; „ახალი დროება“; „საკვირველი თანხმობა“; „სავალალო გარემოება“; „უკვდავ ხელოვანს“; „ჩვენი ამბავი“; „ჩემი თავ-გადასავალი“; „ჟინიანი მოკამათე“; „ორი ფანჯარა“; „ქართული გული“ (გაზ., „ჯიხა“, 1993, №11); „ეროვნული პოლიტიკა“ (გაზ., „ქართული საქმე“, 1946, №2); „ქართული სიტყვა“; „ქართული მითოსი“ (გაზ., „ქართული საქმე“, 1947, №10); „არა ნორმალური ცხოვრება“ (გაზ., „კომუნისტი“, 1922, №200); „პარტიული ცხოვრება“ , „კარგი დასაწყისი“ (გაზ., „კომუნისტი“, 1922, №196)...

ამგვარი სათაურები დღესაც გვხვდება, პირდაპირი და ინვერსიული წყობით, მაგრამ ნაკლებად: „თურქული ყულფი“ (გაზ., „ასავალ დასავალი“, №2, 14-20 იანვარი, 2019 წ.); „გირჩი ბედნიერი“ (გაზ., „ასავალ დასავალი“, №1, 31 დეკემბერი-13 იანვარი, 2019 წ.)... ვფიქრობთ, ამის ერთ-ერთი მიზეზი უნდა იყოს მარტივწინადადებიანი აგებულებიდან რთულზე გადასვლა და ამავე დროს ზემოქმედების ფუნქციის წინა

პლანზე წამოწევა. ხშირ შემთხვევაში, მსგავსი სათაურებით ადრესანტი ვერ დააინტერესებს მკითხველს.

მე-19, მე-20 საუკუნის ქართულენოვან პრესაში გამოვლინდა დასათაურების მსგავსი კონსტრუქციები, მაგალითად: სახელდებითი, ატრიბუტულ და სუბსტანტიურ მსაზღვრელ-საზღვრულიანი სათაურები, შეიმჩნევა ისიც, რომ არის სათაურთა კატეგორიები, რომლებიც მხოლოდ მე-19 საუკუნისთვისაა დამახასიათებელი: ე.წ. მარკირებული და შაბლონური (სხადასხვა ნომერში მსგავსი) სათაურები. მე-20 საუკუნისთვის კი პრედიკატიანი, პიროვნების მახასიათებელი, გამო', შორის', შესახებ', მიმართ' თანდებულიანი, კითხვითწინადადებიანი, მარტივ და რთულწინადადებიანი სათაურები იწყებს ფუნქციონირებას.

დამუშავებულ ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ორ სხვადასხვა ეპოქაში პუბლიცისტურ ტექსტთა სათაურების სინტაქსური მოდიფიკაციის კუთხით ბევრი საერთო ნიშანია, მაგრამ, რა თქმა უნდა, არის განსხვავებანიც.

მე-20 საუკუნის ქართულენოვან პრესაში სათაურს ახასიათებს:

- ა) ინფორმაციულობა;
- ბ) ლაკონიურობა;
- გ) ტექსტთან ბმულობა;
- დ) ინტერესის აღძვრა.

მე-20 საუკუნის ქართულენოვან პრესაში სათაურს არ ახასიათებს:

- ა) მეტაფორულობა;
- ბ) შეფარვითობა;
- გ) ბუნდოვნება;
- დ) ეპატაჟურობა.

რაც შეეხება სათაურთა სტრუქტურას, ძირითადად გვხვდებოდა მარტივწინადადებიანი სახელდებითი კონსტრუქციები და გავრცელებას იწყებს შერწყმულ და რთულწინადადებიანი სათაურები, რომელიც სრულყოფილ სახეს იღებს თანამედროვე ქართულენოვან პრესაში.

3. 4. პუბლიცისტური ტექსტის სათაურთა სტრუქტურა თანამედროვე პერიოდის ქართულენოვან პრესაში

მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან, მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე სათაურთა მოდიფიცირება, ვფიქრობთ, ნელი ტემპით მიმდინარეობდა, რადგან აღნიშნულ საუკუნეებში თითქმის მსგავსი სინტაქსური სტრუქტურის სათაურები ფიქსირდება, ხოლო თანამედროვე ქართულენოვან პრესაში ცხადად შესამჩნევია, როგორც სტრუქტურული, ასევე ფუნქციური ცვლილება. მარტივი სტრუქტურა რთულით, უფრო მეტიც, ზერთულით შეიცვალა და ის, რაც იშვიათი იყო მე-19, მე-20 საუკუნეებში, მკვეთრად მოიკიდა ფეხი თანამედროვე პერიოდში, ან პირიქით, რაც ხშირი იყო, ისინი დღეს იშვიათობად იქცა. ამ პერიოდში გვხვდება სათაურები, რომლებიც წარმოუდგენელი იყო გასული საუკუნეების პუბლიცისტურ ტექსტებში. ასეთებია: უცენზურო სათაურები, რეზიუმე-სათაურები, ალუზიური სათაურები და ა.შ. ამგვარ ცვლილებებს, ბუნებრივია, მოეპოვება ახსნაც.

თანამედროვე ქართულენოვან პრესაში არა მარტო სტრუქტურული ცვლილება მოხდა, არამედ ფუნქციურიც. სათაურის არსებულ ფუნქციებს (ინფორმაციულობა, დაინტერესება, ტექსტთან ბმულობა და ა.შ) დაემატა რეკლამის, ზემოქმედების მოხდენისა და დამაინტრიგებლის ფუნქცია, რომელსაც ეპატაჟური სათაურები ასრულებენ.

თანამედროვე მედიაში სათაურთა განსხვავებული ტიპები დასტურდება: დაუსრულებელი, მრავალწერტილიანი სათაურები, რომლებშიც რამდენიმე მიმართულება გამოიკვეთა. ერთ შემთხვევაში, მრავალწერტილი ემოციის წარმოსაჩენად გამოიყენება, ხოლო მეორე შემთხვევაში კი - მკითხველის დაინტერესების მიზნით. დამსათაურებელი არ ასრულებს წინადადებას, ან სიტყვას,

იმის გამო, რომ მკითხველის ყურადღება მიიქცის და ტექსტი წაკითხოს. მრავალწერტილს იყენებენ დაუსრულებელი აზრის დროსაც, მაგრამ ამ მხრივ ახალი ტენდენცია გამოიკვეთა. რესპოდენტის სიტყვებიდან იღებენ ფრაგმენტს, დაუსრულებელ ან სხვა ინტერპრეტაციის გამომწვევ წინადადებებს, სვამენ მრავალწერტილს და მკითხველში აღძრავს წაკითხვის სურვილს. ეს შესანიშნავი ხერხია იმ შემთხვევაში, თუ სათაური მოლოდინს ამართლებს, მაგრამ, ძირითადად, აბსოლუტურად სხვა ინფორმაცია ხვდება მკითხველს და ამით, მოზიდვის ნაცვლად მცირდება მკითხველთა რაოდენობა მაგ.:

„20 წლის განმავლობაში მამას ერთხელაც არ ვუნახივარ, არც მოვუკითხივარ...“ - ვინ არის ახალგაზრდა, რომლის წაკითხული ლექსებიც გაჰიტდა?; საბანკო ბაზებში შესაძლოა, გარდაცვლილების დავალიანებაზე მონაცემები იყოს, რადგან...“ - ფინანსთა სამინისტრო განცხადებას ავრცელებს; „ეკლესიაში დავდივარ ხშირად... ჯერ კიდევ შოკში ვარ“ - რას ამბობს ფონიჭალის აფეთქებისას გარდაცვლილი გოგონას მეუღლე?; „გულგრილი მიდგომები... „ასე ვხდებით მკვლელობის თანამონაწილეები...“ - როგორ ეხმაურებიან „ფეისბუქში“ დიდი დიდმის „ტრაგედიას?; „ნიკოლოზს თირკმელი თავის დროზე საკუთარმა ბებიამ დაუთმო...“ - პატარა ბიჭუნას საზოგადოების დახმარება სჭირდება; „...კიბეებზე შემხვდა მამაკაცი ბავშვით ხელში. მამაკაცი პულსს უსინჯავდა ბავშვს“ - „რას ჰყვება ფოტოგრაფი, რომელმაც გადაიღო ფოტოები აფეთქების ადგილზე“; „ისე გვეძინა, სინათლეს არ ვაქრობდით... ხალხი ითხოვდა, ოღონდ აქ ნუ გაგვაჩერებთ და...“ - რას ჰყვებიან ქართველები, რომლებიც წმინდა მიწის ნაცვლად ისრაელის ციხეში აღმოჩნდნენ; „თუ მიმიღებთ - გამიხარდება, თუ არადა, მოვიფიქრებ რამეს...“ - ავტორი, რომლის წიგნის სათაურმა ვნებათაღელვა გამოიწვია (დებიუტანტი ავტორის, ვახო ვახტანგაძის ნაწარმოები „ალაჰი ჩემი მეგობარია“ კონკურსის „გახდი ბესტსელერის ავტორი 2018“ ერთ-ერთი გამარჯვებული გახდა) (გაზ., „კვირის პალიტრა“, №03, 14-20 იანვარი, 2019 წ.); „მამა 5 წლის ასაკში გარდაეცვალა და...“ - რას წერს „დეილი მეილი“ ქართველ ადვოკატ, მარიამ კუბლაშვილზე? (გაზ., „კვირის პალიტრა“, №02, 7-13 იანვარი, 2019); „ბავშვი შემოვიდა წყალი მთხოვა... ხსნარიანი ჭურჭელი აიღო და...“ - რას ამბობს ძიძა, რომელიც ბათუმის საბავშვო ბაღში

სადეზინფექციო სამუშაოებს ატარებდა? (გაზ., „ალია“, №01, 14-20 იანვარი, 2019 წ.); „ბავშვების ტრავმამ რა თქმა უნდა დეფიციტი არ გამოიწვია, მაგრამ...“ - რას აცხადებს „სისხლის ბანკის“ დირექტორი?; „ხაზარაძე ფრთხილად იყოს...“ - პოლიტიკური სანქცია თუ საეჭვო ტრანზაქცია?; „20 წუთით ადრე მომწერა... იმ დღეს ეს ამბავი არ მითხრეს“ - რას ამბობს დილომში აფეთქებისას გარდაცვლილი ლევან დავლადის ცოლი?; „მიმა რომ შემჩნეულია გამოქანება-გაქანებებში მოგეხსენებათ...“ - როგორ ეხმაურება ზაქარია ქუცნაშვილი კახი კალაძის განცხადებას? (გაზ., „კვირის პალიტრა“, #04, 21-27 იანვარი, 2019 წ.)... ამ მხვრივ საინტერესო იყო მსგავსი კონსტრუქციით წარმოდგენილი სათაური, რომელშიც დამსათაურებელის კითხვითი წინადადება ქვემდებარული რთული ქვეწყობილი წინადადებითაა წარმოდგენილი : „სტალინ, გაგიმარჯოს!“ - ვინ არიან ქართველები, ვინც პიკასომ დახატა? (ამ ინციდენტამდე ცოტა ხნით ადრე, სტალინის 70 წლისთავთან დაკავშირებით, არაგონს ასევე უთხოვია პიკასოსთვის, სტალინისთვის დაბადების დღის მისალოცი ბარათი დაეხატა. პიკასომ დახატა ხელი სასმლით შევსებული ჭიქით და მიაწერა: „სტალინ, გაგიმარჯოს!“ ამ მისალოცმაც დიდი ვნებათა ღელვა გამოიწვია)...

გავრცელებულია ცოტათი განსხვავებული სათაურებიც, მრავალწერტილი არ არის დასმული, დასრულებულია მთქმელის მიერ წარმოთქმული წინადადება და იქვე დამსათაურებლის კითხვითი წინადადებით გრძელდება: „ყველაზე დიდი შოკი ბავშვების ტანსაცმლის და სათამაშოების ნახვა იყო“ - რას ჰყვება მამველი, რომელიც აფეთქების ადგილზე პირველი მივიდა?; „საჭმლისა და წყლის გარეშეც რომ დავრჩეთ, გავაკეთებთ იმას, რაც საჭიროა“ - რატომ დაემუქრა ტრამპი თურქეთს ეკონომიკური აოხრებით?; „არა, ბრატცი, გეჩვენებათ, არაფერი არ ხდება აქო“ - რას ყვებიან აფეთქებული კორპუსის მაცხოვრებლები, ვინც „ყაზტრანსგაზი“ გამოიძახეს; „ხალხი მიყურებს და ფიქრობს, რომ ძალიან მდიდარი ვარ, თუმცა არაფერს ვაკეთებ“ - ვინ არის საქართველოში დაბადებული, რუსული „ცემენტის მეფე“?; „ვწუხვარ, რომ მისთვის ამ ჩემი შეფასების მხოლოდ ნაწილი მაქვს ნათქვამი“ - რას წერს გიორგი თარგამაძე ლევან ჩხაიძეზე?; „ჩემ შვილს რომ მოშივდეს, მოვიპარავ კი არა უარესს ვიზამ“ - ვის მიმართავს მელორ ვაჩნაძე?; „დირექტივა მოვიდა, ლუგარის ლაბორატორიის საფრთხეებზე დაგვეწყოს სიუჟეტების მომზადება“ - რა სკანდალურ

ინფორმაციას გვიძღვრის ბადრი ნაჭყებია; „როდის შევძლებ საქართველოში დაბრუნებას?“ - კითხვა, რომელსაც მოკლული ემიგრანტი მხატვარი თურმე ყველაზე ხშირად უსვამდა საკუთარ თავს; „ეტყობა, თქვენ მე კარგად არ მიცნობთ“ - რას ამბობს ეკა ბესელია ფარულ ჩანაწერებზე(გაზ., „კვირის პალიტრა“, №05, 28 იანვარი-3 თებერვალი, 2019 წ.); „ხალხი მიყურებს და ფიქრობს, რომ ძალიან მდიდარი ვარ, თუმცა არაფერს ვაკეთებ“ - ვინ არის საქართველოში დაბადებული, რუსული „ცემენტის მეფე“?; „ილიმება და აცხადებს, უდანაშაულო ვარო. თუ უდანაშაულო იყო, რატომ გაიქცა?“ - ვინ არის 24 წლის გოგონას მკვლელობაში ბრალდებული, ვინც საქართველოში დააკავეს; „თორნიკეს დედ-მამა არ ჰყავდა, პატარა ძმაზე და მოხუც ბებია-ბაბუაზე ზრუნავდა“ - ვინ არიან საზარელ ავარიას შეწირული ახალგაზრდები? ; „სამი დღის შემდეგ პაატა მოკლეს. მკვლელებს ვეძებდით...“ - რას ჰყვება პაატა ჩლაიძის მკვლელობაზე მისი მეგობარი (გაზ., „კვირის პალიტრა“, №5, 28 იანვარი - 3 თებერვალი, 2019 წ.)...

წარმოვადგენთ მრავალწერტილიან სათაურებს, რომლებშიც ეს წერტილები ემოციის, ექსპრესიის გამოხატვის ფუნქციას ასრულებენ. მაგ.: „ერთი წლის წინ, 31 დეკემბერს, გაზის გამონაბოლქვით კვდებოდი...“ (გაზ., „ალია“, №03, 28 იანვარი- 3 თებერვალი, 2019 წ.); „არ ვიცი, ვინ დაგვწყევლა ასე - ორი შვილის სიკვდილის მერე, ახლა შვილიშვილიც...“; „მათ ოჯახებში რა ტრიალებს ენა ვერ აღწერს... ყველა ერთმანეთის ნათესავი იყო, ერთადაც წავიდნენ ამ ქვეყნიდან“ (გაზ., „ალია“, №03, 28 იანვარი - 3 თებერვალი, 2019 წ.); „დაზაფრული ბოლო მერხზე ჩუმად დავჯექი...არც კი ავმდგარვარ. არ მინდა, კლასელებმა დამინახონ... არ მინდა, დამცინონ...“; „დებს მამა ადრე გარდაეცვალათ... ნათია ძალიან გახარებული იყო, სახლის რემონტს რომ ასრულებდა, უცებ კი ეს ტრაგედია დატრიალდა“; „ბოლო ჩართვაც შენთან... რანაირად დაბრუნდი... რანაირად ჩამოხვედი?“; (გაზ., „ალია“, №2, 21-27 იანვარი, 2019 წ.); „აღარ ვიცი რა ვთქვა.. აღარ ვიცი რა ვთქვა.. აღარ ვიცი რა ვთქვა...“ (გაზ., „ალია“ №2, 21-27 იანვარი, 2019 წ.)...

მრავალწერტილი გვხვდება მაპირისპირებელკავშირიან რთული წინადადებით გადმოცემულ სათაურებშიც, სადაც ეს წერტილები ყურადღების მიქცევისა და დაინტერესების მიზნითაა გამოყენებული, მაგ.: „ივანიშვილს რამდენჯერმე

შესთავაზეს პრემიერად დაბრუნება, მაგრამ...“ (გაზ., „კვირის პალიტრა“, №5, 29 იანვარი-3 თებერვალი, 2019 წ.); „იმედი მქონდა, რომ ამ 7 წლის განმავლობაში გიგა ბოკერიამ ან რაიმე ისწავლა ან რაღაცნაირად გაიზარდა, თუმცა...“ (გაზ., „კვირის პალიტრა“, №2, 7-13 იანვარი, 2019 წ.); „ბოძე არ ვარ, მაგრამ...“ (გაზ., „კვირის პალიტრა“, №3, 14-20 იანვარი, 2019წ.)... აგრეთვე, დაუსრულებლადაა წარმოდგენილი რთული წინადადების რომელიმე ერთგვარი წევრი: „სპეცდანიშნულების ჟურნალისტები“, „ტროლები“ და... პროკურატურა, ანუ როგორ ხდება ადამიანის „გაფუჭება“ საქართველოში... (გაზ., „კვირის პალიტრა“, №2, 7-13 იანვარი, 2019 წ.); ან კორელატივით განსასაზღვრი მისამართი სიტყვა: „მთავრობა, მიხედეთ ამას... რატომ იზრდება ფასები, მომკითხავი არავინაა?“, „მესმის, რომ ქალისთვის განსაკუთრებით მძიმეა ამის ატანა..“ (გაზ., „ალია“, №03, 28 იანვარი-3 თებერვალი) და ა.შ.

ამგვარი, დაუსრულებელი შინაარსის მქონე სათაურები დღესდღეობით საკმაოდ ხშირია, რაც მკითხველის არა მარტო დაინტერესებასა და ყურადღების მიქცევას იწვევს, არამედ, ვფიქრობთ, დამახსოვრებაზეც არის ორიენტირებული, ანუ დაუსრულებელი სათაურები უფრო მეტად გვამახსოვრდება, ვიდრე დასრულებული.

სამწუხაროდ, თანამედროვე პერიოდის პრესის ფურცლებზე ჩანს აგებულების მიხედვით მარტივი, შერწყმული და რთულიწინადადებებით გადმოცემული უცენზურო სათაურების, რაც ცენზურის დაუცველობაზე მიგვანიშნებს. რა ხდებოდა ამ მხრივ გასულ საუკუნეებში? იყო თუ არა სკაბრეზული სათაურები გავრცელებული? რა თქმა უნდა, არა! ამას ჩვენ მიერ მოპოვებული ემპირიული მასალაც ადასტურებს. იმ დროისათვის მოქმედ არცერთ ჟურნალ-გაზეთში არ შეგვხვედრია უცენზურო სათაური. რა იყო ამის მიზეზი? ვფიქრობთ, ეს უნდა აიხსნას იმით, რომ იმ პერიოდისათვის მკაცრად მოქმედებდა ცენზურა.

Censorship - გართობისა და პუბლიკაციების სახელმწიფო კონტროლი, რომელიც პირველად ძველ რომში შემოიღეს და დღესაც გამოიყენება სხვადასხვა სახელმწიფო სისტემებში სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლების, ან რელიგიური დაწესებულებების მიერ. ცენზურა ორი სახისაა:

1. პრევენტული - მოითხოვს კონტროლის ობიექტის წარდგენას მის გამოქვეყნებამდე;
2. როგორც დისციპლინური სასჯელი, იმ პირის მიმართ, რომელმაც გამოაქვეყნა თავისი ნაშრომი ამა თუ იმ ფორმით ამ ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მიუხედავად. დისციპლინარული სასჯელის ფორმებია: კონფისკაცია, ჯარიმა, ან პატიმრობა (ცალ-ცალკე ან ერთად) (საყვარელიძე, 1999:128).

Zensur/. censura მკაცრი მსჯელობა, გარჩევა, censere შეფასება

1. ბეჭდვით ორგანოებსა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებზე სახელმწიფო ზედამხედველობის სისტემა, ასევე ასეთი ზედამხედველობის განმახორციელებელი დაწესებულება;
2. ნებისმიერი სახის ნაწარმოების (სპექტაკლი, ტელე-რადიო საშუალებებით ეთერში გაშვება) გადახედვა (გასინჯვა), რომელიც ხორციელდება გამოქვეყნებისათვის სპეციალური ნებართვის მიღების მიზნით (ურიდია, 2004: 483).

იაკობ მანსვეტაშვილი თავის „მოგონებანში“ შემდეგნაირად ახასიათებს ცენზურას: „გაზეთს წინ ედო კიდევ ერთი განსაცდელი, ერთი სახიფათო ალაგი, სადაც ბეწვის ხიდი იყო გადებული. შედგებოდი ამ ხიდზე და შიში აგიტანდა: აი, ეს-ეს არი, ჩაწყდება ბეწვი და ხიდთან ერთად შენც თან ჩაგიტანს უფსკრულში. მოდი და ახლა იქიდან ამოსავალი გზა ეძებე! ეს სახიფათო ხიდი იყო მაშინდელი ცენზურა, რომელიც ყოველდღე მაჯლაჯუნასავით გულზე გვაწვა და სულს გვიხუთავდა. ეს იყო ჩვენი სულთამხუთავი, ჩვენი „სული ბოროტი“.გაზეთს უნდა გამოევიდოდა კიდევ ერთი გალიპული, საშიში გზა; ეს გზა მიგვიყვანდა იმ ალაგას, რომელსაც სახელად ერქვა ცენზურა...“ (მანსვეტაშვილი, 1936:84).

მე-19 საუკუნეში, 1801 წლიდან, მოქმედებდა ცარიზმის ანუ მეფის რუსეთის დროინდელი ცენზურა, რომლის დროსაც აკრძალული იყო ცარიზმის გაკრიტიკება, უკმაყოფილების გამოხატვა, არაფერი არ უნდა თქმულიყო იმდროინდელი წყობის საწინააღმდეგო, იქნებოდა ეს შელამაზებულად თუ პირიქით.

მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან მძვინვარებდა საბჭოთა ცენზურა, მიმდინარეობდა ქება-დიდება სოციალისტური და კომუნისტური წყობისა, უარყოფა ყოველგვარი კაპიტალისტურის, დასავლურის. შესაბამისად სიტყვის თავისუფლება შეზღუდული იყო. და რა ხდება დღეს? დღეს წინა პლანზე წამოიწია სიტყვის თავისუფლება, ყოველგვარი აზრის დაფიქსირება, რაც დადებითია, მაგრამ, სამწუხაროდ, რიგ შემთხვევაში საკუთარი თავისუფლების გამოხატვით სხვის უფლებას არღვევენ და ამის კარგი მაგალითია გავრცელებული ბილწსიტყვაობა, რომელიც სათაურებშიც აისახა.

ამ მხრივაც გვაქვს განსხვავებული ვერსიები: ერთი, როდესაც სრული სახითაა წარმოდგენილი სკაბრეზული სიტყვები; მეორე, როცა აღარ ასრულებს სიტყვას და ე.წ. „ფიფქებს“ იყენებ, რომელშიც ნათლად ჩანს სიტყვის მნიშვნელობა; მესამე შემთხვევაშიც არ არის დასრულებული სიტყვა, მაგრამ „ფიფქის“ ნაცვლად იყენებს „ძალუკას/@“. დამოწმებული მაგალითები დაგვიდასტურებს იმ ფაქტს, რომ დღეს ამ მხრივ სრული „თავისუფლება“ გვაქვს ანუ დღეს არ არსებობს კონტროლი. მაგ.: **სათაურები, რომლებშიც სრული სახითაა წარმოდგენილი სკაბრეზული სიტყვები:** *„გააჩერეთ, მომაჯდა!“ - ენაკვიმატი უროლოგის სახალისო ამბები; „ვოლსკი, შე ნაძირალა უცხოტომელო, რამდენი გადაგიხადეს სომხებმა?!“; „მერის ფანჯრებთან ადამიანები ქუჩაში ისაქმებენ - გოგი წულაია ტუალეტის გაუქმებას აპროტესტებს; „მე თქვენი ძალათ მორალისტი შუბა დავხიე, თქვე კურდღლებო თქვენა!!!“; „ფეხსაცმელს იპარავდაო... იმდენი თქვენი დედა ვატირე“; „ღირსნი არიან პატრიოტული გრძნობები ფეხებზე დაიკიდო და „ბილიანზე“ გადახვიდე კაცი!“; „დაასრულეთ ტრაგედიებით ვაჭრობა ორივე მხარის ნაძირლებო, სირცხვილია!“; „მე ვიგინები, როცა საგინებელი მაქვს და არა პოლიტიკურად, არამედ როგორც უბრალო, რიგითი მოქალაქე“; „ამ ბრიყვს ჭიდაობა და ხულიგნობა ერთი ჰგონია“ (გაზ., „ალია“, №02, 21-27 იანვარი, 2019 წ.); „ზოგადად ორტრაკიანობას, კობახიძისნაირი ლუსტრირებული ჩათლახობა ჯობია“ (გაზ., „ალია“, №04, 4-10 თებერვალი, 2019 წ.); „ვასილ მალაფერიძევ, გამოდი „ტელე-ტუალეტიდან!“ (გაზ., „ასავალ-დასავალი“, №26, 25 ივნისი - 1 ივლისი, 2018 წ.); „ცისფერტრაქელები“ (გაზ., „ასავალ-დასავალი“, №04, 22-28 იანვარი, 2018 წ.); „შენ, „მოგიხნავ“ კეთილებს, იცოდე! (გაზ.,*

„ასავალ-დასავალი“, №01, 25 დეკემბერი- 7 იანვარი, 2017 წ.); „*აქეთ მოიხედე, გახრწნილო!*“ (გაზ., „ასავალ-დასავალი“, №37, 11-17 სექტემბერი, 2017 წ.); „*აი, სიფათი ტარასი,-გარეწრის, ვიგინდარასი!*“ (გაზ., „ასავალ-დასავალი“, № 31, 31 ივლისი-6 აგვისტო, 2017 წ.) ...

თუ დავაკვირდებით, ასეთი უცენზურო სათაურები გადმოცემულია ძახილისნიშნაანი ან კითხვით-ძახილისნიშნაანი მარტივი, (იშვიათად), რთული თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადებებით.

„ძალუკათი/@“ „დაფარული“ ცენზურული სიტყვის შემცველი სათაურები:

„*მივხვდი, რომ გავიშიფრე და ვიყვირე - ვერ დამიჭერთ, ბო@ებო!!!*“ (ემოციის გასაძლიერებლად ძახილის ნიშნებიცაა დამატებული); „*ამ მთავრობას მო@@@ დილეტანტი დედები - გიორგი ყიფშიძე "ქართული ოცნების" წინააღმდეგ*“ (გაზ., „ალია“ № 01, 14-20 იანვარი, 2019 წ.); „*თქვენ იღებდით, თქვენ უყურებდით, ალბათ ან@რევდით კიდევ!!! მაგრამ ჩუმად, თქვენთვის, უხმაუროდ*“ (გაზ., „ალია“, №03, 20 იანვარი-3 თებერვალი, 2019 წ.); „*პოლიტიკოსები და პოლიტიკოსები*“ (გაზ., „ასავალ-დასავალი“, №23, 25 4-10 ივნისი, 2018 წ.)...

„ფიფქით / **“ „დაფარული“ ცენზურული სიტყვის შემცველი სათაურები:

„*ეს მახინჯი ნაბ**არი რომ ცემით მოგვკლას ახლა, გაუფრთხილებლობით უნდა გამასამართლონ?!“; ან კიდევ ასე: „მე ბოზ* არ ვარ, ლამაზი ვარ და ყველა მანდილოსანს ჩემი შურსს. ამიტომაც აღარ იციან... თამო ვაშალომიძის სკანდალური განცხადება“...*

ზოგადად, კარგი იქნებოდა, თუ ამგვარი უხამსი სიტყვების შემცველი სათაურებისგან თავს შეიკავებდა დამსათაურებელი, თუმცა ამას არ აკეთებს რაღაც მიზეზის გამო. რა მიზეზი ამომრავებს ამ დროს მას, როცა მთქმელის მიერ წარმოთქმულ წინადადებაში გამოყენებულ ბილწ სიტყვებს არ ცვლის ნეიტრალური, საზოგადოებისთვის მისაღები ფრაზებით? ვფიქრობთ, ამის მიზეზი შემდეგი უნდა იყოს:

- სურს, რომ რეალური სურათი წარმოაჩინოს;

- იმარტივებს საქმეს და ყოველგვარი ოსტატობის, ფიქრისა და თავის შეწუხების გარეშე მოჰყავს პირდაპირი ნათქვამი, რომელშიც ცენზურა არაა დაცული;
- ალბათ, ფიქრობს, რომ საზოგადოების დიდი ნაწილის ინტერესს გამოიწვევს ამით და წააკითხებს თავის სტატიას.

ერთი რამ უნდა ითქვას, რომ უცენზურო სათაურების მომრავლებას ხელი შეუწყო საზოგადოებამ, კრიტიკა ნაკლებად ისმის, თავისუფალი მედია სხვაგვარად იქნა გაგებული და ვხედავთ, რა შედეგამდეც მივდით.

თანამედროვე პრესის ფურცლებზე მომრავლდა აგრეთვე სათაურებში **რიცხვითი სახელების გამოყენება**, თუმცა რა არის აქ გასაკვირი? ერთი შეხედვით - არაფერი, მაგრამ მაინც თვალში საცემი და თანამედროვე პერიოდისთვისაა გამოკვეთილი, შეიძლება ითქვას, მოდურიც, რადგან ამარტივებს საქმეს და ამიტომაც ჩავთვალეთ, ცალკე გვესაუბრა.

რიცხვითი სახელის შემცველი წინადადებები აგებულების მიხედვით გვხდება მარტივიც, შერწყმულიცა და რთულიც.

„საახალწლოდ საქართველოს რეგიონებში სასწრაფო დახმარება 4733 პაციენტს აღმოუჩინა“; სასწრაფო დახმარების 730 000-ზე მეტი გამოძახება და 14 500-მდე ცრუ შეტყობინება - როგორია 2018 წლის სტატისტიკა?; „ახალი წლის დღეებში თბილისის დამწვრობის ცენტრს 20 მოქალაქემ მიმართა“; „ჩვენი მოქალაქეებისთვის ჩამოწერილი თანხის საერთო მოცულობამ 4 მილიარდ ლარამდე შეადგინა“; „თბილისში ბუნებრივი გაზის ტარიფი 0.014 თეთრით შემცირდა“ (გაზ., „კვირის პლიტრა“, №1, 31დეკემბერ, 2018-6 იანვარი, 2019 წ.); „საქართველოში ჯანმრთელობისთვის საშიში 29 222 დოზა ვაქცინა გაიხარჯა“; „ქუთაისის მერიიდან სავარაუდოდ, 1 643 197 ლარი გაიფლანგა“ (გაზ., „კვირის პლიტრა“, №4, 21-27 იანვარი, 2019წ.); „ვისოლისა“ და ილიაუნის ერთობლივ კონკურსში გამარჯვებული სტუდენტი 3000-ლარიან დაფინანსებას მიიღებს“...

თანამედროვე მედიაში გვხვდება რიცხვითსახელიანი რეზუსული სათაური: „20ნების გამ20ანა“ (გაზ., „კვირის პლიტრა“, №1, 31დეკემბერ, 2018 წ. 6 იანვარი, 2019 წ.)...

აგრეთვე, ძალიან საინტერესოა შემდეგი ტიპის სათაური, რომლის მსგავსი ნამდვილად არ დასტურდება მე-20 საუკუნის პრესაში და რომელიც ერთგვარ მათემატიკურ ამოცანას წარმოადგენს: „*25+5=?*“ (გაზ., „ასავალ დასავალი“, №52, 24-30 დეკემბერი, 2018 წ.)... ამ ტიპის სათაურს შემდეგნაირი ახსნა ჰქონდა: პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის მხარდაჭერით, ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმის გამოძიების დრო ხუთი წლით გახანგრძლივდება.

მე-19 საუკუნეში რიცხვითსახელიანი სათაურების მინიმალური რაოდენობა ფიქსირდება, მე-20 ს-ში მათი რაოდენობა იზრდება, მაგრამ ძირითადად, დროის გარკვეული მონაკვეთის ან კალენდარული რიცხვების დასახელებისას გამოიყენება და საინფორმაციო დანიშნულებისაა: „*კვირას, 22 ოქტომბერს, დიდუბეში იპოდრომზე გაიმართება დიდი მარულა*“; „*9 ენკენისთვიდან დასახელებული მატარებლები ივლიან მხოლოდ თბილისსა და ხაშურ შუა*“ (გაზ., „ბახტრიონი“, 1922 წ., №8.9.11.19)...

თუ დავაკვირდებით და შევადარებთ მე-20 საუკუნეში რიცხვითი სახელის შემცველი წინადადების სათაურს უფრო განცხადების სახე აქვს, რომელიც მარტივი და საწყისიანი სახელდებითი წინადადებებით გადმოიცემა. სიხშირესაც თუ მივაქცევთ ყურადღებას, ასეთი სათაურები იშვიათად გვხვდება, დღეს კი ტენდენცია მათი მოჭარბებისკენ მიდის და შეიძლება ვთქვათ, რომ ეფექტურ სათაურადაც კი ითვლება.

თანამედროვე პრესაში ყურადღებას იქცევს აგრეთვე **წართქმითი და უკუთქმითი ბრძანებითი წინადადებით გადმოცემული ექსპრესიული სათაურებიც**. ხშირია ძახილისნიშნის მარტივი წინადადებები, რომლებშიც ექსპრესიის, მეტი ემოციის გამოხატვისა და გადმოცემის მიზნით, იგივე წინადადება მსგავსად ან მცირე ცვლილებით მეორდება, ასეთებია:

„*არ შეცდეთ! არ მიხვიდე! არ დარეკოთ!*“ (გაზ., „ასავალ-დასავალი“, 9, 26 თებერვალი - მარტი, 2018 წ.); „*აღარ მოათრიოთ! აღარ მოაშავოთ! აღარ მოაბნელოთ!*“ (გაზ., „ასავალ-დასავალი“, №48, 26 ნოემბერი - 2 დეკემბერი, 2018 წ.); „*წათრიეს! წააშავეს! წააბნელეს!*“ (გაზ., „ასავალ-დასავალი“, №8, 19-25 თებერვალი, 2018 წ.); *არ გაეკაროთ!!! არ გაიკაროთ!!!* (გაზ., „ასავალ-დასავალი“, №43, 22-28 ოქტომბერი, 2018 წ.)

წ.); „სულს ამოგხდით! დაგყრით ღორებივით!“ (გაზ., „ასავალ-დასავალი“, №46, 12-18 ნოემბერი, 2018 წ.); „არა მიშას! არა გრიშას! მათი მოსვლა წარღვნას ნიშნავს! (გაზ., „ასავალ-დასავალი“, №45, 4-11 ნოემბერი, 2018 წ.); „ერთად არიან! ერთად არიან!“ (გაზ., „ასავალ-დასავალი“, №42, 15-21 ოქტომბერი, 2018 წ.); „საქართველოვ, არ მოტყუვდე! სამეგრელო, იმედი არ გკონდეს!“ (გაზ., „ასავალ-დასავალი“, №26, 25 ივნისი- 1 ივლისი, 2018 წ.); „მისცემს! მიმცემია!“ (გაზ., „ასავალ-დასავალი“, №32, 7-13 აგვისტო, 2017 წ.); „გახარია არ უნდა გადადგეს!“ (გაზ., „ასავალ-დასავალი“, 2019 №25); „დამკითხეთ!!!“ (გაზ., „ასავალ-დასავალი“, 2019 №23)...

ხშირია ძახილისნიშნაანი მარტივი ან სახელდებითი სათაურები: *ყოჩად, პრემიერო!* (გაზ., „ასავალ-დასავალი“, №40, 4-11 ოქტომბერი, 2018 წ.); *გახარია მ არ გაახარა!* (გაზ., „ასავალ-დასავალი“, №32, 6-12 აგვისტო, 2018 წ.); *„შოთა გორგოძე დუმილს არღვევს!“* (გაზ., „ასავალ-დასავალი“, №31, 30 ივლისი-5 აგვისტო, 2018 წ.); *„სისტემა უნდა დაინგრეს!“* (გაზ., „ასავალ-დასავალი“, №38, 18-24 სექტემბერი, 2017 წ.); *„დიდ ომს ველოდები!“* (გაზ., „ასავალ-დასავალი“, №32, 7-13 აგვისტო, 2017 წ.)...

საინტერესოა მარტივი წინადადებებით გადმოცემული **ალუზიური სათაურებიც**, რომლებიც არის მოკლე, ლაკონიური, სხარტი, ემოციურიც და ამავე დროს დიდი დატვირთვის მქონე. ალუზია არის რიტორიკული ხერხი – გადაკვრით ხსენება რაიმე ცნობილი ისტორიული ფაქტის ან ლიტერატურული ნაწარმოების.

„ალუზია [ფრ. Allusion ხუმრობა, მინუშნება; ლათ. alludere გახუმრება მინიშნება]. სტილისტოკური ფიგურა, გამონათქვამი, მინიშნება მსგავსი ჟღერადობის სიტყვით ან ყველასათვის ცნობილი ფაქტის, ისტორიული მოვლენის, ლიტერატურული ნაწარმოების ხსენებით; აღწერილისა და რეალურის ურთიერთმიმართება მდგრად ცნებასთან ან ისტორიული ან ლიტერატურულ შესიტყვებასთან“ (თეზელიშვილი, 2005 :54). ამ დროს მკითხველისთვის ტექსტის აღქმა დამოკიდებულია სხვა რომელიმე ტექსტის ცოდნაზე, რომელსაც ავტორი მიმართავს. ამ დროს ხდება ერთი ტექსტის აგება სხვა ტექსტზე. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა კრისტევის მოსაზრება: „ტექსტი ორ განზომილებაში ანუ ორ ღერძზე იგება“ (Kristeva, 1980:5). ამ ორ ღერძში მან იგულისხმა: ა)

ჰორიზონტალური, როცა ავტორი დაკავშირებულია მკითხველთან და ბ) ვერტიკალური, როცა ტექსტი დაკავშირებულია სხვა ტექსტებთან.

ავტორი ალუზიას შემთხვევით ან უმიზეზოდ არ იყენებს, მასში დიდ აზრს დებს, რომლის ამოცნობა და ინტერპრეტაცია დამოკიდებულია ადრესატის კულტურულ ფონურ ცოდნასა და მის ინტერპრეტაციულ ნიჭზე. ავტორი მასში ქვეტექსტის სახითაა მოცემული ავტორის სუბიექტური დამოკიდებულება. ტექსტი რომ ადეკვატურად აღიქვას, საჭიროა მისი ქვეტექსტის ცოდნა. ავტორი ყველაფერს დაწვრილებით არ აღწერს, იგი მკითხველს უტოვებს ფიქრისა და ჩაწვდომის საშუალებას.

ალუზიის ამოცნობა საკმაოდ რთულია. ქ. მარტაშვილი გამოყოფს სამ ფაქტს, რომელიც ალუზიის აღქმას ართულებს:

1) ტექსტში არ არის არანაირი ნიშანი, ამიტომ ალუზიის ამოცნობის შესაძლებლობას ალუზირებული ტექსტის პოპულარობა განაპირობებს;

2) რამდენად ორგანულადაა შერწყმული ალუზირებული ტექსტი არსებულ ტექსტთან;

3) მესამე სირთულეს კი მკვლევარი ალუზირებული ფაქტის ან მოვლენის მრავალასპექტურობას უკავშირებს, როდესაც ძნელია იმის გარკვევა, ავტორის მიერ ერთი რომელი ასპექტის წამოწევა ხდება წინა პლანზე თუ ერთდროულად რამოდენიმესი (მარტაშვილი, 2003: 13).

მოცემულ სათაურებში ხდება ცნობილი ფრაზის, იდიომის, მოთხრობისა თუ რომანის სახელწოდებების ალუზირება: კონსტანტინე გამსახურდიას რომანს „დიდოსტატის მარჯვენა“ ეხმიანება შემდეგი სათაური „რატომ კარგი დაგიგია!“ (გაზ., „ასავალ-დასავალი“, №36, 3-9 სექტემბერი, 2018 წ.); ვაჟა-ფშაველას მოთხრობას „ამოდის ნათდება“ - „ამოდის ნაცდება!“ (გაზ., „ასავალ-დასავალი“, №40, 4-11 ოქტომბერი, 2018წ.); ამ სათაურში კი ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“ შეცვლილია შემდეგნაირად: „ლომი და მშვიდობა!“ (გაზ., „ასავალ-დასავალი“, №32, 6-12 აგვისტო, 2018 წ.); იესო ქრისტეს 30 ვერცხლად გაყიდვას ეხმიანება შემდეგი მეტაფორული სათაური - „ვინ ვაჭრობს რუსეთის ვიზებით, ანუ რუსეთის ინტერესები 30 ვერცხლად!“ (გაზ., „ასავალ-დასავალი“, №31, 30 ივლისი-5 აგვისტო, 2018 წ.); ო,

ჰენრის ნოველას „მოგვების ძღვენი“ შეცვლილია ასე- „ხაზარაძის ძღვენი“ (გაზ., „ასავალ-დასავალი“, №22, 28 მაისი-3 ივნისი, 2018 წ.); ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“- „გლეხის ნაამბობი“ (გაზ., „ასავალ-დასავალი“, №04, 22-28 იანვარი, 2018 წ.); ჰარიეტ ბიჩერ სტოუს „ბიძია თომას ქობი“- „ბიძია თემოს ქობი“ (გაზ., „ასავალ-დასავალი“, №51, 18-24 დეკემბერი, 2017 წ.); ქართულ ენაში გვაქვს ასეთი ფრთიანი ფრაზა „ბუხსაც ვერ აუფრენ“, რაც გადატანითი მნიშვნელობით ნიშნავს, რომ ვერაფერს ვერ დაუშავებ. ამის გათამაშებაა შემდეგ სათაურში: „მეუფე პეტრეს ბუზიც კი ვერ აუფრინეს!“ (გაზ., „ასავალ-დასავალი“, №42, 16-22 ოქტომბერი, 2017 წ.) აქ კი შექსპირის პიესების მთავარი პერსონაჟების სახელები, რომლებიც კონცეპტუალურ სახელებად იქცნენ, ფიგურირებს: „იაცობის, დეზდემონებისა და ოტელოების გასაგონად!“ (გაზ., „ასავალ-დასავალი“, №28, 10-16 ივლისი, 2017 წ.); აკაკი წერეთლის ლექსის „განთიადი“ (მთაწმინდა ჩაფიქრებულა, შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა) ალუზიაა შემდეგი სათაური, „არ აირჩიოთ!მთაწმინდა უნდა ჩაფიქრდეს! (გაზ., „ასავალ-დასავალი“, 2019 №22); ეს ორი სათაური: „ქალია-ადამიანი?!“ (გაზ., „ასავალ-დასავალი“, 2019 №18), „კაცია-ნაგავიანი?!“ (გაზ., „ასავალ-დასავალი“, 2019 №18) კი ილია ჭავჭავაძის მოთხრობის „კაცია-ადამიანი?!“ ალუზიაა. ვიქტორ ჰიუგოს რომანს „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ გაგვახსენებს შემდეგი ალუზიური სათაური: „პარიზის ხვთისმშობლის ხანძარი“ (გაზ., „ასავალ-დასავალი“, 2019 №16); ეს, მარტივი წინადადებით გადმოცემული, ალუზიური სათაური კი ქართულ გამონათქვამს „ქუდზე კაცი“ ეხმიანება: „საქართველოს წინააღმდეგ ქუდზე ნაცს უხმობენ“ (გაზ., „ასავალ-დასავალი“, №37, 2019)...

ალუზიური სათაურები არ გვხდება მე-19, მე-20 საუკუნის ქართულენოვან პრესაში, ალბათ, ამის მიზეზი არის ის, რომ მკითხველი ელოდებოდა რეალურ ამბავს ყოველგვარი შელამაზებისა და ქვეტექსტების გარეშე.

ყველაზე მეტად უცნაური და თვალში საცემი სათაურები, რომლებიც თანამედროვე პრესაში გვხვდება, ეს არის ზერთული წინადადებებით წარმოდგენილი, ვრცელი, თითქმის სრული შინაარსის შემცველი სათაურები, რომელსაც პირობითად ვუწოდეთ - **რეზიუმე სათაურები**, რადგან მისი წაკითხვის შემდეგ ყველაფერი გასაგებია და აღარ ჩნდება სურვილი ტექსტის წაკითხვისა.

სათაურთა დიაქრონიულ ჭრილში განხილვა შესამჩნევს ხდის, რომ მარტივი სინტაქსური კონსტრუქციიდან თანამედროვე ეპოქაში გადავადით რთულ, ზერთულ, რეზიუმეს მსგავს სათაურებზე. „აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ტელეკომპანია Fox-სთან განაცხადა, რომ არ აპირებს სირიაში შეჭრას, იმის მიუხედავად, რომ გასულ კვირას სირიის სამხედრო ბაზებზე ავია დარტყმების ბრძანება გასცა“, „ცენტრ - პოინტის“ ერთ-ერთი დაზარალებულის, თამარ ფირცხალაიშვილის თქმით, კომპანიის დამფუძნებლის, რუსუდან კერვალიშვილის შვილიშვილი, ნინო დარასელის შვილი დაზარალებულებს მუქარის წერილებს უგზავნის“, „სახალხო დამცველი პარლამენტის თავმჯდომარის იმ განცხადებას ეხმაურება, რომლის მიხედვითაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცა და ამიტომ შეაჩერა „რუსთავი 2“-ის საქმეზე უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება“, „ცნობილი მეცნიერისა და რუსთველოლოგის, ვიქტორ ნოზაძის, ცნობილ პარიზულ სტამბას კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა“...

თანამედროვე მედიაში აქტუალურია რთულწინადადებიანი სათაურები, როგორც თანწყობილი, ესე ქვეწყობილი. რთული ქვეწყობილი წინადადების თითქმის ყველა სახე დასტურდება: ქვემდებარული, განსაზღვრებითი, დამატებითი, გარემოებითი (ადგილის, დროის, მიზეზის...). კერძოდ:

რთული თანწყობილი: „ევროვიზიის მონაწილე რუს კანდიდატს უკრაინაში ჩასვლა აუკრძალეს, რუსეთი კი ევროვიზიას არ გააშუქებს“;

გივი ბერიკაშვილი რეანიმაციაში მოათავსეს, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა“...

რთული ქვეწყობილი: როგორც უკვე აღვნიშნეთ, თანამედროვე პრესაში გახშირებულია რთული ქვეწყობილი წინადადებით გადმოცემული სათაურები, ჭარბობს განსაზღვრებითადამოკიდებულებიანი წინადადებები სათაურებად: „არსებობს მეცენატი, რომელიც მზად არის დაასრულოს მშენებლობა“; „მსახიობები, რეჟისორები და თეატრები, რომლებსაც ივანიშვილი აფინანსებს“; „მე-19 საუკუნეს რომ შეესაბამება, ისეთი ტრანსპორტია დედაქალაქში“; „ერთიანი მესიჯი გააბათილებდა იმ პროპაგანდას, რომელსაც ახორციელებს რუსეთი“; „შევქმნათ

ჯგუფი, რომელშიც ერთმანეთში გავცვლით ფულს...“; „ნებისმიერი ფობია, რომელიც უკანასკნელ წლებში გაჩნდა, არის პოლიტიკოსების მიერ თავს მოხვეული მოსახლეობას“; „როგორ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი ქალი, რომელსაც ექიმები სიკვდილს უწინასწარმეტყველებდნენ“; „როგორ გადაურჩა სასჯელს ბათუმის აქციის ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტი, რომელიც მანამდე პოლიციამ 14-ჯერ დააკავა?“; „ეროვნულ ბიბლიოთეკაში ვაჟა-ფშაველას მუზემ-სამკითხველო გაიხსნება, რომელსაც „m2 უძრავი ქონება“ დააფინანსებს“; „თემები, რომელზეც მიდის მსჯელობა არ შეიცავს სახელმწიფო საიდუმლოებას“; ხულოს სკოლა-პანსიონი, რომელიც ქვემო ვაშლოვანში აშენდება-ესკიზური პროექტი მზადაა; „მოსწავლეები, რომელთაც საგნობრივ ოლიმპიადასა და ლიტერატურულ კონკურსში გაიმარჯვეს“; „4 ფოტო, რომლებიც ჟორჟ სიმონმა გასული საუკუნის 30-იანი წლების ბათუმში გადაიღო“; „შეცდომები, რომლებიც პირველკლასელის მშობლებმა არ უნდა დაუშვან“; „რომელ კოსმეტიკურ ნაწარმში აღმოჩნდა ნივთიერება, რომელიც სხვადასხვა მძიმე დაავადებას იწვევს?“

ასეთი ტიპის სათაურებში გვხვდება სინტაქსური დარღვევებიც: განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში კორელატს ან მისამართ სიტყვას უნდა მოჰყვებოდეს საკავშირებელი სიტყვა ან წევრ-კავშირი (კვაჭაძე, 2010:398). „ისეთ ინფორმაციას ფლობს ხვედელიძე, რომელმაც შეიძლება ეს ხელისუფლება შეცვალოს“ (ხვედელიძემ უნდა შეცვალოს თუ ინფორმაციამ?)...

ზოგჯერ საკავშირებელი სიტყვა არასწორადაა შერჩეული: „არ უნდა დაგვავიწყდეს ის ადამიანები, ვინც (უნდა იყოს რომლებიც) თავდადებით იცავდა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენისკენ მიმავალ გზას“...

გარდა განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებისა, გვხვდება სხვა ტიპის ქვეწყობილი წინადადებებიც სათაურებად. კერძოდ: ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები: „პრეზიდენტის უფლებამოსილებების კუთხით ცვლილება ხორციელდება მხოლოდ იქ, სადაც ამას იურიდიული ლოგიკა მოითხოვს“; „რას უპირებს მთავრობა გომის მთას, სადაც უნებართვო მშენებლობები გრძელდება“... ირიბდამატებითი დამოკიდებული წინადადება: „სანდრამ ათი ათასობით ქალბატონი გადაარჩინა იმას, რასაც, სამწუხაროდ, თავად ვერ გადაურჩა!“;

„10 ყველაზე საინტერესო რამ, რასაც აჭარაში შემოდგომაზე ნახავთ“...; პირდაპირდამატებითი დამოკიდებული წინადადება: „10 ყველაზე საინტერესო რამ, რასაც აჭარაში შემოდგომაზე ნახავთ; ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება: „ორივე გადაწყვეტილებით დადასტურდა, რომ ორივე გახლავთ ცილისმწამებელი – ეკა ბესელია“...

რა ტენდენციაა თანამედროვე მედიაში? ზოგადად, ენა უნიფიკაციისკენ ისწრაფვის, ეს ცვლილება აისახება სხვადასხვა დარგშიც, ამაზე საუბრობს გ. სოლგანიკიც: „თანამედროვე ხარისხიანი გაზეთების განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ტენდენცია ინფორმაციულობის წინა პლანზე წამოწევაა, რაც სათაურების სისტემის ევოლუციაში აშკარად იჩენს თავს. ინფორმაციული მიმართულების გაძლიერებას ადასტურებს სათაურებში ზმნების ხშირი გამოყენება, სადაც ინტრიგა და რეკლამირება მეორე პლანზე იწევს. სათაური ნათლად და ლაკონიურად უნდა გადმოსცემდეს ტექსტის შინაარსს. სწორედ ამაში მდგომარეობს საგაზეთო სათაურის ესთეტიკა და ექსპრესიულობა“ (Солганик, 1984:97).

„ქართულ მედიაში სათაურის ლაკონიზმს საპირისპირო ტენდენცია ჩაენაცვლა, მოკლე და სხარტი სათაურები გრძელმა და რთულმა ენობრივმა კონსტრუქციებმა შეცვალა... გრძელი სათაურები ინფორმაციული სისავსის გამო არა თუ იზიდავს, არამედ ტექსტამდე მისასვლელ გზას უჭრის მკითხველს“ (ომიაძე, 2006:67).

ვფიქრობთ, ამგვარი მიდგომა გამოწვეული უნდა იყოს ორი მიზეზით:

- დამსათაურებელი, ავტორი იმარტივებს საქმეს და ყოველგვარი ფიქრის გარეშე, პირდაპირ, მთქმელის ტექსტიდან ამოღებულ ფრაზებს გვაწვდის;
- ფიქრობენ, რომ თანამედროვე საზოგადოებაში უფრო „მუშაობს“ და ყურადღებას იქცევს ამგვარი დასათაურება.

იმის გამოსაკვლევად, თუ რა ტიპის სათაურები იზიდავს საზოგადოებას ჩავატარეთ ანკეტური გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო, გაგვერკვია, რა უნდა ახასიათებდეს სათაურს, რომ ის მკითხველისთვის საინტერესო იყოს და გაუჩნდეს სურვილი ტექსტის წაკითხვისა. გამოკითხვისას გავითვალისწინეთ რესპონდენტის

ასაკი და სქესი. კითხვარი და შედეგები თავისი დიაგრამებით წარმოდგენილია დანართში. აქ მოკლე შეფასებას გავაკეთებთ მხოლოდ. ანკეტაში წარმოდგენილი იყო რვა განსხვავებული ტიპისა და სტრუქტურის სათაური. აპლიკანტს უნდა შემოეხაზა იმ საგაზეთო სტატიის სათაური, რომელსაც წაიკითხავდა და უნდა აეხსნა, რატომ?

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 117-მა აპლიკანტმა განურჩევლად სქესისა და ასაკისა, თუმცა ჩვენ ამ კუთხითაც გვინტერესებდა მათი შეხედულებები, თუ რამდენად განსხვავდებოდა ან დაემთხვეოდა მათი დამოკიდებულება სათაურთან მიმართებით.

გამოსაკითხ მასალად შევარჩიეთ ის მოკლე, ლაკონიური და სხარტი სათაურები, რომლებიც გავრცელებული იყო მე-19, მე-20 საუკუნეებში და რთული და ზერთული წინადადებით გადმოცემული სათაურები, რომლებიც გაბატონდა დღეს. ეს სათაურებია:

1. „ავიაცია“;
2. „სუსტი მხარე“;
3. „ღომი და მშვიდობა“;
4. „ერთად არიან! ერთად არიან!“;
5. „ივანიშვილს რამდენჯერმე შესათავაზეს პრემიერად დაბრუნება, მაგრამ...“;
6. „მათ ოჯახებში რა ტრიალებს ენა ვერ აღწერს... ყველა ერთმანეთის ნათესავი იყო, ერთად წავიდნენ ამ ქვეყნიდან“;
7. „სახალხო დამცველი პარლამენტის თავმჯდომარის იმ განცხადებას ეხმაურება, რომლის მიხედვითაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცა და ამიტომ შეაჩერა „რუსთავი 2“-ის საქმეზე უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება...“;
8. „ეს მახინჯი ნაბ***არი რომ ცემით მოკლა ახლა, გაუფრთხილებლობით უნდა გამასამართლონ?!“.

გამოკითხულთა უმრავლესობამ - 48,7% (57 მონაწილე) აირჩია სათაური - „სუსტი მხარე“, ალუზიური სათაური „ღომი და მშვიდობა“ საინტერესო აღმოჩნდა 14,5% (17 მონაწილე) აპლიკანტისთვის, დაუსრულებელი ეფექტის მქონე სათაურიან

ტექსტს წაიკითხავდა 10,3% (12 მონაწილე), ემოციური შინაარსის შემცველ, ექსპრესიულ, სათაურს ირჩევს 9,4% (11 მონაწილე), 6,8% (8 მონაწილე) ერთსიტყვიან სათაურს „ავიაცია“ ანიჭებს უპირატესობას, 6% (7 მონაწილე) დაინტერესდა ზერთულწინადადებიანი, რეზიუმეს მსგავსი სათაურით, 4,5% (5 მონაწილე) ირჩევს ისეთ სათაურს, რომლის მთავარი წევრი სრულად არის წარმოდგენილი, ხოლო დამოკიდებულის მხოლოდ წევრ-კავშირია მოცემული, 1,7% (2 მონაწილე), სკაბრეზული სიტყვის შემცველ სათაურს უპირატესობა მიანიჭეს 24, 26 წლის მამრობითი სქესის წარმომადგენლებმა. ვფიქრობთ, ეს იმით აიხსნება, რომ ამ ასაკის ახალგაზრდა თაობის ლესიკაში ხშირია უხამსი შინაარსის შემცველი სიტყვები, ამიტომაც ამგვარმა დასათაურებამ მათში ინტერესი გამოიწვია.

სათაურის არჩევის შემდეგ აპლიკანტს უნდა ეპასუხა კითხვაზე, თუ რატომ აირჩია აღნიშნული სათაური. კითხვას 117 აპლიკანტიდან 102-მა გასცა პასუხი. მოკლედ წარმოგიდგენთ პასუხების რამდენიმე ვარიანტს (სრულად იხ. დანართი 1).

1. „სუსტი მხარე“

- საინტერესოა, რის ან ვის სუსტ მხარეზეა საუბარი;
- ყურადღებას იპყრობს;
- მოკლე და საინტერესოა;
- მოკლე და სხარტია;
- პროვოკაციულია;
- სათაური განზოგადებულია, კონკრეტული თემა უცნობია, შესაბამისად მის ირგვლივ მრავალი კითხვა და მოლოდინი ჩნდება;
- ლაკონიურია...

2. „ღომი და მშვიდობა“

- დამაინტრიგებელია;
- საინტერესოა ერთმანეთთან რა კავშირშია;
- ალუზიურია და მისთვის საყვარელ დარგთან, ლიტერატურასთან აკავშირებს;
- მეტაფორულია და ინტერესს იწვევს;
- სატირულ-იუმორისტულის კომბინაციაა;

- არაორდინალურია;

3. „ივანიშვილს რამდენჯერმე შესთავაზეს პრემიერად დაბრუნება, მაგრამ...“

- დაუსრულებელია და ინტერესს იწვევს;
- პოლიტიკურად საინტერესოა;
- დამაინტრიგებელია;
- დღევანდელი აქტუალური თემას ეხება;
- პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოქცეული მასობრივი აუდიტორიის-თვისაა გათვლილი;
- დაუსრულებელია და ამიტომ იწვევს ინტერესს, ცნობისმოყვარეობასაც აქვებს...

4. „მათ ოჯახებში რა ტრიალებს ენა ვერ აღწერს... ყველა ერთმანეთის ნათესავი იყო, ერთადაც წავიდნენ ამ ქვეყნიდან...“

- სათაურში არ წერია მიზეზი და დამაინტერესებელია;
- ცნობისმოყვარეობა;
- ინტრიგაა ჩადებული...

5. „ავიაცია“

- აპოლიტიკურია;
- სფერო აინტერესებს;
- ინფორმაციულია;
- არ ჰგავს ყვითელი პრესის სათაურს...

6. „ერთად არიან! ერთად არიან!“:

- პოზიტიური შინაარსის შემცველია;
- ემოციურია და ინტრიგასაც იწვევს, თუ ვინ არიან ერთად...

7. „სახალხო დამცველი პარლამენტის თავმჯდომარის იმ განცხადებას ეხმაურება, რომლის მიხედვითაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცა და ამიტომ შეაჩერა „რუსთავი 2“-ის საქმეზე უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება“

- სათაურში არ არის ნახსენები, რა გავლენის ქვეშ მოექცა და საინტერესო იქნებოდა ამის გარკვევა ტექსტიდან;
- დღევანდელი აქტუალური თემაზეა საუბარი;
- პროფესიიდან გამომდინარე საინტერესოა...

8. „ეს მახინჯი ნაბჭარი რომ ცემით მოგვკლა ახლა, გაუფრთხილებლობით უნდა გამასამართლონ?!“

- საინტერესოა, ვისზეა საუბარი: ვინ უნდა მოკლან და ვინ უნდა გაასამართლონ?...

გამოკითხვაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ:

- ყველა სახის სათაურს ჰყავს თავისი მკითხველი;
- მოკლე, სხარტი, ლაკონური სათაური დღესაც ხიბლავს ადრესატს, როგორც გასულ საუკუნეებში;
- მოკლე სათაურსაც შეუძლია მკითხველთა დაინტერესება, დაინტრიგება, ყურადღების მიქცევა;
- საზოგადოების დიდი ნაწილს არ ხიბლავს უცენზურო სათაურები;
- ტექსტის წაკითხვა იმაზეცაა დამოკიდებული, თუ სათაურში წარმოდგენილი ინფორმაცია რამდენად წარმოადგენს მკითხველის ინტერესის სფეროს;
- ნაკლებად მიმზიდველია მხოლოდ ინფორმაციის შემცველი სათაური, თუ მასში ინტრიგა, აპელაციურობა არ ჩანს;
- საზოგადოებაც მოდიფიცირებულია, თუ გასულ საუკუნეებში ისეთ სათაურიან ტექსტებსაც კითხულობდნენ, რომელშიც არ იდო ინტრიგა, დღეს პირიქითაა;

- დაუსრულებლობის ეფექტის მქონე სათაურების გავრცელების მიზეზია მეტი ინტრიგის არსებობა, რომელიც ასე ძალიან ხიბლავს დღეს ჩენს საზოგადოებას;
- წინა პლანზეა წამოწეული მარკეტინგული საკითხები. ტექსტს ასათაურებენ ისე, რომ მასში მეტი პროვოკაცია, ინტრიგა, აპელაციურობა (კონატიურობა) იყოს ჩადებული, რათა ის წაკითხვადი, გაყიდვადი იყოს;
- ნაკლებად საინტერესოა ზერთულწინადადებიანი, რეზიუმეს მსგავსი სათაურები. მათი წაკითხვის სურვილი ჩნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის კონკრეტული დროისთვის აქტუალური საკითხს ეხება. ვფიქრობთ, ასეთი სათაურები დიდხანს ვერ გააგრძელებენ ფუნქციონირებას, რადგან ის დროებითია, სოკოსავით პერიოდულად გაჩნდება და ისევ მალევე გაქრება.

მართალია, ზერთული წინადადებით გადმოცემული სათაურების გავრცელება დაიწყო თანამედროვე ეპოქაში, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ დღეს არ გვაქვს მარტივწინადადებიანი სათაურები, როგორც გასულ საუკუნეებში, თუმცა შედარებით ნალებად. ასეთებია:

„იაშვილის ქუჩაზე სახლის სახურავი ჩამოინგრა“;

„ქობულეთში მამაკაცის ცხედარი იპოვეს“;

„მკვლელობა ასპინძაში – ქმარმა ცოლი მოკლა“;

„გლდანში „მაგთის“ ოფისი გამარცხეს“;

„კადროვის უფროსი ქალიშვილი 2 კვირის გაცნობილ მამაკაცს გაყვა ცოლად“;

„კრიშტიანუ რონალდუ სექსუალურ სკანდალში გაეხვა“;

„საზოგადოებრივი მაუწყებელი ახალი საეთერო სეზონისთვის მხატვრული სერიالების სცენარების შესარჩევ კონკურსს აცხადებს“;

„გივი ბერიკაშვილს დღეს დაკრძალავენ“;

„ვახტანგ რჩელიშვილი გარდაიცვალა“;

„მუხრან მაჭავარიანის სახელობის პრემია დაარსდა“;

„9 აპრილს რეგიონული განვითარების საზოგადოების სასტიპენდიო ფონდის ორწლიანი საქმიანობის შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა“;

„ტროტუარზე ქვეითებს მანქანა დაეჯახა“;

„საჩხერის მუნიციპალიტეტი წარმატებულ მუნიციპალიტეტად დასახელდა“;

„გულანთებული ადამიანების ოცნება ახდეს“;

„საქართველოში მიწისძვრა მოხდა“;

„მცხეთის რაიონული პროკურატურის ორგანიზებით იძულებით გადაადგილებული მოსწავლეებისთვის კულტურული ღონისძიება მოეწყო“;

„საჩხერის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლებმა 9 აპრილს დაღუპულთა სახელობის სკვერში მემორიალი ყვავილებით შეამკეს“;

„თბილისის ზოოპარკს აფრიკული პინგვინები შეემატა“;

„ჭიათურაში მუშა დაიღუპა“;

„70 წლის ქალს სამარშრუტო ტაქსი დაეჯახა“;

„შსს-ს არქივმა წიგნი – „9 აპრილი“ გამოსცა“...

გარდა ზემოხსენებული სათაურებისა, გვხვდება **ორაზროვანი, ბუნდოვანი სათაურებიც**. სათაურის ორაზროვნებას, გაბუნდოვანებას იწვევს მისი ტექსტთან მოშორება.

არის სათაურები, რომელსაც მკითხველი შეცდომაში შეჰყავს, ვინაიდან ის ორიენტირებულია პროვოკაციაზე და რაც მთავარია, შემოსავალზე. მაგალითად: „ვისზე გათხოვდა მსახიობი შორენა ბეგაშვილი?“ (სინამდვილეში არავისზეც არ გათხოვდა, ერთ-ერთ ფილმში გათხოვილი ქალის როლი ითამაშა და ამამბავს აღწერს). „*ერეკლე დეისაძემ თავი მოიკლა!*“ (სათაური მეტაფორულია. სინამდვილეში არ მოუკლავს თავი). ვფიქრობთ, თუ სათაურს არ ექნება კავშირი ტექსტთან, მკითხველი მოტყუვდება ერთხელ, დაკარგავს ნდობას და მეორედ ამას უკვე აღარ დაუშვებს. უმბერტო ეკო წერდა: „სათაურმა არ უნდა შეიყვანოს შეცდომაში მკითხველი/ მსმენელი/ მაცურებელი, ვინაიდან პირველი შთაბეჭდილება ძალიან მნიშვნელოვანია. ...სჯობს, მწერალი უმაღვე გარდაიცვალოს, როგორც კი ბოლო გვერდს დაწერს, რათა ნაწერი უსათაუროდ მივიდეს მკითხველამდე...“ (ბარბაქაძე, 2011:147).

ზოგჯერ ავტორს ძალიან იტაცებს სარეკლამო ფუნქცია და სათაურის ორაზროვანი ბუნების გამო ტექსტი შორდება სათაურს. დავიმოწმებთ პროფესორ მერი ცინცაძის მიერ მოპოვებულ მასალას პრესიდან: „*ცოლისა და ქალიშვილის გაუპატიურების შემდეგ ეგოროვმა თავი მოიკლა*“ (მკითხველი იფიქრებს ეგოროვმა ჩაიდინა ეს საშინელება, ტექსტში კი სხვა რამე წერია: ეგოროვის ოჯახს მძარცველები დაესხნენ თავს და...), „*აჭარის ხელისუფალთა შავი მანქანებით გატაცება*“ (იფიქრებ მოიტაცეს ხელისუფალნი, მაგრამ თურმე მოხიბლულან შავი მანქანებით), „*ახალი ბალები ქედაში*“ (ხეხილის ბალები კი არ გაუშენებიათ, საბავშვო ბაღი გაუხსნიათ) (ცინცაძე, 2013:19). მიგვაჩნია, რომ ასეთი სახის სათაურებში მიზანი თავიდანვეა გათვლილი, რათა წაკითხვის ინტერესი აღძრას მკითხველში, თუმცა ესეც მკითხველთა ნაწილში იმედგაცრუებას გამოიწვევს და დააკარგვინებს ნდობას.

ხშირად პირიქით ხდება, სათაურისგან ვიღებთ არა ბუნდოვან, არამედ ნათელ და ამომწურავ ინფორმაციას. სათაურის აღქმა და გაგება რთული პროცესია, რომელიც გულისხმობს მკითხველის ადრინდელი ცოდნის, სამყაროს შესახებ მისი აზრისა და სათაურში ავტორის მიერ გადმოცემული სიახლის მიმართებას. ხშირად ეს მიმართება იმდენად ამომწურავად არის ჩადებული სათაურში, რომ სათაურიდანვე ღებულობ სასურველ ინფორმაციას და ტექსტისადმი წაკითხვის ინტერესს კარგავ. მაგ.: „*აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით, 15 აპრილს მეტროს მუშაობა 00:00 საათიდან 16 აპრილის 04:00 საათამდე გახანგრძლივდება*“, „*რა ცვლილებებია კომედი ჯგუფში – ვარდოსანიძეს ბიჭიკაშვილი ჩაანაცვლებს*“ (ცვლილებების შესახებ სათაურშივე გვამცნეს), „*იბერიას*“ ინფორმაციით, გივი ბერიკაშვილი რეანიმაციაში მოათავსეს, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა (კითხვაზე: როგორ არის მსახიობი? - აქვე გვაქვს პასუხი)...

ამრიგად, ფაქტი ისაა, რომ ზერთულწინადადებიანი, ორაზროვანი, უცენზურო სათაურები იწყებს ფეხის მოკიდებას დღეს, 21-ე საუკუნეში, და ამის მიზეზად ჩვენ დროის ფაქტორსა და კონკურენციას ვთვლით, თუმცა ჩვენი შეხედულება, დასკვნა რომ არ ყოფილიყო სუბიექტური, გადავწყვიტეთ, ინტერვიუ აგველო კომპეტენტური პირის, გაზეთ „ბათუმელების“ ჟურნალისტის, ნანა კვაჭაძისგან, ვისაც ტექსტის დასათაურებასთან აქვს უშუალო კავშირი (ინტერვიუ ვრცლად იხილეთ დანართი 2).

გაზეთ „ბათუმელების“ ჟურნალისტის, ნანა კვაჭაძის, მოსაზრებებზე დაყრდნობით ვრცელი სათაურის გავრცელების ექსტრალინგვისტური ფაქტორია სათაურისთვის უფრო მეტი ინფორმაციულობის მინიჭება, რაც დღეისათვის მკითხველს დააინტერესებს, ხოლო უცენზურო სათაურების გავრცელების რამდენიმე მიზეზს გვისახელებს: ა) რეალური სურათის ასახვა; ბ) ყურადღების იოლად მიქცევა; გ) გახშირებული უცენზურო ლექსიკა, რაც მედიაში აისახება.

3.4.1. სხვადასხვა მოდალობის სათაური თანამედროვე პერიოდის ქართულენოვან პრესაში

თანამედროვე პრესაში ხშირია კითხვითი შინაარსის შემცველი სათაურები, რომელიც არ გვხვებოდა მე-19 საუკუნეში და იშვიათი იყო მე-20 საუკუნის პრესისთვის. „ვინ არის ოთო აბესაძის ულამაზესი რჩეული?“, „რა უნდა ვუყოთ ასეთ ჯიუტ და ცუდადმომუშავე მთავრობას?“, „რას და რატომ ქსოვს მარგველაშვილი?“, „რომელი მინისტრები დაესწრებიან პრეზიდენტის გამოსვლას?“, „აჯობებენ თუ არა ევროპარლამენტარებს საქართველოს პარლამენტარები?“, „რას ჰყვებიან თვითმხილველები გარდაცვლილი მუმის შესახებ?“, „რატომ გაურბიან საქმის ერთად გამოძიებას?“, „როგორ მოჰკლეს ზელიმ-ხანი?“, „როგორ ვუწამლოთ?... დღეს მოდიფიცირება განიცადა იმ მხრივ, რომ ერთ სათაურში რამდენიმე კითხვითი წინადადებაა ერთად გამოყენებული, ალბათ, მეტი ექსპრესიის მიზნით: „გაჭირვებაში სულს გვხდიან! კონცერტები ვჭამოთ?! თუ ასფალტი? თუ ანაკლიის პორტი? თუ ჩინური კაპიტალი“; იგეგმება თუ არა სამარშრუტო ტაქსიში მგზავრობის ტარიფის ცვლილება? - რას ამბობენ „თბილისის მიკროავტობუსში“? ვინი საერთოდ გამოგელიათ? ვის უდგამთ ძეგლს არ უნდა იცოდეთ? „რატომ არ უნდა მქონოდა კარგი ურთიერთობა სოფიკოსთან? კოტე რომ უყვარდა?“ - მედეა ჩახავა სცენასა და ეკრანზე... და მათ მიღმა (გაზ., „კვირის პალიტრა“, 07 თებერვალი); „მართლა მეთოფიშვილმა დაწერა ეს სია? კარგით რა, ჩვენ ხომ პატარა ბავშვები არ ვართ. ბრიყვები ვგონივართ?“ (გაზ., „კვირის პალიტრა“, 15 იანვარი)...

გარდა კითხვითი წინადადებებისა, გვხდება კითხვით-მახილის წინადადებებიც, რომლებიც აგებულებით მარტივია: *კარტელური გარიგება?!“; „ხაზარაძე ფრთხილად იყოს?!...“ - პოლიტიკური სანქცია თუ საექვო ტრანზაქცია?!“; „როდის მოხდება ქართული ეკონომიკური სასწაული?!“; „შავი სიიდან“ მოვალეები კერძო მევახშეთა კლანჭებში გადაინაცვლებენ?!“; „ვინ დააღწევს თავს ვალის ორმოს?!“; ვინ მდიდრდება ლარის კურსით?!“; „ვინ ითბობს ხელს ლარის გაუფასურებით?! უნებართვო მშენებლობები მერიას ორ წელიწადს „ეპარებოდა“?!“; „მაბრალევენ, ვითომ ჩემს უკან ფარცხალაძე, მამცაშვილი დგანან...“ - ვინ ცდილობს პურის ბაზრის კონტროლს?!“; „ავტომობილების „ბოლვაც“ ლეგალიზებულია?!“; „სირიაში როგორი ომისთვის მოემზადა რუსეთი?!“; „რატომ არ ვასმევთ „ნატოს“ „ბორჯომს“ ავღანეთში?!“ ...*

გვხდება ისეთი კითხვითი მოდალობის სათაურები, რომლის ერთ ნაწილში ჟურნალისტი მთქმელის ვინაობას გვაცნობს ან ჟურნალისტის მხრიდან შემფასებლურია, ხოლო მეორეში რესპოდენტის სიტყვებს: *„ქიბარ ხალვაში „რუსთავი 2“-ზე: „ძალად ხომ ვერ დავიპყრობ იქაურობას?“; „21-ე საუკუნის ყველაზე ტრაგიკული ომი გრძელდება - რა ხდება სირიაში?; „ქართველი ექიმისა და ვანგას შეხვედრის საიდუმლო დეტალები - რას იხსენებს გია სულაქველიძე?; „დაგვცინით მინისტრო? ბნელა?... თუ არ ვლაპარაკობდით აქამდე, სულელად ნურავინ ჩავვთვლის“; „როგორ ცხოვრობს მოსახლეობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე? – გარდაცვლილი ახალშობილები, ინფექციური დაავადებები, ნარკომანიის, ტოქსიკომანიის და სუიციდის მაღალი მაჩვენებელი“; „ავირჩევთ თუ არა პრეზიდენტს არაპირდაპირი წესით 2018 წელს? – ირაკლი კობახიძე არაფერს გამორიცხავს“ ...*

იშვიათია ისეთი სათაურები, სადაც კითხვასთან ერთად პასუხიც სათაურშივეა მოცემული: *„რედისონის“ ფოიეში წვიმს? – „რეკონსტრუქცია მიმდინარეობს“ ...*

ამრიგად, ტექსტის სახელდება ძალზე მნიშვნელოვანი პროცესია. სათაურმა მკითხველი უნდა მიიყვანოს ტექსტამდე, თანამედროვე ქართულენოვან პრესაში გვხდება ისეთი სათაურები, რომლებიც არ ახასიათებდა მე-19, მე-20 საუკუნეების ტექსტებს. პუბლიცისტურ ტექსტებში, კონკრეტულად მასმედიაში, სათაურს ახალი

ფუნქციები ემატება, ესაა: რეკლამა, ზემოქმედების მოხდენა და დაინტრიგება, რადგან ის ორიენტირებულია გაყიდვაზე. აგრეთვე, ვამჩნევთ ახალ ტენდენციას - ლაკონიურ სათაურებს ჩაენაცვალა რთული კონსტრუქციის მქონე ფრაზული სათაურები, რომელებიც თავიანთი ამომწურავი მახასიათებლით გვაშორებს ტექსტს.

3.5. სათაურთა ტიპოლოგია

მე-19, მე-20 და თანამედროვე პუბლიცისტური ტექსტების სათაურებმა დროთა განმავლობაში განიცადა სტრუქტურული და ფუნქციური მოდიფიცირება. ეს ბუნებრივია, რადგან, ენა ცოცხალი ორგანიზმია და მასში მუდამ მიმდინარეობს ცვლილებები, გადახალისება, რაც იწვევს ენის სტრუქტურის მოდიფიცირებას. ჩვენ მიერ მოპოვებული ემპირიული მასალიდან გამომდინარე მე-19, მე-20 საუკუნის პუბლიცისტური ტექსტების სათაურები უფრო მეტად არიან ახლოს და აქვთ მეტი საერთო, ხოლო 21-ე საუკუნეში ბევრ სიახლეს იძენს ორივე მიმართულებით (სტრუქტურული და ფუნქციური). მოცემული სამი საუკუნის მოდიფიცირებული სათაურების მახასიათებლებისა და ფუნქციების უკეთესად დანახვაში დაგვეხმარება შემდეგი ცხრილები:

XIX საუკუნის პუბლიცისტური ტექსტის სათაურთა ტიპები და მახასიათებლები	
სათაურთა ტიპები	სათაურთა მახასიათებლები
თხრობითწინადადებიანი სათაურები;	ინფორმაციულობა; ლაკონიურობა; ტექსტთან ბმული.
მარტივი სახელდებითი წინადადება;	
„სიმბოლოებიანი სათაურები“	
მსაზღვრელ-საზღვრულიანი სათაურები.	

XX საუკუნის პუბლიცისტური ტექსტის სათაურთა ტიპები და მახასიათებლები	
სათაურთა ტიპები	სათაურთა მახასიათებლები
პრედიკატიანი წინადადება;	ინფორმაციულობა; ლაკონიურობა; ტექსტთან ბმულობა; ინტერესის აღძვრა.
მარტივი სახელდებითი წინადადება;	
უსრულ წინადადებათა სათაურები;	
მსაზღვრელ-საზღვრულიანი სათაურები;	
და' კავშირით შეერთებული ერთგვარწევრებიანი სათაურები;	
პიროვნების მახასიათებელი ნომინატიურ კონსტრუქციანი სათაურები;	
გამო', შორის', შესახებ', მიმართ, თანდებულიანი სათაურები;	
სუბსტანტიურ და ატრიბუტულ მსაზღვრელ-საზღვრულიანი სათაურები;	
კითხვითწინადადებათა სათაურები;	
რიცხვითსახელიანი სათაურები.	

XXI საუკუნის პუბლიცისტური ტექსტის სათაურთა ტიპები და მახასიათებლები	
სათაურთა ტიპები	სათაურთა მახასიათებლები
დაუსრულებელი ქმედებისა და მოვლენის ეფექტის მქონე სათაურები	ინფორმაციულობა; ტექსტთან ბმულობა; დამაინტერესებლობა;
მარტივი, შერწყმული და რთული წინადადებით გადმოცემული უცენზურო სათაურები	
რიცხვითსახელიანი სათაურები	
წართქმითი და უკუთქმითი ბრძანებითი წინადადებით გადმოცემული	

ექსპრესიული სათაურები	დაინტრიგება; აპელაციურობა, ზემოქმედების მოხდენა; რეკლამის გაკეთება.
მარტივი წინადადებებით გადმოცემული ალუზიური სათაურები	
ზერთული წინადადებით გადმოცემული რეზიუმე სათაურები	
ორაზროვანი, ბუნდოვანი სათაურები	
სხვადასხვა მოდალობის სათაურები	

ჩვენ მიერ შედგენილ ცხრილში, რომელიც ემპირიულ მასალას ეყრდნობა, ჩანს, თუ რა სახის მოდიფიცირება განიცადა პუბლიცისტური ტექსტების სათაურებმა როგორც სტრუქტურის, ასევე ფუნქციის მიხედვით, ყოველივე ამას კი განაპირობებს ღირებულებათა, მიზნის მიღწევის, ენობრივი ცვლილებები, რომლებიც შესამჩნევია ყველა ახალ ეპოქაში. აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად ამგვარი ცვლილებებისა, ტექსტის მთავარი ნიშნის, სათაურის, დანიშნულება უცვლელია და ტექსტთან დაკავშირების გზას წარმოადგენს პირდაპირ და ზოგჯერ ირიბადაც, მეტაფორის, ალუზიისა თუ იმპლიციტურობის გამოყენებით.

3.6. სინტაქსურად მოდიფიცირებული სათაურის ფუნქციონირება მედიადისკურსში

ტერმინ „დისკურსის“ შესახებ არაერთი მოსაზრება არსებობს, ჩვენ ამის გარკვევას არ შევუდგებით, მხოლოდ რამდენიმე შეხედულებას განვიხილავთ და გადავალთ მოდიფიცირებული სათაურის ფუნქციონირების საკითხზე მედიადისკურსში. სალომე ომიაძე თავის ნაშრომში შემდეგნაირად განმარტავს დისკურსს: „ლათ. *discursus* ნიშნავს აქეთ-იქით სირ-ბილს, საუბარს, ლაპარაკს, ფრანგ. *discours* - მეტყველებას. იქვე აღნიშნავს, რომ: „თვით სიტყვის განსხვავებულ მნიშვნელობათაგან ერთ-ერთის აღება საორიენტაციოდ, ჩვენი აზრით, ხდებოდა

საფუძველი ცნების არაერთმნიშვნელოვანი ტერმინოლოგიზაციისათვის“ (ომიაძე, 2006:19). ომიძე დისკურსს განიხილავს ფართო გაგებით და ამბობს: „დისკურსი არის ყველაფერი, რაც ითქმება და იწერება, ანუ როგორც სამეტყველო ქმედება, რომელიც იმავე დროს წარმოადგენს ენობრივ მასალასაც ბგერითი თუ გრაფიკული გამოხატვით. ტექსტი კი (ვიწრო მნიშვნელობით) გაგებულია, როგორც წერის საშუალებით ფიქსირებული მასალა. (ომიაძე, 2009 : 75).

დისკურსის ანალიზი, როგორც ლინგვისტური მიმდინარეობა, ჩამოყალიბდა 60-იანი წლების ბოლოდან, მის მთავარ ობიექტს წარმოადგენდა დისკურსი. ქართველი მეცნიერი მ. დობტურიშვილი აღნიშნავს, რომ დისკურსის კვლევის სირთულეს განაპირობებს ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომ ჰუმანიტარული კვლევის ისტორიაში პირველად შესწავლის საგანი ხდება ამა თუ იმ საზოგადოების მიერ შექმნილ გამონათქვამთა ერთიანობა, რაც ფუნქციურ სტილთა და ჟანრთა მრავალფეროვნებითაა წარმოდგენილი (დობტურიშვილი, 2004: 33).

ბენვენისტის აზრით: „დისკურსი არის ენა, რომელსაც ინტერსუბიექტურობის პირობებში იყენებს მეტყველი პირი „(Benveniste 1966 : 17).

დისკურსს აიგივებენ ტექსტთან, აზრთან, მეტყველებასთან, რადგან ის მეტყველების თანმხლებ არავერბალურ (მიმიკა, ჟესტი, ფონაცია) ელემენტებსაც შეიცავს. აგრეთვე, აიგივებენ ინტუიციასთან, გამონათქვამთან და ა.შ.

გასული საუკუნის 70-იან წლებამდე „დისკურსი“ და „ტექსტი“ ევროპულ ლინგვისტიკაში პარალელურად იხმარებოდა, დღეს დაიწყეს მათი დიფერენცირება სხვადასხვა მიზეზის გამო. ასე თუ ისე, ტექსტი და დისკურსი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და განვიხილავთ მოდიფიცირებული სათაურის ფუნქციონირებას მედიატექსტებში.

არსებობს სოციო-კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური და ა.შ., დისკურსები და მათ შორისაა „მედიის დისკურსი“ // „მედია-დისკურსი“, რომელიც ასახავს ენისა და სხვა სემიოტიკური კოდების ფორმას, სტრუქტურასა და გამოყენებას მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მიერ (ლადარია, 2002:82).

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ არსებობდა მარტივი პრედიკატიანი თუ სახელდებითი წინადადებებით წარმოდგენილი სათაურები და ის დამახასიათებელი იყო ადრეული

პერიოდისათვის. აგრეთვე, ერთსიტყვიანი, მსაზღვრელ-საზღვრულიანი (დღეს უიშვიათესია) და ადამიანის სახელ-გვარით წარმოდგენილ სათაურები, რომელთა მიზანი იყო ტექსტთან მიყვანა. ამგვარი სათაურები არ შეიცავდა ორაზროვან, ბუნდოვან გაგებას, რომელიც დღეს მკითხველის მოზიდვისა და დაინტერესებისთვისაა გამოყენებული. განსხვავებით დღევანდელისაგან, ის არ იწვევდა მკითხველის გაღიზიანებას, რადგან ტექსტის მეშვეობით აუცილებლად მიიღებდა იმ ინფორმაციას, რომლის „გზა“ სათაურმა მისცა. მაგალითად, დღეს შეგვხვდება ასეთი სათაური: „მსოფლიოს ყველაზე შესაფერისი წყვილი“, დაგაინტერესებს მკითხველს, თუ ამასთან დაკავშირებით რა ინფორმაციაა მოცემული ტექსტში, დაიწყებ კითხვას და აღმოაჩენ, რომ რასაც ელოდებოდი, ვერ მიიღებ, რადგან შესაფერისი კი არადა სიმაღლით შეუფერებელ წყვილზეა საუბარი, სადაც ქალბატონის სიმაღლე მეტრა-ნახევარია და მამაკაცისა - 2 მ. მართალია, ამგვარ სათაურებს ჯერ ფეხი კარგად არ აქვს მოკიდებული, მაგრამ ტენდენცია მათი გავრცელებისკენ მიდის. ან კიდევ, სათაურად გამოტანილია ასეთი რამ: „ჩემსა და ირინას შორის რომანია“ (თან ფოტო ახლავს ცნობილი პიროვნებისა), დაინტერესდები მკითხველი და რას აღმოაჩენ? რომანი არა როგორც სასიყვარულო ურთიერთობა, არამედ პიროვნება, პოლიტიკოსი „რომან გოცირიძე“. ან: „ლია ლიქოკელი: ქმარი მყავს, ზოგჯერ მცემს კიდევ, მაგრამ სიყვარულით მოსდის და სხვებისგან განსხვავებით, არასოდეს მიმატოვებს“, ამ სათაურს დიდი გამოხმაურება მოჰყვა, სანამ ტექსტს წაიკითხავდნენ. „საზოგადოება“ ორ ნაწილად გაიყო: ერთნი, მიიჩვედნენ, რომ ეს შეშლილი გოგოა, როგორ შეიძლება ქმარმა გცემოს და ეს აიტანო, მეორე, პირიქით ქმრის ერთგულია, ოჯახს არ ანგრევს და ეს დასაფასებელია. და მესამე? რა ხდება სინამდვილეში და რა იმალება ამ სათაურის მიღმა? თურმე ამ გოგონას ქმარში უგულისხნია ფიქრები და პოეზია, რომელიც ტანჯავს ზოგჯერ, არასოდეს მიატოვებს და ბედნიერია ამით. დღეს ამგვარ სათაურებს „ფეიქსათაურებს“ ანუ ყალბ, მატყუარა სათაურებს უწოდებენ. Fake-ინგლისურად გაყალბებას, ფალსიფიცირებას, მოტყუებასა და თაღლითობას ნიშნავს. ვფიქრობთ, ამგვარი „სათაურებით თამაში“ მკითხველს კი არ გაუმრავლებთ, არამედ შეუმცირებთ, რადგან მათში იმედგაცრუებასა და უნდობლობას გამოიწვევს. დღეს

აქტიურად ფუნქციონირებს და მედიის მიდრეკილებაც იქითაა, რომ იყენებდნენ რეზიუმეს მსგავს სათაურებს: „გრიპი გადაივლის დათბობასთან ერთად, მომავალ ზამთრამდე ყველა დაივიწყებს. წითელასაც ეშველება, კარგად მიდის აცრები, მაგრამ ფსიქიკური მდგომარეობა, როგორც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შემადგენელი, მაწუხებს ძალიან. ბანაობას კრძალავენ, ვაქცინებით კლავენო, ლაბორატორიაში ანალიზებს კი არ აკეთებენო? ვირუსებს უშვებენო? რა გვეშველება?"; ვინ შეცვლის ნიკა გვარამიას?! – „სრული ბოდვაა...“ „პრაიმტიმმა“ გავრცელებული ინფორმაციის გადამოწმება ორივე მათგანთან სცადა. არაერთი მცდელობის მიუხედავად, ზაალ უდუმაშვილთან დაკავშირება ვერ მოხერხდა. ნანუკა ჟორჟოლიანი კი გენერალური დირექტორის თანამდებობაზე მის შესაძლო დანიშვნას გამორიცხავს“ -ასეთ შემთხვევაში სათაური მკითხველს კი არ იახლოვებს, პირიქით, ძალიან აშორებს ან სათურიდანვე აძლევს ინფორმაციას.

მკითხველის ყურადღებას იპყრობს დაუსრულებელი ეფექტის მქონე, ალუზიური, ექსპრესიული სათაურები, რომლებშიც ინტრიგაა ჩადებული.

დღესდღეობით გავრცელებულია და ფუნქციონირებს სინტაქსურად ისეთი რთული და ზერთული კონსტრუქციის სათაურები, რომლებშიც ტექსტის ავტორიც ვიცით და მომხდარ მოქმედებასა თუ მოვლენასაც, ძირითად სათქმელს, სათაურიდანვე ვიგებთ: „ნანი ბრეგვაძე: „ჯუნგლებში ვართ, არავის უყვარს ეს ქვეყანა, ნამდვილი საგიჟეთია“; სამწუხაროდ, მრავლადაა უცენზურო სათაურებიც, რომელთა რიცხვი უფრო და უფრო იმატებს. ვფიქრობთ, ამგვარი სათაურებიც მკითხველის გაღიზიანებას გამოიწვევს.

ამრიგად, ისეთი სინტაქსურად თუ ფუნქციურად მოდიფიცირებული სათაურები ვრცელდება დღეს, რომ შეიძლება მალე ამას მოდიფიკაცია ვეღარ ვუწოდოთ, რადგან ძალიან შორდება ადრეულ სათაურებს ფუნქციით, სტრუქტურულად და თავისებურ სახეს იძენს.

დასკვნითი დებულებები

ამრიგად, სათაურის სინტაქსურმა მოდიფიკაციამ პუბლიცისტურ ტექსტებში და მათმა ანალიზმა მოგვცა საშუალება, გაგვეკეთებინა საგულისხმო დასკვნები. კერძოდ:

1. ტექსტის დეფინიციის მრავალგვარი სახეობა არსებობს, თუმცა ლინგვისტური თვალსაზრისით, ვფიქრობთ, აუცილებელია ტექსტის განმარტებისას ტექსტური კატეგორიების ხსენება;
2. ტექსტურ კატეგორიებად მეცნიერები სხვადასხვა ელემენტს ასახელებენ, მაგრამ უნივერსალურად ითვლება კოჰეზია და კოჰერენტულობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ტექსტის შინაარსობრივ და სტრუქტურულ ერთიანობას. ვფიქრობთ, რომ ტექსტური კატეგორიების გამოყოფის დროს აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული სტრუქტურული, შინაარსობრივი და ფუნქციური მხარე. თუ სტრუქტურულად მოწესრიგებულია წინადადება და დაცულია კოჰეზია და კოჰერენტულობა (რადგან მეცნიერები ორივე მხარეს მიაკუთვნებენ მას), თუ გასაგებია ტექსტის შინაარსი და დაცულია კოჰერენტულობა, მაშინ ის ყველა შემთხვევაში შეასრულებს თავის ფუნქციას, ანუ კომუნიკაციის საშუალება გახდება, რადგანაც კოჰეზია და კოჰერენტულობა ტექსტის თვისებებადაც აღიქმება.
3. ტექსტის კატეგორიები და თვისებები ახორციელებენ საქმის რეალური მდგომარეობის წარმოდგენის შესაძლებლობებს და აუცილებლად განაპირობებენ ტექსტის ფუნქციონირებას.
4. მასმედიის ტექსტების შექმნისას უნდა იქნას გათვალისწინებული ადრესანტის ფაქტორი, რადგან ზუსტად ის მოქმედებს ტექსტის სტრუქტურაზე და ტექსტი მიმართულია შეასრულოს მასმედიის უმთავრესი ფუნქცია - ინფორმირება და ზემოქმედება. პუბლიცისტური ტექსტების კითხვა იწყება სათაურის აღქმითა და გაანალიზებით, რომელსაც შეჰყავს მკითხველი ტექსტის სამყაროში.
5. სათაური ტექსტია თუ ტექსტის კომპონენტი? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა გავითვალისწინოთ სტრუქტურული და ფუნქციური მხარე.

სტრუქტურული თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, სათაური ვერ იქნება ტექსტი, რადგან ნებისმიერი ენობრივი წარმონაქმნი ტექსტად რომ ჩაითვალოს, მას უნდა ჰქონდეს ყველა ტექსტური კატეგორია და ტექსტობრივი თვისებები. სათაური ტექსტის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი უფრო არის, ვიდრე ტექსტი. ფუნქციური თვალსაზრისით კი სათაური შეიძლება ტექსტად ჩაითვალოს, რადგან იგი კომუნიკაციის როლს ასრულებს, იძლევა პროგნოზის საშუალებას.

6. სათაური უნდა იყოს ტექსტთან მიმყვანი, დამაინტერესებელი, არ უნდა დააკნინოს ტექსტის შინაარსი და მნიშვნელობა, არც უნდა აღემატებოდეს ტექსტს, რათა მკითხველს მოლოდინი არ გაუცრუოს. მნიშვნელოვანია ინფორმაციის ბალანსის არსებობა სათაურსა და ტექსტს შორის.
7. სათაურის ძირითადი დანიშნულება მკითხველის ყურადღების მიპყრობა, დაინტერესებაა. მეორე მხრივ, სათაურმა მოკლედ უნდა გადმოსცეს სტატიის შინაარსი ან გამოყოს ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტები, და მესამე, სათაურმა უნდა დაარწმუნოს მკითხველი და სტატიის ძირითადი იდეა შთააგონოს მას.
8. გამოვყავით პუბლიცისტური სათაურის თავისებურებები. ის უნდა იყოს:
 - ❖ **გზამკვლევი** (ტექსტთან ბმული უნდა იყოს და ტექსტამდე უნდა მიიყვანოს მკითხველი);
 - ❖ **სიცხადე** (არ უნდა იყოს ბუნდოვანი, რათა მკითხველის იმედგაცრუება არ გამოიწვიოს);
 - ❖ **ანალიტიკური** (რეალობას უნდა ეფუძნებოდეს);
 - ❖ **ექსპლიციტური** (პირდაპირ უნდა ანიშნებდეს ტექსტზე);
 - ❖ **დროებით აქტუალური** (გარკვეული პერიოდისათვის აქტუალური თემის გამომხატველი);
 - ❖ **მუდმივად აქტუალური** (ყველა ეპოქისთვის დამახასიათებელი საკითხის გამომხატველი).
9. გამოვყავით პუბლიცისტური სათაურების შემდეგი ფუნქციები:
 - **ინფორმაციული ფუნქცია;**
 - **დამაინტერესებელი ფუნქცია** (კონკრეტული ფონის აქტუალურ თემაზე უნდა იყოს მორგებული);

- რეკლამის ფუნქცია (ზეგავლენის მოხდენისა და მკითხველთა მოზიდვის მიზნით აკეთებს აფიშირებულ სათაურებს);
 - დამაინტრიგებელი ფუნქცია.
10. პუბლიცისტური ტექსტის სათაური ასრულებს სხვადასხვა ფუნქციასა და გარკვეულ კომუნიკაციურ ამოცანებს, ის აზრობრივად შეიცავს მითითებებს სხვადასხვა მოვლენაზე (ან კომპონენტიაზე). თუკი სათაურის შინაარსი - არის ნომინაციური (წარმოდგენა) მოვლენა, მაშინ მისი ფორმალური ორგანიზაცია - არის მოვლენის გარდაქმნა ადამიანის (ავტორის) გონებაში. გაზეთის სათაური არის ტექსტის ერთეული, რომელშიც აისახება არსებული სურათი და იქცევა კომუნიკაციის ერთეულად, მისი კომუნიკაციის ერთეულად ქცევა კი უზრუნველყოფს სათაურის დამოუკიდებელ ერთეულად არსებობას.
 11. დროთა განმავლობაში ნებისმიერი პროცესი თუ მოვლენა განიცდის მოდიფიცირებას, ინფორმაციულად, ფუნქციურად, სტრუქტურულად და ა.შ. ყველა ეს ისტორიული, სოციალური თუ კულტურული ცვლილება ფიქსირდება ენაში და საკვლევი ობიექტის აქტუალურობას არ კარგავს.
 12. მე-19, მე-20, 21-ე საუკუნეების პუბლიცისტური ტექსტების სათაურთა სინქრონიული და დიაქრონიული შედარების შედეგად **სინტაქსური მოდიფიკაციის შემდეგი მიზეზი გამოვავლინეთ:**
 - ა) ენის ცვლა;
 - ბ) ეპოქალური ცვლილებები;
 - გ) ღირებულებათა ცვლა;
 - დ) მიზნისა და მისი მიღწევის გზების ცვლა;
 - ე) არსებული ისტორიულ - სოციალურ - კულტურული ფონი.
 13. ემპირიული მასალის საფუძველზე, გამოვავლინეთ მე-19 საუკუნის ქართულენოვანი პრესის სათაურთა შემდეგი მახასიათებლები:
 - ✓ ინფორმაციულობა (სათაურში მოკლედ და ოსტატურადაა ჩადებული ის ინფორმაცია, რომლის შესახებაც ტექსტში იქნება საუბარი);
 - ✓ ლაკონიურობა (ყველა სათაური მოკლე, სხარტი, მარტივი წინადადებითაა გადმოცემული და ადვილია აღსაქმელად);

- ✓ ტექსტთან ბმულობა (სათაურით გადმოცემული ინფორმაცია პირდაპირკავშირშია მისივე ტექსტთან და მასთან მიყვანის გზას წარმოადგენს).

მე-19 საუკუნის პუბლიცისტურ ტექსტთა სათაურების შემდეგი ტიპები:

- თხრობითწინადადებიანი სათაურები;
- მარტივი სახელდებითწინადადებიანი სათაურები;
- ნულოვანი სათაურები;
- მსაზღვრელ-საზღვრულიანი სათაურები.

14. გამოვავლინეთ მე-20 საუკუნის ქართულენოვანი პრესის სათაურთა შემდეგი მახასიათებლები:

- ✓ ინფორმაციულობა;
- ✓ ლაკონიურობა;
- ✓ ტექსტთან ბმულობა;
- ✓ დამაინტერესებულობა;

მე-20 საუკუნის პუბლიცისტურ ტექსტთა სათაურების შემდეგი ტიპები:

- პრედიკატიანი წინადადება;
- მარტივი სახელდებითი წინადადება;
- უსრულ წინადადებათა სათაურები;
- მსაზღვრელ-საზღვრულიანი სათაურები;
- და' კავშირით შეერთებული ერთგვარწევრებიანი სათაურები;
- გამო', შორის', შესახებ', მიმართ, თანდებულიანი სათაურები;
- სუბსტანტიურ და ატრიბუტულ მსაზღვრელ-საზღვრულიანი სათაურები;
- კითხვითწინადადებიანი სათაურები;
- რიცხვითსახელიანი სათაურები.

15. ჩვენ მიერ მოპოვებული ემპირიული მასალის საფუძველზე გამოვავლინეთ თანამედროვე ქართულენოვანი პრესის სათაურთა შემდეგი მახასიათებლები:

- ✓ ინფორმაციულობა;
- ✓ ტექსტთან ბმულობა;
- ✓ დამაინტერესებლობა;
- ✓ დაინტრიგება;
- ✓ ზემოქმედების მოხდენა;
- ✓ რეკლამის გაკეთება.

21-ე საუკუნის ქართულენოვანი პრესის სათაურთა შემდეგი ტიპები:

- დაუსრულებელი ქმედებისა და მოვლენის ეფექტის მქონე სათაურები;
- უცენზურო სათაურები;
- რიცხვითსახელიანი სათაურები;
- ექსპრესიული სათაურები;
- ალუზიური სათაურები;
- ორაზროვანი, ბუნდოვანი სათაურები;
- სხვადასხვა მოდალობის სათაურები.

ამრიგად, ჩვენი მიზანი იყო სინტაქსური მოდიფიკაციის კვლევა, რაშიც დაგვეხმარა ემპირიული მასალის სინქრონიულ და დიაქრონიულ ჭრილში განხილვა.

16. გამოკითხვის მეთოდზე დაყრდნობით გამოვიტანეთ შემდეგი დასკვნები:

- ყველა სახის სათაურს ჰყავს თავისი მკითხველი;
- მოკლე, სხარტი, ლაკონიური სათაური დღესაც ხიბლავს ადრესატს ისე, როგორც მე-19 და მე-20 საუკუნეებში;
- მოკლე სათაურსაც შეუძლია მკითხველთა დაინტერესება, დაინტრიგება, ყურადღების მიქცევა;
- საზოგადოების დიდ ნაწილს არ ხიბლავს უცენზურო სათაურები;
- ტექსტის წაკითხვა იმაზეცაა დამოკიდებული, სათაურში წარმოდგენილი ინფორმაცია მკითხველის ინტერესის სფეროს რამდენად წარმოადგენს;

- ნაკლებად მიმზიდველია მხოლოდ ინფორმაციის შემცველი სათაური, თუ მასში გამოწვევა, აპელაციურობა არ ჩანს;
- საზოგადოებაც შესაბამისად მოდიფიცირებულია, შეიცვალა, თუ გასულ საუკუნეებში ისეთ სათაურიან ტექსტებსაც კითხულობდნენ, რომელშიც არ იდო ინტრიგა, დღეს პირიქითაა;
- დაუსრულებლობის ეფექტის მქონე სათაურების გავრცელების მიზეზია მეტი ინტრიგის არსებობა, რომელიც ასე ძალიან ხიზლავს დღეს ჩენს საზოგადოებას;
- წინა პლანზეა წამოწეული მარკეტინგული საკითხები. ტექსტს ასათაურებენ ისე, რომ მასში მეტი პროვოკაცია, ინტრიგა, აპელაციურობა (კონატიურობა) იყოს ჩადებული, რათა ის ბევრს წააკითხოს და კარგად გაიყიდოს;
- ნაკლებად საინტერესოა ზერთულწინადადებიანი, რეზიუმეს მსგავსი, სათაურები. მათი წაკითხვის სურვილი ჩნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის კონკრეტული დროისთვის აქტუალურ საკითხს ეხება. ვფიქრობთ, ასეთი სათაურები დიდხანს ვერ გააგრძელებენ ფუნქციონირებას, რადგან ის დროებითია, სოკოსავით პერიოდულად გაჩნდება და ისევ მალევე გაქრება.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. ბარბაქაძე ც., - როგორ დავარქვათ სათაური (ერთი საუკეთესო რჩევა), სემიოტიკა, II, თბილისი, 2011.
2. გაბადაძე მ., - მხატვრული ტექსტის სათაური როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი და მისი ტიპოლოგიური დინამიკა ინგლისური პროზის კონტექსტში, ქუთაისი, 2015.
3. გამსახურდია კ., წერილი - „როგორ ვწერ“ (1933), რვატომეული, ტ.VI, თბილისი, 1963.
4. დვალიძე ნ., - „ტექსტის ლინგვისტიკასთან დაკავშირებული პრობლემატიკა“, ბათუმი 2019.
5. ენუქიძე რ., - „ლინგვისტური პრაგმატიკა და მხატვრული ტექსტის პროცესუალობა“, თბილისი, 1990.
6. თევდორაძე ნ., - „ტექსტის ლინგვისტიკა“, თბილისი 2011.
7. თეზელიშვილი ს., - უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი, 2005.
8. კვაჭაძე ლ., ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 2010.
9. ლადარია ნ., „სოციოლინგვისტიკა“, თბილისი, 2002.
10. ლებანიძე გ.,- კომუნიკაციური ლინგვისტიკა. თბილისი: ენა და კულტურა, 2004.
11. მანსვეტაშვილი ი., „მოგონებანი“, თბილისი, 1936.
12. მარტაშვილი ქ. - ბიბლიურ ალუზიათა ლინგვისტი-ლისტური ფუნქციები ინგლისურენოვან მხატვრულ პროზაში. ფილოლ. მეცნ. კანდ. დის. ავტორეფერატი, 2003.
13. ომიაძე ს., - ჟურნალისტურ სათაურთა პრაგმატიკა, სემიოტიკა, III, თბილისი, 2012.
14. ომიაძე ს., „ქართული დისკურსის ლინგვოკულტურულ შემადგენელთა სტრუქტურა, სემანტიკა და ფუნქციონირება“, თბილისი, 2006.
15. ომიაძე ს., - „დისკურსის დეფინიციათა ანალიზი“, თბილისი, 2009.
16. „რუბიკონი“, სრულიად საქართველოს ახალი მწერლობის კავშირი, სამხედრო-საზღვაო კომისარიატის სტამბა, თბილისი, 1923.

17. საყვარელიძე ფ., „ადამიანის უფლებათა ლექსიკონი“, თბილისი, 1999.
18. სერგია ვ.ა., - „ტექსტის ლინგვისტიკა“, თბილისი, 1989.
19. ტალიაშვილი თ., - „სათაურის ფუნქცია, სტატუსი, ინტერპრეტაცია“ , 2012, <http://semioticsjournal.wordpress>.
20. ურიდია, ს., „მოხელის სამაგიდო ლექსიკონი“, თბილისი, 2004.
21. ფარტენაძე ნ., - სათაურის, როგორც ტექსტის, ლინგვისტურ-სტილისტიკური ანალიზი, კულტურათაშორისი დიალოგები. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შრომები, IV. თბილისი, 2017.
22. ფეიქრიშვილი ჟ., - ქართული ენის სინტაქსი, ქუთაისი, 1996.
23. ფურცელაძე ვ., - „ტექსტი როგორც ენობრივი მოღვაწეობის წერილობითი“. თბილისი, 2000.
24. ყარალაშვილი რ., „სათაურის პოეტიკა“, თბილისი 2012.
25. ცეცხლაძე ნ., ხახუტაიშვილი მ., - სტილისტიკა, თბილისი, 2014.
26. ცინცაძე მ., - „ქართულად ხსნილად უბნობდი!“ , ბათუმი, 2013.
27. Adam, J. M. - Linguistique textuelle. Des genres du discours aux textes. Paris: Nathan, 1999.
28. Baugrande R.A.; Dressler W. – An Introduction to Text linguistics, 1982.
29. Benveniste E. - Problème de linguistique générale. 1. Paris: Editions Gallimard, 1966.
30. Brinker K., - Linguistische Textanalyse, Berlin, 1992.
31. Fisher J. Entitling //Critical Inquiry. 1984.
32. Genette G., - „Paratexts. Thresholds of Interpretation“, Cambridge University Press., 2001. <https://books.google.ge/books?hl=GenetteG./paratexts.thresholdsots 102>.
33. Genette G.& B.Crampe - Structure and functions of the Title in Literature//Critical Inquiry, Vol.14, No.4:1988 692-720. <http://www.jstor.org/discover/10.2307/1343668?sid=21105418798931&uid=3738048&uid=70&uid=4&uid=2&uid=2134>.
34. Gibbons V, Reading Premodern Titles: Bridging the Premodern Gap in Modern Titology. Cardiff University. 2007.

35. Kristeva J. - Desire in Language: A Semiotic Approach to Literature and Art. Leon S. Roudiez (ed.), T. Gora et al (trans.), New York: Columbia University Press, 1980. <https://ocadod.files.wordpress.com/2014/09/desire-in-language-asemiotic-approach-to-literature-and-art.pdf>;
36. Ktisteva, J., - « Sèméiôtikè» In « Le mot, le dialogue et le roman, recherche porune sémanalyse ». Paris : Seuil, 1969.
37. Taha I., - Semiotics of Literary Titling: Three Categories of Reference. //Applied Semiotics, University of Haifa. 2009, <https://www.questia.com/read/1G1-197857803/semiotics-of-literary-titling-three-categories-of>.
38. Jenny, L. *La stratégie de la forme Poétique* 8. 1976.
39. Архипов И.К. Полифония мира, текст и одиночество познающего сознания // Studia Linguistica Cognitiva. Вып.1. Язык и познание: Методологические проблемы и перспективы.- М.: Гнозис, 2006.
40. Барт Р., - Текстовый анализ одной новеллы Эдгара По. In: Барт Р.Избранные работы: Семиотика. Поэтика /М., 1994 сс. 424-461. http://adhdportal.com/book_2182_chapter_63_Tekstovojj_analiz_odnoj_novelly_EHdgaraPo.html.
41. . . . - / . . . - . : , 1986.
42. Бахтин М.М. - Проблемы текста в лингвистике, филологии и других гуманитарных науках. В кн.: Москва: «Высшая школа», 1979.
43. Бове К.Л., Аренс У.Ф. Современная реклама. Творчество в составлении рекламных текстов. – М.: ДеНово, 1995.
44. Богославская О.И., Полтавская Е.А. К проблеме соотношения заголовка и жанра // Функциональная стилистика: теория стилей и их языковая реализация. - Пермь, 1986.
45. . . . - : , « »/ . . . - . : , 2003.

46. Верещагин, Е. М. Костомаров, В.Г. „Русский язык Язык и культура: Лингвострановедение в преподавании русского языка как иностранного“. Москва., 1990.
47. . . . - .: . , 1987.
48. Гальперин И. Текст как объект лингвистического исследования. «Наука». Москва, 1981.
49. . . - . - ., 2004.
50. Гак В.Г. – Теоретическая грамматика французского языка, М., «Высшая школа», 1981.
51. Гоциридзе Д.З. – Принципы типологических интерпретаций фразовых текстов, Тбилиси, 1988.
52. Дреслер В.М. Текстовая деятельность в структуре социальной коммуникации. М.: Изд-во „Наука“, 1984.
53. - .: . , 1988.
54. Комахидзе Р.А. – Прагматика и синтагматика текста, Тбилиси, 1995.
55. Колшанский Г.В. Коммуникативная функция и структура языка. - М.: Наука, 1984.
56. . - (. . . . - . , 1983.
57. . . - . - .: . , 1983.
58. Кржижановский С.Д., - Поэтика заглавий. // Никитинские Субботники. Москва, 1931, http://az.lib.ru/k/krzhizhanowskij_s_d/text_0292.shtml.
59. . . . - // , 1925.
60. . . . - .: . , 1988;
61. Лукин В.А.- Художественный текст. Основы лингвистической теории. Москва, 1999.

62. Лотман Ю. М.(1992). Семиотика культуры и понятие текста. В кн.: Лотман Ю.М. Избранные статьи. Т. 1. Таллинн, 1992 сс. 129-132. <http://www.durov.com/literature1/lotman-92b.htm>.
63. . . - . - : - . - , 1987.
64. Москальская О.И. Текст как лингвистическое понятие (обзорная статья) // Иностранные языки в школе. - №3. 1978.
65. Мурзин Л.Н., Штерн А.С. Текст и его восприятие. - Свердловск: Издво Урал, ун-та, 1991.
66. . . , . . / - . : . . , 1982.
67. Олигви Д. Тайны рекламного двора. Советы старого рекламиста / Сост. А.В.Гавриловец. – М.: Издание Ассоциации работников рекламы, 1998.
68. Солганик Г.Я. - К проблеме модальности текста// Русский язык: Функционирование грамматических категорий. Текст и контекст. - М., 1984.
69. Тураева З.Я.,- Заголовок и эпиграф // Лингвистика текста (Текст: структура и семантика). М., сс; 1986.
70. Филиппов К.А.- Лингвистика текста С.-Петербург, 2003.
71. Чикина Л.К. Лингвистика текста. - Саранск: Изд-во Морд. Гос.ун-та, 1986.
72. Щелкунова Е.С. Публицистический текст в системе массовой коммуникации. - Воронеж: Типография факультета журналистики, ВГУ, 2004.

გამოყენებული წყაროები:

1. გაზ., „მომავალი“, 1909 წ., №03, №32, №33, №34, №56, №57;
2. გაზ., „ლომისი“, 1922 წ., IX-XII №1, №3, №4, №5, №8, №11, №13, №17;
3. გაზ., „რუბიკონი“, 1923 წ., №4, №11;
4. გაზ., „ბახტრიონი“, 1922 წ., №8, №9, №11, №19;
5. გაზ., „ხომლი“, 1908 წ., №8;
6. გაზ., „ლომისი“, 1923 წ., №18, №19, №20, №22, №28;
7. გაზ., „ცნობის ფურცელი“, 1903 წ.;
8. გაზ., „სახალხო გაზეთი“, 1913 წ.;
9. გაზ., „ტრიბუნა“, 1922 წ., №333,352,354;
10. გაზ., „მეგობარი“, 1906 წ., №40.42.47;
11. გაზ., „თემი“, 1914 წ., №157,№158,№159,№160,№161,№161, №163, №165;
12. გაზ., „თემი“, 1913 წ., № I-XII;
13. გაზ., „პრესა“ , www. http://presa.ge/new/?m=politics&AID=53261_07.07.2018
14. გაზ., „პრაიმტაიმი“, www. <http://primetime.ge/archives/08.07.2018>
15. გაზ., „ალია“, www. <http://alia.ge/?page=4> 11.08.2018
16. გაზ., „კვირის პალიტრა“, www. <https://www.kvirispalitra.ge/gazethi-kvirispalitra.html> 07.08.2018
17. გაზ., „ასავალი“, www. <http://www.asavali.ge/> 21.03.2018
18. გაზ., „კვალი“, 1893 წ., №21;
19. გაზ., „კვალი“, 1895 წ., №23;
20. გაზ., „კვალი“, 1898 წ., №26;
21. გაზ., „კვალი“, 1896 წ., №24;
22. გაზ., „კვალი“, 1897 წ., №25;
23. გაზ., „კვალი“, 1899 წ., №27;
24. გაზ., „კვალი“, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი, სტამბა წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა, თბილისი, 1893;
25. გაზ., „კვალი“, 1894 წ., №22;

26. გაზ., „კვირის პალიტრა“, ყოველკვირეული გაზეთი, კოლორი, თბილისი 2000.
27. გაზ., „კომუნისტი“, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, თბილისი, 1922.
28. გაზ., „ლელო“, პირველი ქართული სპორტული გაზეთი, საქართველოს კპცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდეროსანი სტამბა, თბილისი, 1985.
29. გაზ., „დროება“, 1866 წ., №12;
30. გაზ., „დროება“, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი, ს. მელიქიშვილი, თბილისი, 1866.
31. გაზ., „დროება“, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი, ს. მელიქიშვილი, თბილისი, 1869.
32. გაზ., „დროება“, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი, ს. მელიქიშვილი, თბილისი, 1884, №5, №6, №8, №22, №28;
33. „სასოფლო გაზეთი“, ყოველკვირეული სასოფლო-სამეურნეო გაზეთი, მელიქიშვილის სტამბა, თბილისი, 1869.
34. „ქართული საქმე“, ეროვნული პოლიტიკის ორგანო, პარიზი, 1947.
35. „ქართული აზრი“, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი, ნიუ-ორკი, 1969.
36. „ცნობის ფურცელი“, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი, წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობა, თბილისი, 1903.
37. „ცნობის ფურცელი“, ყოველდღიური გამოცემა, სტამბა მ. შარაძის და ამხანაგობის, თბილისი, 1896.
38. „ჯიხა“, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს 23-ე მექანიზებული ბრიგადის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი, სოხუმი, 1992.
39. „ჰოროლი“, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს 23-ე მექანიზებული ბრიგადის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი, სოხუმი, 1992.
40. გაზ., „დროება“, 1884 წ., №92; №32; №12; №6;


41. გაზ., „დროება“, 1885 წ., №24;
42. გაზ., „დროება“, 1879 წ., №01;
43. გაზ., „დროება“, 1871 წ., №16;
44. გაზ., „ცნობის ფურცელი“, 1896 წ., №11, №7, №13, №48, №17;
45. გაზ., „სასოფლო გაზეთი“, 1869 წ., №16, №19, №3, №10, №1; №8;
46. გაზ., „ასავალ-დასავალი“, 2019 წ. №3, №4;
47. გაზ., „ასავალ-დასავალი“, 2019, №16, №17, №18, №22, №23, №25, №35, №37, №39;
48. გაზ., „კომუნისტი“, 1922, №196;
49. გაზ., „კომუნისტი“, 1922, №181;
50. გაზ., „კომუნისტი“, 1922, №200;
51. გაზ., „ქართული საქმე“, 1947, №10;
52. გაზ., „ქართული საქმე“, 1946, №1;
53. გაზ., „ქართული საქმე“, 1946, №2;
54. გაზ., „ჰოროლი“, 1992, №1;
55. გაზ., „ჯიხა“, 1993, №8, №9, №10, №11, №12;
56. გაზ., „ქართული აზრი“, 1964, №64;
57. გაზ., „ქართული აზრი“, 1969, №80;
58. გაზ., „ქართული აზრი“, 1964, №62-63;
59. გაზ., „საქართველოს რესპუბლიკა“, 2006, №86;
60. გაზ., „კვირის პალიტრა“, 2000, №37;
61. გაზ., „ლელო“, 1985, №7;
62. გაზ., „ლელო“, 1986, №23;
63. გაზ., „მომავალი“, ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი, სტამბა „სორაპანი, 1909.

დანართი 1
 დიაგრამა №1

მიუთითეთ ასაკი



98 პასუხი




დიაგრამა №2

მიუთითეთ სქესი




117 პასუხი



ჩამოთვლილთაგან მონიშნეთ ერთ-ერთი, რომელი სათაურით დასათაურებულ სტატიას წაიკითხავდით?

117 პასუხი



- ❖ „ლომი და მშვიდობა“, დამაინტრიგებელია;
- ❖ „სუსტი მხარე“ სხვა სათაურებმა საერთოდ არ დამაინტერესა და ამიტომ ავირჩიე.
- ❖ 26 წლის, მდებარეობითი სქესის. მე წავიკითხავდი სტატიას „სუსტი მხარე“ იმიტომ, რომ მაინტერესებს ნებისმიერი მოვლენის, ქმედების, ქცევის, ურთიერთობის და ა.შ. სუსტი მხარე... მიუხედავად იმისა, რომ სტატიაში განხილული საკითხი შესაძლოა არც ეხებოდეს ჩემს მოლოდინს, მაინც არ ვინანებდი წაკითხვას - სათაურის ხიზლი!
- ❖ „ივანიშვილს რამდენჯერმე შესთავაზეს პრემიერად დაბრუნება, მაგრამ...“ დაუსრულებელია და ინტერესს იწვევს
- ❖ „ავიაცია“ ვფიქრობ, ყველაზე ა-პოლიტიკური სტატია იქნება ;)
- ❖ „მათ ოჯახებში რა ტრიალებს ენა ვერ აღწერს... ყველა ერთმანეთის ნათესავი იყო, ერთადაც წავიდნენ ამ ქვეყნიდან“...საინტერესო იქნებოდა ენით აღუწერელის ოჯახის დახასიათების მოსმენა, ასევე ის, თუ რატომ წავიდა მიზეზით/უმიზეზოდ ყველა ნათესავი, ერთად ამქვეყნიდან.
- ❖ ყოველთვის მაინტერესებს ადამიანის სუსტი მხარეები, თუნდაც ჩემი, რათა ვიმუშავო საკუთარ თავზე და აღმოვფხრა ან შევასუსტო.
- ❖ მე მაინტერესებს თუ რა განცხადებას გააკეთებს სახალხო დამცველი ამ კონკრეტული ფაქტის შესახებ, რათა ორივე მხარის აზრი იყოს გასაგები და ამავდროულად მეტ-ნაკლებად გავიგოთ, თუ რატომ მოექცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პოლიტიკური გავლენის ქვეშ.

- ❖ „სახალხო დამცველი პარლამენტის თავმჯდომარის იმ განცხადებას ეხმაურება, რომლის მიხედვითაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცა და ამიტომ შეაჩერა „რუსთავი 2“-ის საქმეზე უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება“...წავიკითხავდი, რადგან მაინტერესებს ადამიანის „ფსიქო-ემოციური პორტრეტი“ და მიმდინარე რეზონანსული თემები, რომლებიც საქართველოს სახელმწიფოებრიობას განსაზღვრავს. ანუ მაინტერესებს სტატიის შინაარსობრივი მხარე, რომელიც სათაურზე ზუსტადაა გამოტანილი.
- ❖ „სუსტი მხარე“, სტატიის სათაურმა მიიქცია ჩემი ყურადღება, რადგან, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვან და საჭირო ინფორმაციას გავცნობი.
- ❖ „სუსტი მხარე“, იმიტომ წავიკითხავდი, რომ საინტერესოა სუსტი მხარე;
- ❖ „ივანიშვილს რამდენჯერმე შესთავაზეს პრემიერად დაბრუნება, მაგრამ...“, მე წავიკითხავდი სტატიას ბიძინა ივანიშვილის შესახებ, რადგან მინდა ცოტათი მაინც ვერკვეოდე ჩემი ქვეყნის პოლიტიკაში;
- ❖ 24 წლის, მამრობითი... ორი სათაური ავირჩია... 1) „ლომი და მშვიდობა“ - საინტერესოა, რა შუაშია ლომი მშვიდობასთან და პირიქით. ალბათ, ეთნოგრაფიული ხასიათის სტატია იქნება. 2) მათ ოჯახში რა ტრიალებს ... ნუ, რასაკვირველია, ინტრიგაა. ვის არ დაინტერესებდა?! ვფიქრობ, „ერთად წასვლის“ მიზეზის გაგების სურვილი და ცნობისმოყვარეობა წამაკითხებდა მსგავსი სათაურის ტექსტს.
- ❖ „ივანიშვილს რამდენჯერმე შესთავაზეს პრემიერად დაბრუნება, მაგრამ...“, ძალიან საინტერესოა
- ❖ „ივანიშვილს რამდენჯერმე შესთავაზეს პრემიერად დაბრუნება, მაგრამ...“, მეტი ინტრიგა იკითხება სათაურში. ვფიქრობ, მასობრივი აუდიტორია პოლიტიკური თემების გავლენის ქვეშაა. ვამბობთ, რომ პოლიტიკამ დაგვალა, მაგრამ ვერ ვწყდებით. პროცესებთან თითქოს ნებით ვართ გადაჯაჭვულები. აქ სათაურშივე საინტერესოა, პარტიის თავმჯდომარეს რა „მაგრამ“ უშლის ხელს... თემის აქტუალურობიდან გამომდინარე ავირჩიე.
- ❖ „სუსტი მხარე“, აუცილებლად წავიკითხავდი ამ სათაურით ნაშრომს რომ გავიგო სუსტი მხარე, რომ ვებრძოლო ძლიერს.
- ❖ „ავიაცია“, 27 წლის, ყოველთვის მაინტერესებდა ავიაცია. მთელი ბავშვობა ვუყურებს ფილმებს ავიაციაზე.
- ❖ „სუსტი მხარე“, გამომდინარე სათაურიდან, საინტერესოა რომელ(რა/რის) სუსტ მხარეებზე იქნებოდა ყურადღება გამახვილებული.
- ❖ „მათ ოჯახებში რა ტრიალებს ენა ვერ აღწერს... ყველა ერთმანეთის ნათესავი იყო, ერთადაც წავიდნენ ამ ქვეყნიდან“... , საინტერესო იქნებოდა!

- ❖ 31 წლის, მდედრობითი, ღომი და მშვიდობა. პირადად მე მიყვარს ლიტერატურა და რაც ჩემს ინტერესებთან ახლოს დგას იმ სტატიას წავიკითხავ. ეს სათაური მაგონებს ტოლსტოის "ომი და მშვიდობა" , მგონია რომ ნაწარმოებში ასახული ამბები დაკავშირებული იქნება დღევანდელ მიმდინარე მოვლენებთან, პოლიტიკით რომ ვიყო დაინტერესებული, ალბათ, ავირჩევდი შესაბამის სტატიას.
- ❖ 26 წლის მდედრობითი ამ ბოლო დროს იმდენი ცუდი, ნეგატიური ინფორმაცია ისმის ან მომსწრე ვართ ტრაგიკული ისტორიებისა თუ შემთხვევების, რომ უკვე სულიერი მხარე ნებისთ თუ უნებლიედ გახდა დამძიმებული და უუნარო... აქედან გამომდინარე, დიდი სიამოვნებით წავიკითხავდი პოზიტიურ და ბედნიერ წყვილთა თუნდაც ერთი დღის აღწერას, სადაც იმარჯვებს სიყვარული და ქვეყანაში პესიმისტური განწყობილების მიუხედავად ჩვენ ვთქვათ ადამიანები მაინც „ერთად არიან ერთად"
- ❖ „ღომი და მშვიდობა“, სათაური ძალიან დამაინტრიგებელია და ამიტომ.
- ❖ 41 წლის, მდედრობითი. „სუსტი მხარე" - მოკლეა და ინტერესის აღმძვრელი
- ❖ 32 წლის, მდედრობითი. მე წავიკითხავდი სტატიას სათაურით „ერთად არიან ერთად არიან"-იმიტომ, რომ პოზიტიურობის მაჩვენებელია ეს სათაური, სტატიას ბედნიერი დასასრული ექნება. შინაარსი კი სიყვარულსა და მეგობრობაზე იქნება აგებული.
- ❖ 27 წლის მდედრობითი „სუსტი მხარე" უბრალოდ ყველა სათურს ჯობდა.
- ❖ 30 წლის, მდედრობითი, „სუსტი მხარე“. სათაური საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მეტროლოგი ხასიათის პიროვნება ვარ და მაინტერესებს ამა თუ იმ სისუსტეს როგორ ვებრძოლო. გავიგო სად რა სისუსტეებია და თავად ვეძიო გზები.
- ❖ 39 წლის, მდედრობითი, „ღომი და მშვიდობა". წავიკითხავდი, ალბათ, იმიტომ, რომ ერთი და მეორეც ძალიან მიყვარს და დამაინტერესებდა ნეტავ რა კავშირია ღომსა და მშვიდობას შორის-თქო...
- ❖ 32წლის, მდედრობითი, „ივანიშვილს რამდენჯერმე ..." სათაური დაუსრულებელია, იწვევს ინტერესსა და ცნობისმოყვარეობას აქეზებს.
- ❖ „სუსტი მხარე“, მამრობითი, 63 წლის. სათაური უნდა იყოს მოკლე და სხარტი...
- ❖ 27 წლის, მდედრობითი, „ერთად არიან! ერთად არიან!" აღნიშნულმა სათაურმა მიმიზიდა, რადგან სათაურში არ არის გაცხადებული ის, თუ რის შესახებ იქნება საუბარი სტატიაში, ამიტომ მკითხველში მეტ ფანტაზიას გამოიწვევს ეს სათაური და სხვადასხვა მიმართულებით არის შესაძლებელი მსჯელობა, მაგალიათად არ ვიცი თუ ვისზე ან რაზე არის ნათქვამი „ერთად არიან" , ამიტომ აუცულებლად წავიკითხავდი სტატიას და გავიგებდი რა იგულისხმობდა სათაურში.
- ❖ „სუსტი მხარე“, მაინტერესებს რის სუსტ მხარეებზეა საუბარი.
- ❖ 27 წლის, მდედრობითი, „სახალხო დამცველი...", პროფესიულად უფრო საინტერესოა ჩემთვის.

- ❖ 19 წლის მდედრობითი ჩემი არჩეული სათაურია „ერთად არიან, ერთად არიან“, იმიტომ, რომ საინტერესოდ ჟღერს, მოკლე სათაურია და ინტრიგას ტოვებს თუ მის მიღმა რა ამბავია გადმოცემული, სხვა დანარჩენი სათაურები დიდია და ლამის მთელი ამბავი სათაურშია მოთხრობილი, რაც ნაკლებ ინტერესს იწვევს ჩემში. ერთად არიან, ერთად არიან ემოციურადაც ჟღერს, მწერალმა ორჯერ გამოიყენა ეს ორი სიტყვა მეტი ემოციისთვის და ინტერესისთვის, ამიტომაც ეს სათური უფრო მისაღებია ჩემთვის ვიდრე სხვა დანარჩენი.
- ❖ „ლომი და მშვიდობა“, სტატია აშკარად მეტაფორულია, ამდენად შინაარსი მეტად საინტერესოა ჩემთვის.
- ❖ 30 წლის, მდედრობითი , „ავიაცია“ ეს სათაური შემეცნებითი ინფორმაციის ტექსტზე მიგვითითებს, სხვა დანარჩენ სათაურებს შორის ყველაზე საინტერესოდ მომეჩვენა...
- ❖ „სუსტი მხარე“, პროვოკაციულია.
- ❖ 32 წლის, მდედრობითი, "სუსტი მხარე"; სათაური თავისი ბუნდოვანებით მეტ ინტერესს იწვევს მკითხველში; სათაური განზოგადებულია, კონკრეტული თემა უცნობია, შესაბამისად მის ირგვლივ მრავალი კითხვა და მოლოდინი ჩნდება.
- ❖ 45 წლის, მდედრობითი, „სუსტი მხარე“. ყველა ადამიანს აქვს ძლიერი და სუსტი მხარე. სუსტი მხარის აღიარებით ადამიანს შესაძლებლობა ეძლევა მის გამოსწორებაზე იზრუნოს. და ჩვენც საშუალება მოგვეცემა დავეხმაროთ მას სისუსტეების დაძლევაში.
- ❖ 50 წლის, მდედრობითი, „ერთად არიან!...“ ალბათ, აქ ნარატივი იქნება.
- ❖ 27 წლის, მდედრობითი, „ლომი და მშვიდობა“ დამაინტერესებდა რა კავშირშია ერთმანეთთან ღომი და მშვიდობა.
- ❖ 40 წლის მდედრობითი. „სუსტი მხარე“, დამაინტერესა სათაურმა, უფრო იმან ,რომ ეს სუსტი მხარე ქალებს ეხება თუ ადამიანთა იმ უარყოფით თვისებებს და კომპლექსებს, რაც ჰომოსაპიენსს ასუსტებს, ან იქნებ „სუსტი,, სამყაროს ის ბნელი მხარეა რომელიც ასე გვაშინებს... მოკლედ, თემა რომლითაც შეიძლება უამრავ სფეროს შეეხო .
- ❖ „ერთად არიან"...მიხარია, როცა მესმის მსგავსი სიტყვები: ერთად ყოფნა, ერთმანეთის თანადგომა, ერთ მუშტად შეკვრა სჭირდება დღეს ჩვენს ერს! ჩვენი დაყოფით მტერმა არ უნდა გაიხაროს! დაე, ესმოდეს ყველას, რომ ჩვენ ერთად ვართ! ეშინოდეთ ჩვენი ერთიანობის! ძალა ერთობაშია!!!!
- ❖ „მათ ოჯახებში რა ტრიალებს ენა ვერ აღწერს... ყველა ერთმანეთის ნათესავი იყო, ერთადაც წავიდნენ ამ ქვეყნიდან"..., დამაინტრიგებელია. რა მოხდა მათ ოჯახებში, რომ იგივე. არ მოხდეს კიდევ.
- ❖ 57წლის, მამრობითი, „ლომი და მშვიდობა" - ინტრიგა. იუმორი, სიახლის მოლოდინი, ეროვნული ეკზოტიკა.

- ❖ „სუსტი მხარე“, შეიძლება იყოს ვიღაცის ისტორია მონათხრობი ან სუსტი მხარის ავტორისეული შეფასება, რაც ჩემთვის საინტერესო საკითხავი იქნება, ვიდრე პოლიტიკური უზუსტობები.
- ❖ „სუსტი მხარე“, ვთვლი რომ ერთ - ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სუსტი და ძლიერი მხარეების გარჩევა და თვითაღქმაც ამ საკითხში. სიამოვნებით წავიკითხავდი სხვადასხვა მოსაზრებებს და რჩევებს ამ საკითხთან დაკავშირებით. 27 წლის. მდედრობითი.
- ❖ 40 წლის, მამრობითი, „სახალხო დამცველი პარლამენტის თავმჯდომარის იმ განცხადებას ეხმაურება, რომლის მიხედვითაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცა და ამიტომ შეაჩერა „რუსთავი 2“-ის საქმეზე უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება“ დღევანდელი აქტუალური თემაა სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება.
- ❖ 33 წლის „სუსტი მხარე“ სათაური მომეწონა.:) თან ყველა ადამიანს აქვს სუსტი მხარე და ვისურვებდი სისუტის დაძლევის გადაჭრის გზაზე თუ იქნებოდა დაწერილი...
- ❖ 42 წლის, მდედრობითი - „სუსტი მხარე“.
- ❖ 24 წლის, მდედრობითი, „სუსტი მხარე“ - ჩამოთვლილთაგან ყველაზე ზოგადი და საინტერესო ეს სათაური იყო
- ❖ „სუსტი მხარე“, მიუხედავად იმისა, რომ რის სუსტ მხარეზეა საუბარი გაუგებარია, მაინც ამ სათაურის სტატიას წავიკითხავდი ინტერესის მიზნით.
- ❖ 38 წლის, მდედრობითი , „ სახალხო დამცველი...“ მაინტერესებს თემა.
- ❖ 32 წლის მდედრობითი, „ერთად არიან! ერთად არიან!“ ჩემთვის და ზოგადად ყველასთვის ძალიან მნიშვნელოვანია ერთად ყოფნა. ერთად ყოფნა ეს იმას ნიშნავს, რომ მარტო არაა, ვიღაცა უდგას გვერდით, ვიღაცის ერთად უხარია ცხოვრება, ვიღაცის ერთად იბრძვის და ვიღაცის ერთად იმარჯვებს.
- ❖ 26 წლის, მდედრობითი, „სუსტი მხარე.“ საინტერესოა სტატიაში პიროვნულ სისუსტეებზეა საუბარი თუ პოლიტიკურად სუსტ ოპოზიცია/პოზიციაზე.
- ❖ 25 წლის, მდედრობითი, „სუსტი მხარე“. ამ სათაურმა ერთგვარი ინტერესი გამოიწვია ჩემში. სათაურით თითქოს ყველაფერი ნათქვამია, მაგრამ მეორე მხრივ ძალიან ბევრი რამ შეიძლება მოისაზრო ამ სტატიის უკან, ერთგვარად გაინტრიგებს და გიჩნდება სურვილი გაიგო რის შესახებ იქნება ამ სტატიაში საუბარი. შესაბამისად დიდი ინტერესით გავეცნობოდი მას.
- ❖ 13 წლის, მამრობითი „სუსტი მხარე“ ამას წავიკითხავდი ალბათ იმიტომ რომ, ყველა ადამიანში არსებობს სუსტი მხარე და მისი დადებითი და უარყოფითი თვისებები უნდა შევისწავლოთ, განსხვავებით იმისგან, რომ დავამციროთ და ვაწყენინოთ.
- ❖ 23 წლის, მდედრობითი, „სუსტი მხარე“. ინტერესს იწვევს სათაური.

- ❖ 30 წლის, მდედრობითი „სუსტი მხარე“, რადგან საინტერესოა სუსტი მხარე იცოდეს, რომ იზრუნო მის გამოსწორებაზე, მნიშვნელოვანია გავიგოთ რა არის ადამიანის სუსტი მხარეები.
- ❖ 16 წლის, მდედრობითი, ავიაცია. აღნიშნულ სტატიას ავირჩევდი იმის გამო, რომ ეს სფერო ძალიან მიზიდავს, მომწონს, ყოველთვის იპყრობს ჩემს ინტერესს, შესაბამისად, არ ვიტყვოდი უარს ამ სფეროსთან დაკავშირებით სიახლეების გაგებაზე.
- ❖ 26 წლის მდედრობითი, „სუსტი მხარე“, მაინტერესებს რა არის და რატომ შეიძლება ქონდეს ადამიანს სისუსტე, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი.
- ❖ 26 წლის, მდედრობითი, „სუსტი მხარე“ ვის ან რას შეიძლება ვუწოდოთ „სუსტი მხარე“ და შესაძლებელია თუ არა მისი (სუსტი მხარის) საფეხურებრივი ზრდა - განვითარება.
- ❖ „ღომი და მშვიდობა“, დამაინტერესებელია.
- ❖ ჩემ მიერ არჩეული სტატია არის ოჯახის თავგადასავალზე რომელიც დიდი ალბათობით ტრაგედიით სრულდება. და ძალიან დამაინტერესა თუ რამოხდა ამ ოჯახში
- ❖ „მათ ოჯახებში რა ტრიალებს ენა ვერ აღწერს... ყველა ერთმანეთის ნათესავი იყო, ერთადაც წავიდნენ ამ ქვეყნიდან“..., საინტერესოა, რატომ წავიდნენ.
- ❖ „ავიაცია“, ყვითელი პრესის სათაურებს ჰგავს სხვები.
- ❖ „ღომი და მშვიდობა“, ჩემ მიერ მონიშნული სტატიის სათაური მოკლე და ლაკონურია ასევე ძალიან დამაინტერესებელი.
- ❖ 27 წლის მდედრობითი.. „სუსტი მხარე, დამეზარა ვრცელი სათაურების ბოლომდე ჩაკითხვა... ეს სათაური კი საინტერესო მეჩვენა და არც ზედმეტად „გადაპრანჭული“ და „ყვითელია“.
- ❖ „სუსტი მხარე“, საინტერესოდ ჟღერს სტატიის სათაური.
- ❖ „ავიაცია“, ავიაციის საკითხები ზოგადად მაინტერესებს და სათაურიც მიზიდავს იქეთკენ, რომ რაღაც ახალი გავიგო.
- ❖ ლევ ტოლსტოის „ღმი და მშვიდობა“ ვიცი რაც არის, დამაინტერესებდა რა კავშირშია მშვიდობასთან ღომი...
- ❖ 39 წლის, მდედრობითი. ჩემ მიერ არჩეული სათაური „სუსტი მხარე“ საინტერესო კონტენტის ასოციაციას იწვევს სხვებთან შედარებით. სხვების შემთხვევაში უკვე ვიცი, რას ეხება სტატია და წავიკითხავდი, თუ საკითხით ვარ დაინტერესებული. „სუსტი მხარე“ კი, უფრო მაპროვოცირებელია, თუმცა შეიძლება აქაც არაფერი დამხვდეს :)
- ❖ „ერთად არიან! ერთად არიან!“, სათაურიდან გამომდინარე, ჩავთვლიდი პოლიტიკური სიტუაციის ჟურნალისტისეული ხედვა იქნებოდა წინ წამოწეული.თუ ყვითელი პრესის მორიგო ხრიკი არ იქნებოდა.

- ❖ „ეს მახინჯი ნაბ***არი რომ ცემით მოვკლა ახლა, გაუფრთხილებლობით უნდა გამასამართლონ?!\", 25 წლის მამრობითი. საინტერესო სათაურია. გაუფრთხილებლობით უნდა გასამართლდეს.
- ❖ 27 წლის, მდედრობითი „სუსტი მხარე“ ავირჩიე, იმიტომ, რომ მაქვს ისეთი სუსტი მხარეები, რომლის დამარცხებაც მინდა და დარწმუნებული ვარ როცა დავამარცხებ უფრო ძლიერი და თავდაჯერებული ვიქნები. შეიძლება ითქვას, რომ ამ სუსტი მხარეების შედეგად გადაწყვეტილებების მიღებაც კი მიჭირს ანუ მამრკოლებს, რაც აისახება როგორც ჩემს ყოველდღიურ ცხოვრებაზე ასევე კარიერულ წინსვლაზე.
- ❖ 27 წლის, მდედრობითი. „ერთად არიან! ერთად არიან“ მხატვრული სათაურია... არაპოლიტიკურია და საინტერესო იქნებოდა.
- ❖ ვფიქრობ, დღესდღეობით საკმაოდ აქტუალური თემაა დღევანდელ რეალობაში და გავიგებდი რა ხერხებს მიმართავენ მშვიდობის დასამყარებლად...
- ❖ 24 წლის, მდედრობითი, „ღომი და მშვიდობა“, თითქოს სატირულ-იუმორისტულის კომბინაციაა,
- ❖ 58 წლის, მდედრობითი, არც ერთს არ წავიკითხავდი! მოვნიშნე იმიტომ, რომ ისე არ იგზავნებოდა! არაა ინტერესის აღმძვრელი, ვრცელი სათაურებიდან კი ისეც ცხადია, რას ეხება სტატია!
- ❖ 62 წლის, მდედრობითი, „ღომი და მშვიდობა“ - იმიტომ წავიკითხავდი, რომ, ვფიქრობ, „ღომი“ - ანუ საჭმელი-ეკონომიკა უმჭიდროესადაა დაკავშირებული მშვიდობასთან. თუკი ქვეყანა და, შესაბამისად, ხალხი ეკონომიკურად ძლიერია, მათ ომი არ სჭირდებათ (ყოველ შემთხვევაში - თავის ტერიტორიაზე), ისინი მშვიდობის მომხრენი არიან. სტატიის სათაური დამაინტერესებელია, რადგან ამ ორ აბსოლუტურად განსხვავებული შინაარსის სიტყვას „და“ კავშირით აერთიანებს და არაორდინალურ მსჯელობას გვპირდება.
- ❖ 36 წლის, მდედრობითი, სახალხო დამცველი პარლამენტის...., დაინტერესებული ვარ ადამიანის უფლებებითა და ქვეყანაში მიმდინარე იმ პოლიტიკური ფონით, რომელიც მოქმედებს ქვეყნის ევროპული კურსით განვითარებაზე.
- ❖ „სუსტი მხარე“, სხვადასხვა რამ შეიძლება ეწეროს და დამაინტერესა, რა იგულისხმება. ამასთან, სხვა სათაურებმა არ დამაინტერესა და ამიტომაც ავირჩიე.
- ❖ „ეს მახინჯი ნაბ***არი რომ ცემით მოვკლა ახლა, გაუფრთხილებლობით უნდა გამასამართლონ?!\", დამაინტერესა, ვისზეა საუბარი.
- ❖ „სუსტი მხარე“, რეალურად არცერთი წარმოადგენს ჩემი ინტერესის სფეროს, აღნიშნული იწვევს მცირე ინტერესს.
- ❖ 24 წლის, მდედრობითი, "სუსტი მხარე". ვფიქრობ, ამ სტატიაში მოცემული იქნება, რომელიმე კონკრეტული ადამიანის ან თუნდაც საზოგადოებრივი დაჯგუფების ერთგვარი

მთავარი მახასიათებლები და მასში წინ წამოწეული იქნება სუსტი მხარეც, რომელიც გარკვეულწილად მართავს მას/მათ.

- ❖ 36 წლის, მდედრობითი, „სუსტი მხარე“ - შესაძლოა სულაც არ აღმოჩნდეს სტატია ჩემთვის საინტერესო შინაარსობრივად, თუმცა წავიკითხავდი იმიტომ, რომ ერთგვარი ინტერესი ჩნდება სათაურში, თანაც მოკლე და ლაკონურია...
- ❖ 28 წლის, მდედრობითი, „სუსტი მხარე“, ადამიანმა მიზანს რომ მიაღწიოს და წარმატებული იყოს ცხოვრებაში საკუთარ თავში უნდა ეძიოს სუსტი მხარეც, უნდა იბრძოდეს ამის აღმოფხვრაზე, საინტერესო იქნებოდა ამის შესახებ მოსაზრებები და პრაქტიკული რჩევები.
- ❖ „სუსტი მხარე“, სათაური მოკლეა და სუსტმა მხარემ მიიზიდა ჩემი ყურადღება, რადგან ზოგადად ნებისმიერი ფაქტის სუსტი და ძლიერი მხარე მაინტერესებს...

დანართი 2.

ინტერვიუ გაზეთ „ბათუმელების“ ჟურნალიტ ნანა კვაჭაძესთან

- **მოგესალმებით, როგორ ფიქრობთ, რა არის სათაურის ფუნქცია?**
- მედიაში სათაურის ფუნქციაა მოკლედ გადმოსცეს მინიშნება იმ ინფორმაციაზე, რასაც მკითხველი/მაყურებელი მედიის მიერ მომზადებულ მასალაში გაეცნობა. ფაქტობრივად, ეს არის ჟურნალისტის/გამოცემის შანსი, ერთი წინადადებით ისე დააინტერესოს მკითხველი, რომ მთელი სტატია „წააკითხოს“. კარგი სათაური ამას ახერხებს.
- **როგორი სათაური ითვლება კარგ სათაურად?**
- კარგ სათაურად შეიძლება ჩაითვალოს სათაური, რომელიც რამდენიმე სიტყვით ახერხებს ხაზი გაუსვას სტატიის ფოკუსს, იზიდავს მკითხველს და მას სტატიის წაკითხვისკენ უბიძგებს.
- **რას ან ვის ითვალისწინებენ ტექსტისთვის სათაურის შერჩევის დროს?**
- ტექსტისთვის სათაურის შერჩევისას მრავალი ფაქტორის გათვალისწინება ხდება.

პირველ რიგში სტატიისთვის სათაურის შერჩევა ხდება იმის გათვალისწინებით, თუ რა ფორმითაა მომზადებული კონკრეტული მასალა: მიმდინარე ახალი ამბის შესახებაა ინფორმაცია, კომენტარია, ინტერვიუ, ანალიზი, რეპორტაჟი თუ ჟურნალისტური გამოძიება. ყველა ეს ფორმა მოითხოვს სხვადასხვა სათაურს.

სათაური შეიძლება შეიცავდეს ინფორმაციას, სად ხდება მოქმედება და რიგ შემთხვევებში ეს აუცილებელიცაა, რათა მკითხველი არ დაიბნეს *[მაგ. ავარია მოხდა ბათუმში]*, როდის მოხდა/ხდება, რა ხდება და ა.შ. - ეს დამოკიდებულია კონკრეტულ სტატიაზე და რედაქციის გადაწყვეტილებაზე, რას გაუსვას ხაზი, რა წამოსწიოს წინა პლანზე.

ინტერვიუს შემთხვევაში სათაური შეიძლება იყოს ტექსტში გამოყენებული რესპოდენტის სხარტი ციტატა, რომელიც კარგად აღწერს რაიმე მოვლენას/პროცესს და მკითხველში გამოიწვევს ინტერესს, რეპორტაჟისას - ზმნა, რომელიც აჩვენებს, რომ მოქმედება ხდება კონკრეტულ, აწმყო დროში და ა.შ.

სათაურის შერჩევასას სასურველია არ იყოს გამოყენებული უცხო სიტყვები, ტერმინები და პროფესიული ლექსიკა, რომელიც მკითხველთა ფართო წრისათვის არ არის ნაცნობი. მსგავსი ტერმინების გამოყენება იწვევს მკითხველის გაუცხოებას, მკითხველი ვერ ხვდება რას ამბობს სათაური, შესაბამისად, მას არც სტატიის წაკითხვის სურვილი უჩნდება.

არსებობს გარკვეული წესი სათაურებში ადამიანების სახელებისა და გვარების გამოყენებისას. მაგალითად, სათაურში, ჩვეულებრივ, არ იწერება სახელი და გვარი, თუ საუბარი არ არის საზოგადოებისთვის კარგად ცნობილ პირზე *[თუმცა, არსებობს გამონაკლისი შემთხვევები]*. არიან ადამიანები, რომელთა ცნობადობა ძალიან მაღალია და რიგ შემთხვევებში სათაურში მხოლოდ მათი გვარი გამოიყენება, რადგან არსებობს მათ მიმართ ის მაღალი ინტერესი. *[მაგალითად: ტრამპმა განაცხადა ... სააკაშვილი ჩამოდის... ივანიშვილის ქონება და ა. შ.]*

ასევე, სათაურებში ყოველთვის მოკლდება სტატუსები და დაწესებულებების სახელწოდებები. ეს ხდება იმისათვის, რომ სათაური შემოკლდეს და იყოს მარტივად აღსაქმელი. *[მაგალითად, როცა სათაურში იწერება აჭარის მთავრობა და არა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, ბათუმის უნივერსიტეტი ან შოთა რუსთაველის უნივერსიტეტი და არა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ა.შ.]*

ძალიან მნიშვნელოვანია სათაური შეესაბამებოდეს შინაარსს. თუკი მკითხველისთვის გაუგებარი დარჩა, რატომ აქვს კონკრეტულ სტატიას ასეთი,

„მატყუარა“ სათაური, მისთვის ექვევემ დგება ამ მედიასაშუალების სანდოობა, რაც ცუდად აისახება მედიასაშუალების რეპუტაციაზე.

დღეს უკვე ერთმანეთისგან განსხვავდება სათაურები გაზეთში/ჟურნალში და ინტერნეტმედიაში. ბეჭდურ მედიაში უფრო ხშირად გვხვდება მეტაფორული სათაურები, რაც შედარებით იშვიათია ინტერნეტმედიაში. ჩემი პირადი აზრით, სხვა ფაქტორების გარდა, ეს შესაძლოა აიხსნას კითხვის სხვადასხვაგვარი კულტურით - ადამიანი გაზეთს/ჟურნალს ჩვეულებრივ მაშინ კითხულობს, როცა აქვს დრო, შეუძლია აუჩქარებლად იფიქროს, ინტერნეტმედია კი გათვლილია სისწრაფეზე, მაგალითად, ფეისბუქის ახალი ამბების კედელზე კონკრეტული სტატია გამოჩნდება რამდენიმე წამით გვერდის განახლებამდე და ამ რამდენიმე წამში მკითხველმა სათაურით უნდა მიიღოს ინფორმაცია და გადაწყვეტილება - წაიკითხოს თუ არა სტატია. ამიტომაც, ბეჭდურ მედიასთან შედარებით, ინტერნეტმედიაში სათაურები გაცილებით უფრო სწორხაზოვანია.

და ბოლოს, არ არსებობს ერთი კონკრეტული წესი, რომელიც სტატიის სათაურის შერჩევას განსაზღვრავს, ხდება ძალიან ბევრი ფაქტორის გათვალისწინება, რაც დამოკიდებულია იმ ამბავზე, რასაც ეხება სტატია. მაგალითად, „ბათუმელების“ რედაქციაში თითქმის ყოველი სტატიის სათაურის შერჩევას განიხილება სათაურის რამდენიმე ვერსია.

- როგორ ფიქრობთ, რა არის მიზეზი იმისა, რომ მარტივ წინადადებიანი, მოკლე, ლაკონური, სხარტი სათაურები, რომლებიც მე-19, მე-20 საუკუნის მედიისთვის იყო დამახასიათებელი, შეიცვალა რთული და ზოგჯერ რეზიუმეს მსგავსი სათაურებით?
- რაც უფრო მოკლე და მარტივია სათაური, მით უკეთესია - ეს მიდგომა დღემდე უცვლელია სათაურების შერჩევას, განსაკუთრებით ინტერნეტმედიაში, რომელსაც სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი მოიხმარს სმარტფონით. სმარტფონის ეკრანზე გრძელი სათაურები ბოლომდე არ ჩანს, რაც მედიასაშუალებებისთვის ნიშნავს დაკარგულ პოტენციურ მკითხველს და თუნდაც ამიტომაც, მოკლე სათაურები დღესაც ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა ეს ყოველთვის შესაძლებელი არ არის და ამას აქვს მრავალი მიზეზი, რომელთაგანაც ერთ-ერთს გავუსვამ ხაზს.

მე-19 და მე-20 საუკუნისგან განსხვავებით, როცა საქართველოში რამდენიმე გაზეთი და ერთ-ორი ტელევიზია იყო [მე-20 საუკუნეში], 21-ე საუკუნეში მედიაში არჩევანი

განუზომლად დიდია. დღეს მკითხველი/მაცურებელი არჩევანს აკეთებს მინიმუმ რამდენიმე ათეულ მედიასაშუალებას შორის, რომლებიც ცდილობენ მიიზიდონ მკითხველის ყურადღება სათაურით.

ინტერნეტმედიაში, სოციალურ ქსელებში დღეში რამდენიმე ათეული ან ასეული სტატია ზიარდება. ყველა შემთხვევაში მოკლე სათაურით ვერ იზიდავენ მედიასაშუალებები მკითხველის ყურადღებას, ამიტომაც ცდილობენ სათაური რაც შეიძლება ინფორმაციული და გასაგები იყოს. რამდენიმე სიტყვით ამის მოხერხება ყოველთვის იოლი არ არის, ამიტომაც ვიღებთ უფრო გრძელ სათაურებს და არა - ორ-სამ სიტყვიანს.

უფრო მეტიც, ფეისბუქზე ჩვენს მკითხველთან უკუკავშირზე დაკვირვებით შემოდისა გითხრათ, რომ არის შემთხვევები, როცა მკითხველი მხოლოდ სათაურს ეცნობა და წაკითხვის გარეშე აზიარებს სტატიას საკუთარ ფეისბუქგვერდზე, რადგან მიიჩნევს, რომ მთავარი ინფორმაცია უკვე მიიღო სათაურით. ინტერნეტმედიაში მკითხველს აქვს მოლოდინი, რომ სათაურით მიიღებს მნიშვნელოვან ინფორმაციას, ამ მოლოდინის გაწილებამ კი შესაძლოა გამოიწვიოს მკითხველის დაკარგვა, რაც არც ერთი მედიასაშუალების ინტერესებში არ შედის.

- როგორ ფიქრობთ, რა უნდა იყოს გრძელი, ანოტაციური (მაგალითად, „აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ტელეკომპანია Fox-სთან განაცხადა, რომ არ აპირებს სირიაში შეჭრას, იმის მიუხედავად, რომ გასულ კვირას სირიის სამხედრო ბაზებზე ავია დარტყმების ბრძანება გასცა“) სათაურების მიზანი და აღწევენ თუ არა ასეთი სათაურები მიზანს?
- თქვენ მიერ მაგალითად მოყვანილი სტატიის სათაური მიზნად ისახავს აჩვენოს აშშ-ის პრეზიდენტის ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები და ამ მხრივ, მიზანი მიღწეულია, თუმცა მსგავსი სათაური მაინც ვერ შეიძლება ჩაითვალოს მკითხველისთვის მიმზიდველად, რადგან ზედმეტად ვრცელია და მკითხველს უწევს ფიქრი, რომ ჩასწვდეს სათაურის შინაარსს.

ჩემი პირადი დაკვირვებით, გრძელი სათაურები იშვიათად აღწევენ მიზანს, ვერ იზიდავენ მკითხველს, რადგან სათაურში ინფორმაციის ვრცლად მიწოდება, მით უფრო - რთული წინადადებით, ხშირ შემთხვევებში არაეფექტურია.

- როგორ ფიქრობთ, რატომ იწყებს ფეხის მოკიდებას სკაბრეზული სიტყვების შემცველი, უცენზურო (მაგალითად, „მივხვდი, რომ გავიშიფრე და ვიყვირე - ვერ დამიჭერთ, ბო@ებო!!!...“) სათაურები?

- მსგავსი, უცენზურო სათაურების მთავარი მიზანი, ძირითადად, მკითხველის ყურადღების იოლად მიქცევაა. ასეთ სათაურებს ხშირად იყენებს ყვითელი მედია, რომელიც ე.წ. „ბულვარული ამბების“ გაშუქებითაა დაკავებული და აღწევნ კიდეც მიზანს ხშირად, რადგან ყურადღების მიქცევა უცენზურო სიტყვებით უფრო იოლია.

რაც შეეხება გამოცემებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტებით, ასეთ გამოცემებში უცენზურო სიტყვები შეიძლება მოხვდეს სათაურში, მხოლოდ მაშინ, როცა მას იყენებს მაღალი ინტერესის მქონე საჯარო პირი. მაგალითად, გასულ წელს იყო შემთხვევა, როცა პრემიერ-მინისტრმა კვირიკაშვილმა პარლამენტის შენობაში შეაგინა დეპუტატს და არაერთმა სერიოზულმა მედიასაშუალებამ ეს გინება გამოიტანა სათაურში, იმის ხაზგასასმელად, რომ ქვეყნის მეორე პირმა თავს უფლება მისცა საჯარო სივრცეში გინებით გამოპასუხებოდა ოპონენტს.

კიდეც ერთი შემთხვევა მახსენდება, როცა მწერალმა დათო ტურაშვილმა გამოიყენა უცენზურო სიტყვა პირდაპირ ეთერში და ეს მოხდა რამდენიმე მედიასაშუალებების მიერ მომზადებული მასალის სათაურში, რადგან, კონტექსტის გათვალისწინებით, ეს აღიქმებოდა მაღალი საზოგადოებრივი ნდობის მქონე პირის მხრიდან აღშფოთების და ემოციური დამოკიდებულების მაჩვენებლად.

და, ალბათ ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ ჩვეულებრივ მეტყველებაში დღეს, შესაძლოა, უფრო ხშირად გვხვდება უცენზურო ლექსიკა, ვიდრე გასულ საუკუნეებში იყო და ეს, ცხადია, აისახება მედიაზეც.

- როგორ ფიქრობთ, რა არის ორაზროვანი, ბუნდოვანი, სათაურების გავრცელების მიზეზი და აღწევნ თუ არა ისინი მიზანს?

- გააჩნია რას გულისხმობთ ორაზროვან სათაურში. შეიძლება იყოს სათაური ორაზროვანი და მიაღწიოს მიზანს, დააინტერესოს მკითხველი.